ჯანი როდარი

BIBLIONTEKA.COM

## ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები

ცხოვრობდა ქალაქ ვარეზეში ვინმე სინიორ ბიანკი. ეს სინიორ ბიანკი ერთ-ერთ სავაჭრო ფირმაში მსახურობდა. ფირმა წამლებისა იყო, წამლებით ვაჭრობდა, და სინიორ ბიანკი კვირაში ექვსი დღე სულ გზას ადგა, მთელი იტალია ფეხქვეშ ჰქონდა ამოდებული. ხან აღმოსავლეთში იყო და ხან დასავლეთში, ხან სამხრეთში და ხან ჩრდილოეთში, ხანაც ქვეყნის შუაგულში მოექცეოდა ხოლმე. წამლების ნიმუშები დაჰქონდა, კარგ მუშტარს ხელიდან არ გაუშვებდა, უეჭველად გაურიგდებოდა. კვირაობით შინ არ ბრუნდებოდა, ორშაბათს ისევ გზას უნდა დასდგომოდა. წასვლის წინ თავისი პატარა გოგო მუდამ ყელგადაგდებით ეხვეწებოდა:

— საღამოობით თითო ზღაპარი მიამბე ხოლმე, მამი, გენაცვალე.

უნდა გითხრათ, რომ პატარა გოგო უზღაპროდ ვერაფრით ვერ იძინებდა, დედას კი უკვე სულ მოყოლილი ჰქონდა, რა ზღაპრებიც იცოდა, თანაც ზოგი სამ-სამჯერ. და აი სინიორ ბიანკი, სადაც უნდა ყოფილიყო, ყოველ საღამოს შინ ტელეფონით რეკავდა და თავის პატარა გოგოს ზღაპარს უყვებოდა. ამ წიგნში სწორედ სინიორ ბიანკის ზღაპრებია თავმოყრილი. ალბათ შეამჩნევთ, რომ თითქმის ყველა ზღაპარი მოკლეა. თუმცა სხვანაირად არც გამოვიდოდა. ტელეფონით ლაპარაკის საღირალს სინიორ ბიანკი თავისი ჯიბიდან იხდიდა, და ამიტომ იყო, რომ ბევრს არასოდეს ლაპარაკობდა. მაგრამ თუ სახეირო საქმეს ჩაიგდებდა ხელში, ზოგჯერ ერთი-ორი წუთით მეტს ილაპარაკებდა. როგორც მითხრეს, სინიორ ბიანკი ქალაქ ვარეზეს გამოიძახებდა თუ არა, ცენტრალური სადგურის ტელეფონისტი ქალები თურმე აღარავის პასუხს არ აძლევდნენ, იდგნენ და ბიანკის ზღაპრებს უგდებდნენ ყურს. კაცმა რომ თქვას, თავშესაქცევად ზოგიერთი მართლაც ურიგო როდი გამოვიდა.

გული მეუბნება, აი ნახავ, წაიკითხავენ პატარები ქართულად ამ შენს ზღაპრებს და მოწონებითაც მოეწონებათ, გართობითაც გაერთობიანო. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ერთი ქართული სიტყვა მაინც ვიცოდე წამლად! აბა ეს საქმეა? მართლა სირცხვილია და მეტი არაფერი! კარგი, მე არ ვიცი, არ ვიცი, ნუთუ შინაც არა მაქვს რა ისეთი, ქართული ლაპარაკი რომ შეეძლოს? როგორ არა, შინ თბილისის პატარ-პატარა ხედები და ნიკო ფიროსმანაშვილის სურათების კარგა მოზრდილი წიგნი მაქვს. სხვას ვერაფერს ვიტყვი, იშვიათი სურათებია. ერთზე რთველია გამოხატული, ვაზებს უფრო დიდი მტევნები ასხია, ვიდრე მერთვლეებს თავები აქვთ, ყურძნის მარცვლები კი იქ მოტრიალე ხალხის თვალებზე დიდებია. აი, ყურძენი თუ გინდა, ამასა ჰქვია!

მეორე სურათზე მთვარე მოჩანს: მთვარე კი უკვე ჩვენებურია, ზუსტად ისეთივეა, როგორიც რომში. სანაძლეოს დავდებ, ქართველი ბავშვებიც ისეთივენი არიან, როგორიც რომაელი, მილანელი და ნეაპოლელი ბავშვები: მხიარულები, ანცები, საყვარლები.

რაღა ბევრი გავაგრძელო, იტალიელ ბავშვებსაც ვენაცვალე და ქართველებსაც. აბა, რაღა თქმა უნდა, რუსებსაც და ფრანგებსაც. ბავშვი ბავშვია, გინდა ევროპელი იყოს და გინდა ამერიკელი, გინდა აზიელი და გინდა აფრიკელი, გარჩევა როგორ შეიძლება! მე მთელი დედამიწის ბავშვები გულში მისხედან და თვალში რომ ჩამიცვივ-

დნენ, ხელს არ ამოვისვამ. პატარები მთვარეზე ანდა მარსზეც თუ არიან, იმათაც კარგსა და კეთილს ვუსურვებ. საწინააღმდეგო ალბათ არც თქვენ გექნებათ.

კაცია და გუნება, კარგი ზღაპარი ქვეყანას მირჩევნია. ზღაპრებს რომ არ ვიგონებდე, მაშინ ან სათამაშოებს გაგითლიდით, ანდა ვიოლინოს დაგიკრავდით. რა ვქნა, გაჟეჟილს გატეხილი სჯობს: ტყეში და ზღვის პირას ხეტიალიც გიჟივით მიყვარს. წარმოდგენა არა მაქვს, რატომ ამაში გასამრჯელოს არაფერს იძლევიან.

საყვარელო პატარა ქართველებო, გისურვებთ ამ წიგნის გულიანად წაკითხვას და საღსალამათობას. გაიზარდენით კარგები, თქვენს ქვეყანასაც გამოადექით და მთელ ქვეყნიერებასაც. შრომაში მუდამ სიხარული გენახოთ და მეგობრები არ გამოგლეოდეთ. რა საბრალო და საცოდავია, ვისაც მეგობარი ვერ უპოვნია! საკვირველია, გარშემო რატომ არ გაიხედ-გამოიხედავენ? თუ გული გულობს, მეგობარს რა გამოლევს!

ჩვენ რა, მეგობრები არა ვართ? აბა, მაშ რა! აი ამიტომაც ვაწერ ხელს

**თქვენი მეგობარი ჯანი როდარი**

## ბედოვლათი მონადირე

ერთ დილით დედამ შვილს უთხრა:

— აიღე, ჯუზეპე, თოფი, სანადიროდ წადი, ხვალ შენი დის ნიშნობაა და კურდღლის ხორციანი ფაფა მოინდომა.

დაავლო ჯუზეპემ თოფს ხელი და წავიდა სანადიროდ. ჯერ თავის კარმიდამოს არც გაშორებოდა, რომ კურდღელს მოჰკრა თვალი. ყურცქვიტა ღობიდან გამოძვრა და შურდულივით გავარდა მინდვრისაკენ. ჯუზეპემ თოფი დაუმიზნა და ჩახმახიც დააცემინა, მაგრამ რად გინდა რა! გასროლის მაგივრად, თოფმა კაცის ხმით «ბუხ!» დაიძახა, და ტყვია იქვე მონადირის ფეხებთან დაეცა.

გაკვირვებულმა ჯუზეპემ პირი დააღო, ტყვიას დასწვდა, კარგა ხანს ხელში ათვალიერა, მერე ახლა თოფს უკირკიტა. ხან გადაატრიალა, ხან გადმოატრიალა, ვერსად ხინჯი ვერ უპოვნა. მაშ, ის «ბუხ» რა ოხრობამ დაიძახაო, ბრაზი მოუვიდა. ლულაშიაც კი ჩაიხედა, შიგ ვინმე ხომ არ ჩაძვრაო. აბა თოფის ლულაში ვინ ჩაძვრებოდა! «ეჰ, რა ტყუილად შემეხვეწა დედაჩემი, წადი, იქნებ როგორმე კურდღელი მოკლაო, — ფიქრობდა ჯუზეპე. — ის ჩემი დაც უკურდღლისხორცოდ დამრჩა»...

ამის ფიქრში იყო, და გავიხედოთ — ისევ ის კურდღელი არ გამოხტა! კოხტად თავდახურულს ნარინჯის ყვავილი მიებნია თეთრ ლეჩაქზე, არც აქეთ იხედებოდა, არც იქით, სულ სკუპ-სკუპით მიხტოდა თავჩაღუნული.

«იღბალს უყურე ერთი! — შესძახა ჯუზეპემ. — დედალი კურდღელი ყოფილა! ეგეც ჯვრისდასაწერად მიდის! ჯანდაბას!.. სულ არარაობას, ხოხობს მაინც მოვკლავ».

შევიდა ბიჭი ტყეში და ცოტა წინ წადგა თუ არა, რას ხედავს — ბილიკ-ბილიკ მართლა ხოხობი არ მოგოგმანებს! თანაც შიშის ნატამალი არ ეტყობა და თავიც ისეთნაირად უჭირავს, იტყვი, ქვეყნად ნადირობის პირველი დღეა და თოფი რა არის, არც კი იცისო.

ჯუზეპემ ხელად ფეხზე შეაყენა თავისი ორლულიანი, ხოხობი მიზანში ამოიღო და ჩახმახიც დასხლიტა, მაგრამ, რის გასროლა, რა გასროლა, თოფმა ორჯერ «ჭახ! ჭახ!» დაიძახა — აი, როგორც პატარა ბიჭებმა იციან, როცა ხის თოფს აჭახუნებენ, და ტყვიამ იქვე წითელ ჭიანჭველებზე მოადინა რაკვანი. ჭიანჭველები დაფრთხნენ, არიქა, თავს დაგვესხნენო, და ნაძვის ქვეშ მიიმალნენ.

— კარგი საქმეა, მე და ჩემმა მზემ! — ბრაზიანად წაიდუდუნა ჯუზეპემ. — რაღა მინდა რა! დედაჩემი, ვიცი, სულ ტუჩებს დამიკოცნის, ხელცარიელს რომ დამინახავს!

ამასობაში, სიფრთხილეს თავი არა სტკივაო, ხოხობი ბალახებში შეძვრა, მაგრამ ბიჭმა მიხედვ-მოხედვა ვერც მოასწრო, ისევ ბილიკზე მოჰკრა თვალი. ოღონდ ახლა მარტო აღარ იყო, უკან თავისი ლაპრები ასდევნებოდნენ. წალიკ-წალიკ, ბაწარაღებით მოხუსხუსებდნენ. უხაროდათ, რა კარგია, მამა რომ ვერა გვხედავს, გიყვარდეს, იმის ზურგს უკან ვიცელქებთ და ვიეშმაკებთო. მალე დედა ხოხობიც გამოგოგდა. თავი ისე ყინჩად ეჭირა, ისეთნაირად მოფარფაშებდა, თითქოს ეს-ეს არის პირველი პრემია მიანიჭეს და აღარ იცის რა ქნასო.

— შენ რატომ არ იფარფაშებ რა! — წაიბუტბუტა ჯუზეპემ, — ქმარიცა გყავს და შვილებიც. ჩემს დას რაღა პირით ვეჩვენო? რას ვესროლო, აბა, რა მოვკლა?

ამ ბუტბუტ-დუდუნში წელანდელზე გულმოდგინედ გატენა თოფი და, იქნებ ბედმა ახლა მაინც გამიღიმოსო, გაიხედ-გამოიხედა. იცქირა, იცქირა, მაგრამ გარშემო სულდგმული არა ჭაჭანებდა რა, მარტო ერთი შაშვი ჩამომჯდარიყო ტოტზე. იჯდა არხეინად და უსტვენდა, თითქოს ეუბნებოდა, აბა, თუ ბიჭი ხარ, მოდი და მესროლეო.

ჯუზეპემაც, იცოცხლე, ესროლა, მაგრამ თოფი არც ახლა გავარდა, მხოლოდ ერთი «ბახ!» დაიძახა მხიარულად, როგორც პატარა ეშმაკი ბიჭი შესძახებს ხოლმე, როცა ყაჩაღებზე დაწერილ სურათებიან წიგნს ათვალიერებს. «ბახს» თან რაღაც სიცილისნაირიც მიაყოლა. შაშვი ხომ ლამის ტოტიდან ჩამოვარდა სიხარულით!

— ვიცოდი, ასეც იქნებოდა! — ჩაილაპარაკა ჯუზეპემ. — დღეს თოფებს ალბათ აჯანყება აქვთ.

— რა ქენი, მოკალი რამე, შვილო! — ჰკითხა დედამ შინდაბრუნებულ ჯუზეპეს.

— როგორ არა, მოვკალი, დედაჩემო. მართალია, ხორცი გამიფრინდა, მაგრამ სამაგიეროდ ფრთები მოვიტანე. ოღონდ არ ვიცი, ფაფასთან გემრიელი იქნება თუ არა.

## <u>ნაყინის სახლი</u>

არცთუ დიდი ხნის წინათ ბოლონიაში, ზედ მთავარ მოედანზე, ნაყინის სახლი ააგეს. ვინ იცის, საიდან აღარ მოგროვდნენ იმ მოედანზე ყმაწვილები, ყველაზე მივარდნილი მხარეებიდანაც კი ჩამოვიდნენ, გავიგეთ გემრიელი სახლი აუშენებიათ და იქნებ ცოტა მაინც გაგვალოკინონო.

ნაყინის სახლს მარმელადის სახურავი ჰქონდა, საკვამურებიდან კვამლის მაგივრად გათქვეფილი ნაღები ამოდიოდა, ბუხრები კი სულ ერთიანად დაშაქრული ხილისა გაემართათ. დანარჩენი ყველაფერი ნაყინისა იყო — კარებიც, კედლებიც. ავეჯიც რომ ავეჯია, ისინიც ნაყინისა იდგა.

ერთი პატარა ბიჭი ლამის ზედ აეკრა სასადილო მაგიდას. იმდენი ულოკა ოთხივე ფეხი, მაგიდამ ვეღარ გაუძლო და თავზე დაემხო თავის თეფშებიანად და ლამბა-

ქებიანად. მერე სულ შოკოლადიანი ნაყინის თეფშები და ლამბაქები ეწყო იმ მაგიდაზე! თანაც ნუღარ იტყვი, როგორი შოკოლადიანი ნაყინისა! უკეთესი ტყუილია!

ერთხელაც იქით ქალაქის ყარაულმა ჩაიარა და დაინახა — ერთი ფანჯარა თანდათან დნებოდა. ფანჯარას მინები მარწყვის ნაყინისა ჰქონდა და იმიტომაც იყო, ვარდისფრად რომ წურწურებდა.

— არიქათ! — ყვირილი ატეხა ყარაულმა. — მალე!

ყველანი ერთბაშად მისცვივდნენ შემდნარ სახლს და გაჩაღდა ლოკვა, მაგრამ რა გაჩაღდა! აი, პირის ჩატკბარუნება იქ იყო!

— დედაშვილობამ, სავარძელი მაინც გამომიტანეთ! — საბრალოდ იხვეწებოდა ერთი დედაბერი, რომელსაც იმდენ ხალხში თავგზა აჰბნეოდა. — ნუ მაწყენინებთ მოხუც ადამიანს! ბევრს არა გთხოვთ, სავარძელი მინახეთ რამე, იქნებ სახელურებიანიც იყოს!

ერთი გულკეთილი მეხანძრე მართლაც შევარდა სახლში და დედაბერს კრემითა და ბუსტუღის გულით მორთული ნაყინის სავარძელი გამოუტანა. უნდა გენახათ რა დღეში ჩავარდა საცოდავი, აღარ იცოდა, რა ექნა სიხარულით! იცოცხლე, ხელად მოულხინა კიდეც და სწორედ სახელურებიდან დაიწყო!

რაღა ბევრი გავაგრძელო, ნამდვილი დღეობა გაიმართა! ღმერთმანი, მუცელიც კი არავის ასტკივებია, ექიმებს ებრძანებინათ, ბუყბუყი და თუხთუხი არ გავიგოთო.

ამ ამბავს ახლაც ჰყვებიან.

თუ ბავშვი ატყდა, დედას ან მამას ჩააცივდა, გინდა თუ არა, ნაყინი მეორედაც უნდა მიყიდოო, მშობლებს გული მოსდით და უჯავრდებიან:

— კიდევ რა გინდა! ბოლონიელებისა არ იყოს, იქნებ ნაყინის სახლიც ამაშენებინო!

## <u>უკუთხო და უკუნჭულო ქვეყანა</u>

მოგზაურობის გიჟიაო, რომ იტყვიან, სწორედ ჯოვანინო ჩიტირეკიაზე იყო ზედგამოჭრილი. იმდენი იარა, იმდენი იხეტიალა, თვითონაც ვერ გაიგო, როგორ მიადგა ერთ უცნაურ ქვეყანას. იმ ქვეყანაში სულ კვერცხივით მრგვალი სახლები იდგა. ახლა სახურავებს არ იკითხავ, რანაირი სახურავები ჰქონდათ? იმისთანა კი არა, როგორიც სხვა ქვეყნებშია —გაშვერილ-გამოშვერილი, სუყველა ერთიანად ნაპირებ-აზნექილი, ბოლოში მრგვალად აღუნული იყო. ქუჩების გასწვრივ მთელ სიგრძეზე ვარდი ყვაოდა, და ჯოვანინოს აბა რა გული მოუთმენდა ერთი მაინც არ მოეწყვიტა და გულის ჯიბეში არ ჩაებნია. ისიც კარგად იცოდა, უეკლო ვარდი რომ არ არის, და სანამ წაეტანებოდა, ათი თვალი გამოიბა, ხელები არ დავიგაზოო. მაგრამ ტყუილი სიფხიზლე გამოუვიდა — არაფერი არ შეერჭო და არც ეჩხვლიტა. ან რა უნდა შერჭობოდა, ან რას უნდა ეჩხვლიტა, როცა არც ერთ ეკალს წვერი არა ჰქონდა. გეგონება, რეზინის ნემსებიაო, თითებში უღიტინებდნენ.

— საკვირველი ამბავია! — ხმამაღლა თქვა ჯოვანინომ.

ამის თქმა იყო, და ვარდებიდან პირმცინარე ყარაულმა ამოყო თავი.

— ალბათ არ იცოდით, ვარდის მოწყვეტა რომ აკრძალულია, არა? — ჰკითხა მან ჯოვანინოს.

— მართალი გითხრათ, მაგაზე არც მიფიქრია. ძალიან ვწუხვარ, — უპასუხა ბიჭმა.

— თუ ეგრეა, მაშ მხოლოდ ნახევარ ჯარიმას გადაიხდით, — უთხრა ყარაულმა და თან სახე ისე გაებადრა, ნამდვილად იტყოდი, პინოქიო რომ სათამაშოების ქვეყანაში წაიყვანა, ის არის, ის ოქროპირი კაციაო. ყარაულმა წიგნაკი მოიმარჯვა, ქვითრის გამოწერას შეუდგა. და ჯოვანინომ თვალებს არ დაუჯერა — ქვითარს ის ყარაული წაუთლელი ფანქრით წერდა, სრულიად წვერწაუთლელი ფანქრით!

— ეჰე! — თავისდა უნებურად შესძახა ჯოვანინომ. — ბოდიში, ხმალს ხომ არ მაჩვენებთ?

— დიდი სიამოვნებით, — უთხრა ყარაულმა.

ისიც თუ ხმალი იყო, მაშ მართლა ხმალი რაღაა! არც ფხა ჰქონდა, არც წვეტი!

— მაინც რა ქვეყანაა ამისთანა? — ჰკითხა ჯოვანინომ.

— უკუთხო და უკუნჭულო ქვეყანას ეძახიან, — უპასუხა ყარაულმა.

თანაც ისეთი მოწიწებით წარმოთქვა ყოველი სიტყვა, თითქოს სული უნდა შთაბეროს ამ სიტყვებს და გააცოცხლოსო.

— მაშ, აბა ლურსმანს რანაირად ხმარობთ?

— არც რანაირად. ჩვენში უკვე დიდი ხანია ლურსმანი წებოთი შევცვალეთ. ახლა კი ნუ მომერიდებით და ორჯერ გამაწანით სილა.

ჯოვანინომ იმხელა პირი დააღო, გალავნიან ციხე-კოშკს გადაყლაპავდა.

— რასა ბრძანებთ, — წაიბუტბუტა ჯოვანინომ. — ოფიციალური პირის შეურაცხყოფას, ისიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, არავინ მაპატიებს. ძალით რატომ ჩავიგდო ციხეში თავი! თანაც, სილის გაწვნაზე თუ მიდგა საქმე, მე უფრო მეკუთვნის, რომ გამაწნათ.

— არა, აქ წესად გვაქვს შემოღებული, — თავაზიანად აუხსნა ყარაულმა. — მთელი ჯარიმა ოთხი სილაა, ნახევარი ორი.

— ყარაული ჯარიმდება?

— ყარაულიც.

— არა, ეგ რა სამართალია! რა წესია!

— ნამდვილად, უსამართლობაა, — კვერი დაუკრა ყარაულმა. — ჩვენებს იმდენად სძულთ ეს წეს-ჩვეულება, იმდენად უჭირთ და უმძიმთ უდანაშაულო ადამიანისათვის სახეში ხელის შემორტყმა, რომ სულ იმის ფიქრში არიან, კანონი არაფერში არ დავარღვიოთო. აი ახლა ორჯერ რომ გამკრავთ სილას, სხვა დროს უფრო მეტად იფრთხილებთ.

— არ მინდა და არც გაგკრავთ! თითსაც არ დაგაკარებთ! მოფერებით კი მოგეფერებით...

— რა ვქნა, მაგ პირობით ჩვენს ქვეყანაში ვერ დაგტოვებთ, არ შემიძლია, — ჩაილაპარაკა ყარაულმა.

მეტი რა გზა ჰქონდა, ჯოვანინომაც დააგდო ის უკუთხო და უკუნჭულო ქვეყანა. თუმცა დღემდე ისევ იმის ოცნებაშია, ნეტავი კიდევ იქ დამაბრუნა, სადმე ერთი კვერცხივით კოხტა სახლი ამაშენებინა და ცოტა ხანს მაინც მაცხოვრა მთელ დედამიწის ზურგზე იმ მართლაც ყველაზე ზრდილობიან ხალხშიო.

## <u>დასანგრევი სახლი</u>

ქალაქ ბუსტო-არსიციოში ბავშვები ერთი ხანობა ისე აფუჭებდნენ, ამტვრევდნენ და ხევდნენ ყველაფერს, რომ იქაურები მართლა ძალიან შეფიქრიანდნენ. ვინმეს არ ეგონოს, ფეხსაცმელზე, შარვლებზე და სკოლის ჩანთებზე ვლაპარაკობდე. არა, რა სათქმელია! ფეხბურთის თამაშს რომ დაიწყებდნენ, მინებს სულ ლაწალუწი გაჰქონ-

და, მაგიდას თუ მიუსხდებოდნენ, ერთი მთელი თეფში არ გადაურჩებოდათ, ფინ-ჯნებს ხომ ნუღარ იტყვი, რომელ კაფეშიც შევიდოდნენ, ამსხვრევდნენ და ამსხვრევ-დნენ. კედლებს კი ჯერჯერობით ალბათ იმიტომ არ ანგრევდნენ, ხელთ ჩაქუჩები არა ჰქონდათ.

მშობლებმა პირდაპირ აღარ იცოდნენ, რა ექნათ, რა ეღონათ, და, ბოლოს, ქალა-ქის თავს მიადგნენ.

— რას იტყვით, ჯარიმა რომ დავადოთ, ჰა? — აზრი იკითხა ქალაქის თავმა.

— ძალიან კარგი იქნება! ერთხმად შესძახეს მშობლებმა. — ავდგებით და სულ ნამტვრევებით და ნატეხებით გადავიხდით.

იმ მხარეში იღბლად ქვეყნის ბუღალტერი იყო. ყოველ სამ მცხოვრებზე თითო ბუღალტერი მოდიოდა. თანაც სუყველა ბუღალტერმა ჩინებულად იცოდა ანგარიში. ყველაზე უკეთესად კი მაინც ძველი ბუღალტერი სინიორ გამბერონი ანგარიშობდა. მოხუც გამბერონის ჭიანჭველებივით ეხვივნენ შვილიშვილები, რომელთა წყალობი-თაც დიდად გაწაფული იყო ნამტვრევებისა და ნატეხების დაანაგარიშებაში. ერთხე-ლაც აიღო ფურცელ-ქაღალდი, ფანქარი და სულ იანგარიშა, რაც ბუსტო-არსიციოელ-მა ბავშვებმა ქალაქს ზარალი მიაყენეს. იანგარიშა და, იცი, რამდენი გამოვიდა ზარა-ლი? გაუგონარი თანხა! კარამელიარდ პასტილიარდ მარმელადიონ ოცდაცამეტი!

— გამიგონეთ, ხალხო, — გულზე ცეცხლს იკიდებდა სინიორ გამბერონი, ამ ფულის ნახევრით ერთი ვეებერთელა სახლი აშენდება. ცქერა აღარ უნდა, ავაშენოთ და, რახან არ იშლიან, სულ თავიანთი ხელით დავანგრევინოთ. თუ მაინც არ დაც-ხრნენ და არ დაშოშმინდნენ, მორჩა, აღარაფერი უშველით.

ბუღალტრის აზრი ჭკუაში დაუჯდათ. მალე მართლაც მშვენიერი სახლი წამო-ჭიმეს. პატარა კი არა, შვიდსართულიანი, ოთხმოცდაცხრამეტოთახიანი. ოთახები სარკეებით მორთეს, ზოგან მომცრო. ზოგან მოზრდილი ონკანები დააყენეს, ავეჯს ხომ თვლა არა ჰქონდა. მაგიდებზე და კარადებში ჭურჭელი და სათამაშოები აღარ ეტეოდა.

ნანატრი დღეც დადგა. ბავშვებს ჩაქუჩები დაურიგეს და, ქალაქის თავმა ანიშნა თუ არა, მთელ იმოდენა შვიდსართულიან სახლში სუყველა კარი ერთბაშად გაიღო.

ძალიან სამწუხაროა, რომ ტელეკამერები დროით ვერ მოიტანეს და ამ უჩვეუ-ლო სანახაობას მთელმა ქვეყანამ არ უცქირა. ვინც იქ შეესწრო, თავისი თვალით ნახა და თავისი ყურით მოისმინა, ყველა იმას ამბობს, ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ ნამდვი-ლად გვეგონა, ეს არის და მესამე მსოფლიო ომი ატყდაო.

ბავშვების გუნდი ლომგული ატილას ლაშქარივით დაჰქროდა ოთახიდან ოთახში და შავ დღეს აყენებდა, რაც რამ იქ იყო. ჩაქუჩის ხმა მარტო ლომბარდიას კი არა, ნახევარ შვეიცარიასაც ესმოდა. კატის კუდის ტოლა გოგო-ბიჭები კრეისერისო-დენა უზარმაზარ კარადებს ეჯაჯგურებოდნენ და თავს მანამ არ ანებებდნენ, სანამ სულ ლუკმა-ლუკმად არ აქცევდნენ. ზოგი  ცისფერ წინსაფარს დააფრიალებდა, ზო-გიც — ვარდისფერს. შენ ბაგის ჭიები დაუძახე, ყავის ჭურჭელს ზედ რომ შესდგებოდ-ნენ, უნდა გენახა, რა გულიანად ნაყავდნენ! ფხვნილი და გამტკიცული ფქვილი რა მოსატანია, პირდაპირ პუდრი გეგონებოდა, ისე აბურნუთებდნენ.

პირველი დღე რომ დაღამდა, იმ ოთხმოცდაცხრამეტ ოთახში არსად მთელი ჭიქა აღარ იყო. მეორე დღეს სკამებს მოუღეს ბოლო. მესამე დილით კედლებს დაე-რივნენ. ბოლო სართულიდან დაიწყეს, მაგრამ ის იყო მეოთხემდე დავიდნენ, რომ ხა-სიათი წაუხდათ და ფარ-ხმალი დაყარეს. ქანცგაწყვეტილებს აღარაფრის თავი არა ჰქონდათ, მთლად მტვერში იყვნენ ამოგანგლულები, როგორც ნაპოლეონის ჯარისკა-ცები უდაბნოში. რის ვახშამი, რა ვახშამი, საჭმელი არც გახსენებიათ, საძილედ უკ-

ვდებოდათ თავი. დაწოლა და დაძინება ერთი იყო. ხელები უკვე აღარ ექავებოდათ, მართლა გემოზე მოიოხეს გული, მტვრევითაც დაძღნენ და ნგრევითაც. თვალის დახამხამებაში გამოიცვალნენ, პეპლებივით ფრთხილები და ნაზები გახდნენ; ახლა ბროლის ჭიქებით მოფენილ მინდორზე ფეხბურთის თამაშიც რომ ებრძანებინათ, ალბათ ერთი ჭიქაც არ გაუტყდებოდათ.

ბუღალტერმა გამბერონიმ დაიანგარიშა და ყველას დაუმტკიცა, რომ ქალაქმა დუსტო-არსიციომ ორ ტრიუფელიარდზე ცოტა მეტი წმინდა მოგება ნახა.

რაც კი იმ დასანგრევად განკუთვნილი სახლისაგან გადარჩა, საქალაქო საბჭომ ბუსტო-არსიციოელ მოქალაქეებს გადასცა, როგორც გინდათ, მოიხმარეთო. მერე არ იტყვი, რა მოხდა? ერთ საათსაც არ გაევლო, რომ მინგრეულ-მონგრეულ შენობაში თვალი მოჰკრეს ტყავის ჩანთიან და ოქროს სათვალიან დარბაისელ სინიორებს — ზოგიერთი მუნიციპალური მრჩეველი იყო, ზოგიც ვექილი და დირექტორ-განმკარგულებელი. ხელში ყველას ჩაქუჩი ეჭირა. ხან კედლებს მისცვივდებოდნენ და ანგრევდნენ, ხანაც კიბეებს დაუშენდნენ ხოლმე. ჭინკა ბიჭებივით დახტოდნენ, უხაროდათ ეს რა კარგი გასართობი და ძალ-ღონის გამოსაცდელი საქმე ვიშოვნეთო.

შინ რომ ვმსხდარიყავით, ან საფეფრლე გაგვიტყდებოდა, ანდა ნაჩუქარი სერვიზის თეფში, და ჩვენს ცოლებს ვეღარ გადავურჩებოდითო, ხითხითებდნენ ისინი და კიდევ უფრო მეტი ძალით იქნევდნენ ჩაქუჩებს.

ბუღალტერ განბერონის კი მადლიერების ნიშნად შუაში გახვრეტილი ვერცხლის მედალი გადასცა ქალაქმა ბუსტო-არსიციომ.

## <u>მოდი რიცხვები მოვიგონოთ</u>

— მოდი, გინდა, რიცხვები მოვიგონოთ!

— მოვიგონოთ, რა! პირველი მე ვიტყვი: მინდორშია ექვსი ცხენი, სამი დედა, სამი კვიცი. ამის მეტი აღარ ვიცი...

— ეეჰ! ეგ რა რიცხვებია. აბა, ყური დამიგდე, ნამდვილ რიცხვებს გეტყვი: ბილიარდონ ბილიარდონი, სეკსილიარდ სეკსილიონი, კვინტილიონ ბიკვინტილიარდი.

— დიდი ამბავი! მე, თუ გინდა, გამრავლების ცხრილს მოვიგონებ, აი:

სამჯერ ერთი — «წერილს მწერდი».

სამჯერ ორი — «მოგეპარა ღორი».

სამჯერ სამი — «წაგექცა სკამი».

სამჯერ ოთხი — «შარვალი გაქვს ლორთხი».

სამჯერ ხუთი — დაგემხო ხუფი».

სამჯერ ექვსი — ლომზე შეგსვი».

სამჯერ შვიდი — «სიმინდს ფშხვნიდი».

სამჯერ რვა — «აბგა გაგერღვა».

სამჯერ ცხრა — «ყვავი დაგაცხრა».

სამჯერ ათი — «შეგაჭამე დათვი».

— აბა, სწრაფად თუ იტყვი, ხაჭაპური რა ღირს?

— ორი წკიპურტი დაგიჯდება.

— აქედან მილანამდე რა მანძილია?

— ერთი ნავალი და სამოცი წყვილი სულ ახალთახალი კილომეტრია.

— ცრემლის წონას თუ მეტყვი!

— გააჩნია  ვისი ცრემლია. ჭირვეულისა ნიავზე მსუბუქია, მშიერი ბავშვისა კი მთელ დედამიწას აიწონის.

— ცოტა გრძელი ზღაპარი გამოვიდა, არა?

— ცოტა კი არა, ძალიან!

— მაშ, აბა სწრაფად მოვიგონოთ კიდევ ორიოდე რიცხვი. იცი, მოდენაში როგორ ითვლიან? «ერთიკა, ორიკა, სამიკა — ფისუნა ხილაბანდს წაიკრავს. მდინარეს აუვლის, ჩაუვლის —წყალში ჩაუვარდა შაური».

— მაგას რა უჭირს, შენ რომში ნახე, როგორი თვლა იციან, «ერთუნია, ორუნია, სამუნია — მოთხუნულა ამუნია; ოთხუნია, ხუთუნია — მოთხუნულა ღრუტუნიაც; ექვსუნია, შვიდუნია — ღრუბელზე ზის ჩიტუნია; რვანცი, ცხრანცი, ათუნია — ბუმ შეჭამა დათუნია».

## <u>შოკოლადის გზა</u>

იყო და არა იყო რა, სამი ძმის უკეთესი რა იქნებოდა. ისინი ქალაქ ბარლეტაში ცხოვრობდნენ. ერთხელ ქალაქგარეთ ბილიკ-ბილიკ დასეირნობდნენ და უცაბედად შარაგზაზე გადავიდნენ. მეტად უცნაური გზა იყო — სულ მთლად სწორი და ყავისფერი.

— რის გზაა ნეტავი? — იკითხა უმცროსმა ძმამ.

—ფიცრისას არა ჰგავს, — უპასუხა შუათანამ.

— ხრეშისა ხომ არ არის და არა, — თქვა უფროსმა.

კარგა ხანს იმკითხავეს, იმარჩიელეს, მერე სამივენი მუხლებზე დადგნენ და გზას ენა აუსვეს.

ბიჭოს, შოკოლადის გზა იყო! დიდხანს აღარ უფიქრიათ, მოდი გემოთი გავსინჯოთო, გადაწყვიტეს ძმებმა, პატარა მოატეხეს და შეჭამეს. მერე კიდევ მოატეხეს, მერე კიდევ... და ამასობაში მოსაღამოვდა, ისინი კი ისევ ოთხზე იდგნენ და იმდენი ჭამეს, იმდენი იტკბარუნეს პირი, სანამ გზა სულ არ შემოეჭამათ. ბოლოს აღარც შოკოლადი იყო, აღარც გზა.

— სადა ვართ? _ იკითხა უმცრომა ძმამ,

— არა, ბარის მხარეს არა ჰგავს, — თქვა შუათანამ.

— არც მოლფეტა უნდა იყოს, — თქვა უფროსმა.

აღარ იცოდნენ, რა ექნათ, საით წასულიყვნენ. იღბლად გლეხმა ჩამოიარა, ხელისურემი მოჰქონდა, მინდვრიდან მოდიოდა, დასხა ბიჭები ხელისურემზე და ბარლეტამდე მიიყვანა, ზედ იმათი სახლის წინ ჩამოსხა.

ურმიდან რომ ჩამოდიოდნენ, ძმებმა ახლაღა დაინახეს _ ხელისურემი ხისა კი არა, ნაზუქისა იყო.

ამას რას ვხედავთო, სიხარულით შეითამაშეს ძმებმა და ორივე ხელით დაუწყემს ჭამა. კარგა ხანს იღმურძლებოდნენ, თვლები და ხელნებიც კი შესანსლეს.

აი, როგორ გაუღიმა ბარლეტელ ძმებს ერთხელ ბედმა. არ ვიცი, მეორედ გაუღიმებს თუ არა.

## <u>დაბნეული ბიჭის არაკი</u>

— წავალ, დედა, ცოტას გავივლი.

— წადი, შვილო, ოღონდ ფრთხილად იარე, აქეთ-იქით ცქერა ნუ იცი.

— კარგი, დედა, ნახვამდის!

— ძალიან დაბნეული ხარ, შვილო, ძალიან.

— კარგი, დედა. წავედი, აბა.

ჯოვანინო მხიარულად გამორბის სახლიდან და, სანამ თავიანთ უბანს გაივლიდეს, სულ იმის ცდაშია, აქეთ-იქით არ გავიხედო და ყურადღება არ გამეფანტოსო. წარამარა ჩერდება და თავ-ტანს ისინჯავს — ყელაფერი თავის ადგილზე მაქვს თუ არაო, თანაც ეღიმება, სულელი არავის ვეგონოო. გახარებულია, რა დაკვირვებული ბიჭი ვარო, ბეღურასავით დახტის და მალე სუყველაფერი ავიწყდება. ხან ვიტრინების ცქერა იტაცებს, ხან მანქანებს ვერ აშორებს თვალს და ხანაც ღრუბლებს აშტერდება. აი, სწორედ ახლა იწყება მთელი უბედურება.

ვიღაც სინიორი საყვედურის კილოთი ეუბნება:

— ეგრე რამ დაგაბნია, ბიჭო? ვერა ხედავ, თითები დაგკარგვია!

— რას მელაპარაკები! მართლა რა დაბნეული ვინმე ვარ!

ჯოვანინო თითებს ეძებს და ცარიელ ქილას პოულობს. ვინ იცის, იქნებ ცარიელი არც არის. დაიცა, ჯერ ნახოს. ნეტავი შიგ რა იყო, სანამ დაცარიელდებოდა. არა, სულ მუდამ ასე ცარიელ-ტარიელი ხომ არ იქნებოდა, როგორც ახლაა.

ამასობაში ჯოვანინოს სულ გადაუვარდა გულიდან, რომ თითები აქვს საძებნელი, მერე საიდანღაც კოჭლი ძაღლი გამოხტება და ის ქილაც გადაავიწყდება. რა ლარი და ხაზი უნდა, ბიჭი ძაღლს დაედევნება, და მოსახვევამდე არც არის მისული, რომ მკლავი სწყდება და ეკარგება. მე შენ გეტყვი, გაიგებს თუ რა! შენც არ მომიკვდე — ისე გარბის, ვითომ არაფერიც არ მომხდარიყოს.

— ჯოვანი! — ეძახის ვიღაც კეთილი ქალი. — ჯოვანი! ხელი დაგეკარგა, ბიჭო!

ეძახოს რამდენიც უნდა! ჯოვანინო აინუნშიაც არ აგდებს.

— არა უშავს რა, — ამბობს ის ღვთისნიერი ქალი, — წავალ, დედამისს წავუღებ.

ჯოვანინოს დედა შინ არის.

— თქვენი შვილის ხელი მოგიტანეთ, სინიორა.

— დედა, დედა! რა მყავს ამისთანა დაბდური! რა დაბნეულია, რა ვქნა, რა წყალში გადავვარდე!

— რას იზამ, ყველა ბავშვი ეგრეთია.

მერე ახლა სხვა ქალი მოდის.

—სინიორა, აი ფეხი ვიპოვნე, ნახეთ ერთი, თქვენი ჯოვანინოსი ხომ არ არის?

— იმისია, აბა ვისი იქნება! მაგის ძირგახვრეტილ ფეხსაცმელს რა დიდი ცნობა უნდა. ნეტავი სულ არ გამჩენოდა! თქვენ მაინც მასწავლეთ, რა ვქნა, როგორ მოვიქცე.

— რას იზამ! ყველა ბავშვი ეგრეთია.

ცოტა ხნის მერე ახლა დედაბერი მოდის, იმას მეფუნთუშე მოსდევს, მეფუნთუშეს — მეთევზე, მეთევზეს — მევაგონე, და აი, მოხუცი პენსიონერი მასწავლებელიც მოხუსხუსებს. ყველას რაღაცა მოაქვს ჯოვანინოსი, ზოგს ფეხი, ზოგს ყური, ზოგსაც ცხვირი.

— არა, ჩემი შვილისთანა დაბნეული არავის ეყოლება ქვეყანაზე, — დარდიანად ამბობს ჯოვანინოს დედა.

ბოლოს ასკინკილათი შემორბის თვითონ ჯოვანინო: ცალფეხა, ცალხელა და ცალყურაა, მაგრამ მაინც არხეინად არის.

რა ქნას დედამ, შვილია და ებრალება, ჯერ ხელს აიღებს და მიაბამს, მერე ფეხსაც მიაკერებს...

— ყველაფერი კარგად მომერგო, არა, დედა? ხედავ, რა ყოჩაღად მოვიქეცი!

— ჰო, ყოჩაღად მოქცეულხარ, შვილო, კიდევ კარგი, თავიც არ დაკარგე!

# ღობემძვრალა

იყო და არა იყო რა, იყო ქალაქ გავერატეში ერთი გაკნაჭული, ჩხირივით ხმელი, მოცუცქნული ქალი. სუყველა ერთპირად ღობემძვრალა ჩიტის სახელს ეძახდა. დილიდან საღამომდე სხვა საქმე არა ჰქონდა, იდგა და ითვლიდა, ცხვირს ვინ რამდენჯერ დააცემინებდა. საღამოთი კი შეყრიდა ხოლმე თავისნაირ ენაჭარტალა დედაკაცებს და ანგარიშს აბარებდა, იმან ამდენჯერ დააცემინა, იმან იმდენჯერო. მერე ენად გაიკრიფებოდნენ, და იყო ერთი გაუთავებელი კილვა და ძრახვა. იმდენს ილაქლაქებდნენ, იმდენს იჭორავებდნენ, სანამ საძილედ კინწი არ მოსწყდებოდათ.

— აი, ჩვენი აფთიაქარი რომ არის, — ჩურჩულ-კურკურით ატყობინებდა ღობემძვრალა, — ზედიზედ შვიდჯერ დააცემინა!

— რას ამბობ!

— ღმერთმანი, შვიდჯერ! ცხვირი გამიხმეს, თუ ტყუილს გეუბნებოდეთ. მეშვიდედ რომ დააცემინა, თითქოს გამოზომაო, გაჭიმული შვიდის ნახევარი იყო,

ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას. თათხავდნენ, ათრევდნენ და, ბოლოს, ასკვნიდნენ: ეგ ჩვენი აფთიაქარი სასაქმებელ ზეთს ნამდვილად აუდუღარი წყლით აზავებსო.

— ახლა მღვდელს არ იკითხავთ? შვიდი რა სათქმელია, თოთხმეტჯერ დააცემინა! — უკენჭავდა ჭარტალა დედაკაცებს მღელვარებისაგან სახეწამოჭარხლებული ღობემძვრალა.

— კარგად დაინახე? ვინმეში ხომ არ გეშლება?

— ღმერთმანი, ის იყო! ცხვირი გამიხმეს, თუ თოთხმეტზე ნაკლები დაეცემინებინოს.

— რა გვეშველება, რა გვეშველება!

ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას. თათხავდნენ, ათრევდნენ და, ბოლოს, ასკვნიდნენ, ეგ ჩვენი მამა ქრისტეფორე ძალიან ბევრ ზეთს უშვრება სალათასო.

ერთხელ ღობემძვრალამ ამ თავის ამფსონ ქალებს ერთად მოუყარა თავი. კარგა ბლომად მოგროვდნენ, კვირაში რამდენი დღეც არის, იმაზე მეტი იყვნენ, — წაიყვანა და სინიორ დელიოს ფანჯარასთან გაისუსნენ. მაგრამ სინიორ დელიომ ერთხელაც არ დააცემინა. ან რატომ დააცემინებდა? არც გაციებული იყო და არც თუთუნი დაუსუნია.

— უყურე ერთი! არ აცემინებს! — ვეღარ მოითმინა ღობემძვრალამ. — აქ რაღაც უწმინდურებაა!

— ნამდვილად ეგრეა! — კვერი დაუკრეს ქალებმა.

ლაპარაკი შეესმა თუ არა, სინიორ დელიომ ერთი მუჭა დაფქული წიწაკა ჩაყარა შპრიცში და უჩუმრად თავზე გადააფრქვია ფანჯარასთან ატუზულ ჭორიკანებს.

პირველმა თვითონ ღობემძვრალამ დააცემინა.

— აფცხი!

მერე დანარჩენებიც აჰყვნენ.

— აფცხი, აფცხი, აფცხი!

აცემინეს და აცემინეს, ძლივსღა გაჩერდნენ.

— მე თქვენზე მეტჯერ დავაცემინე, — თქვა ღობემძვრალამ.

— რა საკადრისია, ჩვენოდენჯერ არ დაგიცემინებია! — სიტყვა გაუტრიზავეს ქალებმა

იდავეს, იკაპარჩხანეს და, ბოლოს, თმაში სწვდნენ ერთმანეთს. სულ მთლად შემოიხიეს, რაც ტანთ ეცვათ. თანაც სუყველას თითო წინა კბილი ჩაემტვრა.

ის დღე იყო, და ღობემძვრალას იმ ქალებისთვის ხმა აღარ გაუცია. წავიდა, იყიდა უბის წიგნაკი, ფანქარი და ქალაქში მარტოკამ დაიწყო სიარული. როგორც კი ვინმე ცხვირს დააცემინებდა, უბის წიგნაკში ხელად ჯვარს დასვამდა. ერთთავად გაფაციცებული დადიოდა, ვინმეს დაცემინება არ გამომეპაროს და ჯვრის დასმა არ დამავიწყდესო.

როცა თავისი წუთისოფელი მოჭამია და იმ ქვეყანას წერილი წაიღო, ღობემძვრალას უბის წიგნაკი ხალხმა იპოვნა. გადაშალეს, ბევრი თვალეს, მაგრამ იქ დასმულ ჯვრებს რა დათვლიდა!

— უყურეთ ერთი, — ამბობდა ხალხი, — ჯვრებით ალბათ რაღაც კეთილ საქმეებს აღნიშნავდა. თანაც რა ამბავია, რამდენი სიკეთე ჰქონია ამ მამაცხონებულს დათესილი, ეს თუ სამოთხეში არ მოხვდა, მაშ, აბა, სხვა ვინ უნდა მოხვდეს!

## <u>საკალა, პაკალა</u>

ორი პატარა ბიჭი ეზოში მზის გულზე იჯდა და ახალ ენას იგონებდა. იმათ გარდა დედამიწის ზურგზე ის ენა არავის არ უნდა სცოდნოდა.

— საკალა, პაკალა, — თქვა ერთმა.

— პაკალა, საკალა, ბრაფ! — უპასუხა მეორემ.

და ორივენი ლამის სიცილით გაიგუდნენ.

იქვე შორიახლო, მეორე სართულის აივანზე ერთი კეთილი ხნიერი სინიორი იჯდა და გაზეთს კითხულობდა. მოპირდაპირე სახლის ფანჯრიდან კი ხანშიშესული სინიორა იცქირებოდა. ჩვეულებრივი ქალი იყო, არც ავი, არც კეთილი.

— მაინც რამ გამოასულელა ეს ბავშვები, ჰა? — თქვა სინიორამ.

კეთილი სინიორი არ დაეთანხმა, მე ვერაფერ სისულელეს ვერ ვატყობო, გაეპასუხა.

— თქვენ, ალბათ, იმასაც იტყვით, მაგათი ქაჯურის გაგებას რა უნდა, სუყველაფერი მესმისო.

— მესმის, აბა, არ მესმის! — შეესიტყვა კეთილი სინიორი. — ერთმა უთხრა, რა კარგი დღე გამოვიდაო, მეორემ კი უპასუხა, ხვალ უფრო კარგი დღე იქნებაო.

სინიორამ ცხვირი შეჭმუხნა, მაგრამ ხმა აღარ ამოუღია, ვინაიდან ბიჭებმა ისევ თავიანთ ენაზე დაიწყეს ლაპარაკი.

— მარასკი, ბარაბასკი, პიმპარამოსკი, — თქვა ერთმა.

— ბამბარამბამ ბასკი, კუმპარასკი, ბრუფ! — უპასუხა მეორემ.

და კვლავ სიცილი აუვარდათ.

— იქნებ ახლაც მითხრათ, ყველაფერი გავიგეო! — ბრაზიანად გასძახა სინიორამ.

— რასაკვირველია, გავიგე, — ღიმილით უპასუხა ხნიერმა სინიორმა. — ერთმა თქვა, რა კარგია, მზეს რომ ვუცქერითო, მეორემ კი უპასუხა, ცხოვრება მშვენიერი რამ არისო.

— ვითომ მართლა ეგრეა? — ფარ-ხმალს არა ყრიდა სინიორა.

—ბამბარამბამ ბასკი, ბრაფ, ბრაფ, ბრუფ, — უპასუხა ხნიერმა სინიორმა.

## <u>კარაქის კაცუნები</u>

სახელგანთქმულ მოგზაურსა და მრავალი ქვეყნის აღმომჩენ ჯოვანინო ჩიტირეკიას რომ საქმე დაემართა, ტყუილია! იმდენი იარა, იმდენი იხეტიალა, ერთ მშვენიერ დღეს კარაქის კაცუნების ქვეყანაში ამოყო თავი. იმ კაცუნებს მზეზე წურწური გაჰქონდათ, დნებოდნენ და ამიტომაც სულ ჩრდილს ეფარებოდნენ. მეტი სიფრთხილის გულისათვის საცხოვრებლად ისეთი ქალაქი ამოერჩიათ, სადაც სახლების მაგივრად მაცივრები იდგა. აბა სხვა რა საქმე ჰქონდა, დადიოდა ქუჩა-ქუჩა ჩვენი მოგზაური ჯოვანინო, ხან ერთ ფანჯარაში შეიხედავდა, ხან მეორეში და უყურებდა, როგორ ისხდნენ თავიანთ სახლ-მაცივრებში თავზე ყინულდადებული კარაქის კაცუნები. ყოველი მაცივრის სახელურზე ტელეფონი ეკიდა. ვინც მივიდოდა, იმ ტელეფონით უნდა დაერეკა, მასპინძელო, კარი გამიღეო.

— ალო!

— ალო!

— ვინ ლაპარაკობს?

— კარაქის კაცუნების ხელმწიფე გისმენთ. მთლიანად საკუთარი ნაღებისა ვარ, შვეიცარიული ძროხის რძის ნაღებისა. კარგად დაათვალიერეთ ჩემი მაცივარი?

— უკეთესად აღარ შეიძლება! სულ ბაჯაღლო ოქროსია. ერთი მითხარი, თქვენო უდიდებულესობავ, ნუთუ გარეთ არასოდეს  გამოდიხართ?

— მხოლოდ ზამთარში, როცა საკმარისად ცივა, და თანაც ყინულის ავტომობილით.

— ერთიც ვნახოთ, მზემ სწორედ მაშინ გამოიხედა ღრუბლებიდან და გარეთ მოუსწრო თქვენს უდიდებულესობას, რა უნდა ქნათ?

— არა, მზეს მაგის უფლება არა აქვს. ეგ აკრძალულია. თუ მაინც არ დაიშალა, ხელად ჩემს ჯარისკაცებს ვუბრძანებ, დაიჭირონ და ციხეში ჩასვან.

«ერიჰაა!»

ყურმილი დააგდო ჯოვანინომ და სხვა ქვეყანაში წავიდა.

## <u>გაუგონარი წვიმა</u>

ერთხელ პიომბინოში შაქარყინულის წვიმამ წამოუშინა. რაღა სეტყვა და რაღა ის წვიმა — სულ რაკარუკი აუყენა იქაურობას. მაგრამ ძირს თეთრად კი არ დადო, ხალიჩასავით ააჭრელა მთელი მიდამო. არ ვიცი, რა ფერის შაქარყინული აღარ ცვიოდა. საითაც უნდა გაგეხედა, მწვანეც ეყარა და ვარდისფერიც, ცისფერიც და იისფერიც. ეს რა ფერად-ფერადი კენჭები წამოყარა, არც სეტყვასა ჰგავს და არც ხოშკაკალსო, გულისხმაში ჩავარდა ერთი პატარა ბიჭი და მწვანე ფერისას დასწვდა, გაკვნიტა და პირში იმწუთას საამო სიგრილე იგრძნო, აი, როგორც პიტნის შაქარყინულის მერე იცის. მეორე ბიჭმა კი ვარდისფერი კენჭი ჩაიგდო პირში და იმწამს მარწყვის სუნი ეცა.

— კანფეტებია! კანფეტები! — ყვირილი მორთეს ბიჭებმა.

კანფეტების გაგონება იყო და დიდიან-პატარიანად სუყველა გარეთ გამოცვივდა. ზოგი უბეში იყრიდა, ზოგმა ჯიბეები დაიტენა და მაინც ვერა და ვერ გამოლიეს. ან რა გამოლევდა, წარღვნა მოდიოდა კანფეტისა.

ნაწვიმარზე სიარული გაჭირდა — ქუჩებში კოჭზე ეყარა კანფეტი. მთელ ქალაქში საამო სუნი იდგა. სკოლა ვისაც ცოტა გვიან დაუმთავრდა, იმ მოწაფეებსაც შეხვდათ თავიანთი წილი. იცოცხლე, დაივსეს ჩანთები. დედაბრებს ხომ ნუღარ იტყვი! რაც იმათ კანფეტი ზიდეს, ნურსად ნურავინ ნუ დაიტრაბახებს.

აი მართლა ტკბილი დღე ის იყო!

ბევრს აქამდე ახსოვს და ზოგიერთი ელოდება კიდეც — ან ახლა წამოვა კანფეტის წვიმა, ან ახლაო. მაგრამ ის საწვიმარი ღრუბელი რაღაც აღარა ჩანს არც პიომბინოში, არც ტურინში, არც კრემონაში.

## ალისა — ქარისა

ყური დამიგდე, ალისა-ქარისას ამბავი უნდა მოგიყვე. ქარისას რატომ ვამბობ? რატომ ვამბობ და ქარივით გოგო იყო, პატარა, დახვლიკული. წარამარა ეცემოდა, იჩეხებოდა.

ერთხელ პაპას ბაღში უნდა წაეყვანა და ძებნა დაუწყო:

— ალისა! სადა ხარ, ალისა?

— აქა ვარ, პაპა.

— სად აქა?

— საათში.

მართლა საათში იყო, მაღვიძარა საათიდან დაუძახა, აქა ვარო.

საათს უკან რომ პატარა ჭუჭრუტანა აქვს, თავი შიგ შეეყო, მოდი ერთი ვნახო, დღედაღამ რა აწიკწიკებსო. შეეყო და სანამ დაიყვირებდა, მიშველეთო, კბილანებსა და ზამბარებს შუა ჩავარდნილიყო. ხტოდა საწყალი კბილანიდან კბილანაზე, იქნებ გადავრჩე, ბორბლებმა არ ჩამიტანონო. საათის მიხლართულ-მოხლართული მოწყობილობა კი უფრო იქოქებოდა ამ ხტომა-ხტომაში და, მე შენ გეტყვი, ენა დაეღლებოდა, წიკწიკებდა და წიკწიკებდა.

მეორედ კი პაპა პურის საჭმელად ეძებდა ალისას.

— სადა ხარ, შვილო ალისა?

— აქ ვარ, პაპა.

— სად აქა?

— ბოთლში ვარ, ვერა მხედავ?

— მანდ რა გინდა, შვილო?

— წყალი უნდა დამელია, თავი ჩავყავ და ჩავყირავდი!

ბოთლში კარგა ბლომად იდგა წყალი. უნდა გენახა, რა დღეში იყო, რანაირად აფართხალებდა საცოდავი გოგო ხელებსა და ფეხებს, არ დავიხრჩოო. კიდევ კარგი, შარშან ზაფხულს სპერლონგაში რომ წაიყვანეს, ცოტა ბაყაყური მაინც ისწავლა.

დაიცა, შვილო, ახლავე ამოგიყვანო, უთხრა პაპამ და ბოთლში ბაწარი ჩაუშვა. ალისა ყოჩაღად ამოჰყვა ბაწარს და ამოვიდა ბოთლიდან. აი, სწორედ მაშინ მიხვდა, რა სასარგებლოც ყოფილა ტანვარჯიშის მიყოლა.

ერთხელ კი მართლა დაიკარგა ალისა. პაპაც ეძებდა, ბებიაც ეძებდა, მერე ის მეზობლის ქალიც წავიდა საძებნელად, ყოველდღე პაპას ნაყიდ გაზეთს რომ კითხულობდა და ამით ორმოც ლირას ზოგავდა.

— ღმერთო, რა გვეშველება! — ჩურჩულებდა შეშინებული ბებია. — რა უნდა ვქნათ, თუ ვერ ვიპოვნეთ და სამუშაოდან მაგის დედ-მამამ მოგვისწრო.

— ალისა ალისა სადა ხარ, ალისა?

უყვიროდნენ, ეძახდნენ, მაგრამ არსაიდან ალისას ხმა არ ისმოდა. ან რა ხმა უნდა გაეცა, როცა ძახილი არც ეყურებოდა? თურმე სამზარეულოში რომ დაცუნცულებდა, თავისი მჩხრეკელი ცხვირი იმ უჯრაშიც ჩაეყო, სადაც სუფრებსა და ხელსაწმენდებს ინახავდნენ. ჩაეყო და, ამას რაღა ტარჭრელი კოვზები უნდა, თან გადაჰყოლოდა კიდეც. რაკი თავი რბილად იგრძნო, ხელად ჩასძინებოდა. ამასობაში ვიღაცას უჯ-

რა მიეწია. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ შიგ ალისა იყო? როცა გაიღვიძა, დაინახა, რომ ირგვლივ უკუნეთი იდგა. მაგრამ, შენაც არ მომიკვდე, იმას არ შეშინებია. ადრე წყალსადენის მილში რომ ჩავარდა, აი იქ ბნელოდა, თუ ბნელოდა.

«მალე ალბათ ივახშმებენ. — ფიქრობდა ალისა. — სუფრის წასაღებად მოვლენ და მეც მიპოვნიან».

მაგრამ აბა ვახშმის დარდი ვიღასა ჰქონდა, როცა ალისა ჯერაც არსად ჩანდა? ვახშამი კი არა, თავი აღარ ახსოვდათ. საღამოთი ალისას დედა და მამა სამუშაოდან მოვიდნენ და, უნდა გენახა, რა დღე დააყენეს პაპასა და ბებიას. ბავშვი დაგვიკარგეთ, თქვენ რა პაპა და ბებია ხართო.

არა, ჩვენი შვილები წყალსადენის მილებში არა ცვიოდნენო, სიტყვას უტრიზავებდნენ პაპა და ბებია, ჩვენს დროს ბავშვი დიდი-დიდი საწოლიდან გადმოვარდნილიყო და შუბლზე კოპი დასჯდომოდაო.

ალისას კი ამასობაში ლოდინით გული გადაელია. გაღრღნა სუფრები და ხელსაწმენდები, როგორც იყო, უჯრის ძირამდე დავიდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, პაკაპუკი დაიწყო.

«პაკ! პუკ! პაკ! პუკ!»

— სსს! — თქვა მამამ. — მგონი, სადღაც აკაკუნებენ.

ალისამ კი უფრო მოუმატა:

«პაკ-პუკ! პაკ-პუკ! პაკ-პუკ!»

უჯრიდან რომ ამოიყვანეს, ლამის ხვევნითა და კოცნით დაახრჩეს. ახლა ალისას არ იკითხავ, რა ქნა? ბარემ ჯიბესთან ახლოსა ვარო, ისკუპა და მამის პიჯაკის ჯიბეში ჩაყირავდა. იქიდან რომ ამოჰყავდათ, იმდენი ებღაუჭა კალმისტარს, სულ მელნით მოითხუპნა მთელი თავ-პირი.

## <u>კაცი, რომელმაც სტოკჰოლმი იყიდა</u>

მერე რა, რომ პატარა ქალაქია გავერატე. აბა, ერთი იქაურ ბაზარში შეიარე, ათასნაირი თაღლითი და ოხერი შეგხვდება! ჩიტის რძე რომ ჩიტის რძეა, იქ უნდა მოიკითხო. მე შენ გეტყვი, ხვეწნა დაგჭირდება. თვალის დახამხამებაში გაუჩინარს გაგიჩენენ. ტყუილია, ამათზე გაქექილ ვაჭრებს, სანთლითაც რომ ეძებო, ვერსად ვერა ნახავ.

ერთმა მაინც მეტისმეტი ქნა — ისეთი რამეებით ვაჭრობდა. ხალხს სულ პირი დააღებინა: აბა, ჰა, მონბლანის მთა ვის გინდათო, მალე, თორემ გაიყიდა ინდოეთის ოკეანეო; მთვარეზე რომ ზღვებია, ისინიც კი გაასაღა. სიტყვების მაგიერად პირიდან თაფლი გადმოსდიოდა. ერთ საათში მარტო ქალაქი სტოკჰოლმიღა დარჩა გასაყიდი.

ეს ქალაქიც ერთმა დალაქმა იყიდა. საღირალი კი იმით გადაიხადა, რომ ყალთაბანდ ვაჭარს თავი გაჰკრიჭა და მასაჟიც ზედ მიაყოლა. მოწმობა ყველაზე გამოსაჩენ ადგილას, ორი სარკის შუა დაჰკიდა. მოწმობაში ნათქვამი იყო:

ქალაქ სტოკჰოლმის მესაკუთრე დალაქი ამ მოწმობით თავს იწონებდა მუშტრებთან, ცოტას აუცილებლად წაიტრაბახებდა და, თუ რამეს ჰკითხავდნენ, პასუხი მუდამ გამზადებული ჰქონდა...

— ეგ ქალაქი შვეიცაშია, მგონი, თანაც დედაქალაქია, — ეუბნებოდა ერთ მუშტარს.

— იქ ლამის მილიონი ხალხი ცხოვრობს, ხუმრობა ხომ არ არის, სულ ჩემი საკუთრებაა, — უხსნიდა მეორეს.

— როგორც გავიგე, ზღვაც უნდა ჰქონდეს. მაგრამ აი ის ზღვა ვიღასია, ეგ კი აღარ ვიცი, — ლაპარაკს გაუბამდა მესამეს.

იმ დღიდან, რა დღიდანაც მესაკუთრე გახდა, დალაქმა ფულის გროვება დაიწყო. ყოველდღიური შემოსავლიდან თითო-ოროლა კაპიკს ანარჩუნებდა. და აი შარშან კი, ერთ მშვენიერ დღეს, აიღო თავი და შვეიცარიაში გაემგზავრა: ბოლოს და ბოლოს ჩემი სამფლობელო ერთხელ მაინც ხომ უნდა ვნახოო. სტოკჰოლმში რომ ჩავიდა, თვალებს არ დაუჯერა, ქალაქში ვარ თუ ზღაპარშიო, ხოლო შვედებზე თქვა, ამნაირი ზრდილობიანი ხალხი დედამიწის ზურგზე არ იქნებაო. მაგრამ რად გინდა რა! იმათ ერთი სიტყვაც არ ესმოდათ, რასაც ეს ეუბნებოდა, ამას კი  სიტყვის ნახევარიც არ ეყურებოდა, რასაც ისინი უპასუხებდნენ.

— მე ამ ქალაქის პატრონი ვარ, ხომ იცით? — ეუბნებოდა დალაქი. უკვე შეგატყობინეს, არა?

შვედები იღიმებოდნენ და თავს იქნევდნენ. მართალია, ინჩიბინჩი არ ესმოდათ, მაგრამ ზრდილობიანი ხალხი იყო და, აბა, რა უნდა ექნათ! კმაყოფილი დალაქი კი ხელებს იფშვნეტდა და ფიქრობდა: «პირდაპირ ვიპოვნე და რა ვიპოვნე! ერთი გაკრეჭა და მასაჟი რა სათქმელია! ჭიანი ტყემლის ფასად ყიდვაც ამასა ჰქვია!»

უხაროდა დალაქს, გულში სიხარულის ჩიტი უფრთხიალებდა, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო, ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ არავის არაფერს არ გამორჩენია. ან რას უნდა გამორჩენოდა? პირიქით, ზედმეტიც კი გადაუხადა! ზედმეტი იმიტომ გადაუხადა, რომ ეს ქვეყანა ვინმესი კი არ არის, თანაბრად სუყველასია, შენიც, ჩემიც, იმისიც, თან ვერავინ ვერ წაიღებს და არავის უფლება არა აქვს გაყიდვა-გამოყიდვა დაუწყოს. მთავარია, მკლავები დაიკაპიწო და საქმე გეხერხებოდეს, თორემ დანარჩენს ყველაფერს მოევლება და წუთისოფელიც ბედნიერებაში მოგხმარდება.

## <u>როგორ ჩავარდა ალისა ზღვაში</u>

ერთ ზაფხულს ალისა ზღვაზე წაიყვანეს, და ისე მოეწონა, წყლიდან აღარ ამოდიოდა.

— გეყოფა, ამოდი, შვილო, ალისა! — გასძახებდა ხოლმე დედამისი.

— ახლავე, ახლავე! უკვე  ამოვდივარ, — ხმას გააგონებდა ალისა.

ამოსვლის მაგივრად კი ფიქრობდა: ფეხსაც არ ამოვადგამ, სულ წყალში ვიჯდები, სანამ ფარფლები არ გამომივა და თევზად არ გადავიქცევიო.

დაწოლის წინ ყოველ საღამოს სარკესთან იდგა და მხრებს ისინჯავდა — უკვე ხომ არ გამომივიდა ფარფლებიო, ანდა ტანზე ხელს ისვამდა — ქერცლი ამაჩნდა თუ არაო. მაგრამ არც ფარფლებისა ეტყობოდა რამე და არც ქერცლისა. ხანდახან ქვიშა თუ მოხვდებოდა ხელში. ისიც მაშინ, როცა დაეზარებოდა ხოლმე და შხაპს წესიერად არ გადაივლებდა.

ერთხელაც დილაადრიან მივიდა ზღვასთან და პატარა ბიჭი დაინახა. ის ბიჭი ზღვის ზღარბებს, საჭმელ მოლუსკებსა და კოკორინა ჩიტებს აგროვებდა. მეთევზის შვილი იყო და ზღვის ასავალ-დასავალში თავისი ხუთი თითივით ერკვეოდა.

— აბა, თუ იცი, თევზად როგორ უნდა გადაიქცე? — შეეკითხა ალისა.

— მაგას რა დიდი ცოდნა უნდა, — უპასუხა ბიჭმა. — თუ გინდა, ახლავე გადავიქცევი.

ცხვირსახოცში გამოკრული ზღვის ნადავლი ქვაზე დადო და წყალში გადაეშვა. გავიდა ერთი წუთი, ორი, სამი, ბიჭი კი არა ჩანდა. ცოტა ხნის მერე ბიჭის მაგივრად წყლიდან დელფინმა ამოყო თავი და იქვე ზედ ალისას ფეხებთან აკუნტრუშდა, აჭ-

ყუმპალავდა, ხან თავდაყირა დგებოდა, ხანაც მალაყს გადადიოდა, სულ ააქაფა მთელი წყალი, მაგრამ ალისას ოდნავი შიშიც არ უგრძნია.

თამაშით გული რომ იჯერა, დელფინმა კუდი მოხდენილად გააქნ-გამოაქნია და ზღვაში მიიმალა. დელფინის ადგილას კი ის ბიჭი ამოვიდა.

— აი ხედავ, რა ადვილია? — ღიმილით უთხრა ბიჭმა.

— ვხედავ, — უპასუხა ალისამ. — ოღონდ მე ალბათ არ გამომივა.

— რა იცი, სცადე.

ალისამ წყალში ტყაპანი მოადინა და ძირ-ძირ წავიდა. ერთი სული ჰქონდა — თევზად თუ არა, ჩვეულებრივ ზღვის ვარსკვლავად მაინც ვიქცეო. მაგრამ ვარსკვლავად იქცა კი არა, ნიჟარაში ამოყო თავი. იმ ოხერს სწორედ მაშინ მოუნდა დამთქნარება. როგორც კი ალისას მოლუსკის ფაფასავით რბილ ტანზე მოუხვდა ფეხი, Íნიჟარა იმწუთას პირივით მოიკუმა და ეს შენი მოწონებული გოგოც თავის ლამაზ ოცნებიანად შიგ მოიქცია.

ვაიმე, რა უბედურ დღეში ჩავვარდიო, გაიფიქრა ალისამ, მაგრამ წყალქვეშ ისე გრილოდა, ისეთი სიმშვიდე და სიმყუდროვე იყო, ნიჟარაში კი არა, ერთბაშად წალკოტში წარმოიდგინა თავი. ამოსვლა აღარ უნდოდა — რა კარგი ყოფილა, ნეტავი სულ აქ მამყოფა, ძველად აკი ალებიც წყალში ცხოვრობდნენო...

ამის ფიქრში იყო, და ალისამ უცაბედად ამოიოხრა, დედა მოაგონდა: ალბათ ჯერ ისევ ლოგინში ვგონივარო. მერე მამა დაუდგა თვალწინ — დღეს აუცილებლად ჩამოვა ქალაქიდან, შაბათიაო.

«არა, მარტოებს ვერ დავტოვებ,» — ფიქრობდა ალისა. — მერე როგორ ვუყვარვარ! წავალ, რაც არის-არის, დავბრუნდები დედამიწაზე».

გაიჭიფხა დახვლიკული გოგო, ჯერ ხელებით მიაწვა, მერე ფეხებიც მიაშველა, როგორც იყო, გასწი-გამოსწია ნიჟარა და ამოძვრა. ცოტა იცურა თუ ბევრი იცურა, მალე გაღვრეჭილი ამოტივტივდა და პირველი, რაც იყო, მეთევზის ის პატარა ბიჭი დაინახა: ხტუნვა-ხტუნვით მირბოდა ნაპირიდან უკვე კარგა მოშორებით.

ალისამაც მოკურცხლა შინისაკენ და არასოდეს არავისთვის არ უთქვამს, რაც ზღვის ნიჟარაში შეემთხვა.

## <u>ლურჯი შუქნიშანი</u>

ქალაქ მილანში დუომოს მოედანზე რომ შუქნიშანი ჰკიდია, იმ შუქნიშანს ერთხელ მართლა საკვირველი ამბავი დაემართა. უარესი რა უნდა მოსვლოდა — სუყველა მინა გაულურჯდა: წითელიც, ყვითელიც და მწვანეც! ამის დამნახველ მილანელებს დავთრები აერიათ, აიბნ-დაიბნენ, აღარ იცოდნენ, რა ექნათ, გაევლოთ თუ გაჩერებულიყვნენ.

შუქნიშანი თავის სამივე თვალს ლურჯად აბრიალებდა და გარშემო მხოლოდ ლურჯ შუქს აფრქვევდა. მილანის ცა რომ მილანის ცაა, ისიც კი არასოდეს არ ყოფილა იმ შუქისთანა ლურჯი!

რა მოხდა, რა ამბავიაო, ყვიროდნენ მანქანების ფანჯრებიდან თავგამოყოფილი მძღოლები. მოტოციკლისტებს ხომ ნუღარ იტყვი, ყურთასმენა აღარ იყო, ისე არიხრიხებდნენ თავიანთ მოტოციკლეტებს. ღიპიანი, ქვეითად მოსიარულენი კი მუშტებს იქნევდნენ.

— ვითომ რა ხუმრობაა? იცით, ვინა ვარ? — იბღინძებოდა ზოგიერთი.

ვინც ცოტა კვიმატი ენისა იყო, ეშმაკურად ხითხითებდა:

— მწვანე შუქი, გენაცვალე, ერთ სქელჯიბიანს უყიდია. იმის ეზოში თურმე ბალახი არ ამოდის და, იმიტომ ვიყიდე, მოლის მაგივრობას გამიწევსო, უთქვამს.

— გაიგეთ, რა მომხდარა? რაც წითელი შუქი იყო, სულ ცენტრალურ პარკში წაუღიათ, თევზები უნდა შევღებოთო.

— ეგ კი არა, ყვითელი შუქით თურმე ზეითუნის ზეთს აზავებენ. რას არ გაიგონებს ადამიანი!

ბოლოს, როგორც იყო, მოირბინა პოლიციელმა, გზაჯვარედინზე თავისი ადგილი მოძებნა და მოძრაობის მოწესრიგებას შეუდგა. მალე მეორე პოლიციელიც უკან მოჰყვა და, შუქნიშნის სამართავი მოწყობილობის კოლოფი რომ არის, თავი შიგ ჩარგო. სანამ თავს იმ კოლოფში ჩაყოფდა და მოწყობილობას დაშლიდა, რასაკვირველია, დენი გამორთო.

თუმცა შუქნიშანმა ჩაქრობამდე მაინც მოასწრო და გაიფიქრა: «ვაი, რა ტყუილად ვანიშნე, გზა ცისკენ თავისუფალია-მეთქი. ეგენი რომ ჩემს ნიშანს მიმხვდარიყვნენ, ფრინველებივით უკვე ცაში ინავარდებდნენ. ეჰ, ალბათ, გამბედაობა არ ეყოთ!»

## <u>როგორ წაავლო ჯოვანინომ მეფეს ცხვირზე ხელი</u>

ერთ მშვენიერ დღეს ჯოვანინო ჩიტირეკიამ რომში წასვლა გადაწყვიტა. ნეტავი აქ რას ვუზივარ, წავალ, მეფეს ცხვირზე ხელს მაინც წავავლებო. მე შენ გეტყვი, ჭკუა დაუშლიდა! ფეხი არ გაადგა, თავი არ დაიღუპოო, დაეხვივნენ ნაცნობ-მეგობრები. ხან რით აშინებდნენ, ხან რა დასაფრთხობს ეუბნებოდნენ, იქნებ როგორმე გადავათქმევინოთ და აღარ წავიდესო.

— ეგ ადვილი არ გეგონოს, იცოდე, — აფრთხილებდა ზოგიერთი. — მეფე რომ გაჯავრდეს, მერე რასა შვრები? საკუთარ ცხვირსაც უნდა გამოეთხოვო და მაგ თავსაც ზედ მიაყოლებენ.

მაგრამ ჯოვანინო თავისნათქვამი იყო, კერპი, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: რახან ვთქვი, ვთქვიო. ჩაალაგა ჩემოდანი და, სანამ რომის გზას დაადგებოდა, ჯერ თავიანთი ეკლესიის მღვდელი და ქალაქის თავი მოინახულა, მერე მუნიციპალიტეტშიც შეიარა მრჩევლის სანახავად. აბა ერთი ვცადო, რას იზამენო, იფიქრა, და ხელის გასავარჯიშებლად სამთავეს ცხვირზე წაეტანა, ისე ფრთხილად და მარჯვედ წასწვდა, არც მღვდელს გაუგია არაფერი, არც ქალაქის თავს და არც მუნიციპალურ მრჩეველს.

მაინცდამაინც ძნელი არა ყოფილაო, გული დაიარხეინა ჯოვანინომ და გზას გაუდგა.

მეზობელ ქალაქში რომ მივიდა, პირველ ყოვლისა დიდი კაცების ნახვა მოისურვა; ქალაქის თავის, პროკურორისა და მოსამართლის მისამართი იკითხა და, რაკი გაიგო, აქა და აქ ცხოვრობენო, აღარ შეყოვნებულა, იმწუთას წავიდა იმათ სანახავად: თუ მოვახერხე, ორ თითს წავავლებ ცხვირზე, თუ არა და ერთით მაინც მოვუცაცუნებო. ის წარჩინებულნი ძალიან გააკვირვა ჯოვანინოს საქციელმა, ვინაიდან ერთი შეხედვით მან კარგად აღზრდილი ყმაწვილის შთაბეჭდილება მოახდინა, რაც რამ ჰკითხეს, ყველაფერზე თავაზიანად უპასუხა, არაფერი შეშლია; ბოლოს რაღა ღმერთი გაუწყრა, რა ხელებს აფათურებსო, უკვირდათ.

პროკურორმა ცოტა იწყინა კიდეც. მგონი, ცხვირზე წამავლეთ ხელი, აბა, ეგეთები არ იყოსო, შეუბღვირა.

ალბათ ბუზი დაგაჯდათ, ბატონო, ხელი რა შუაშიაო, უპასუხა ჯოვანინომ.

მოსამართლემ აქეთ-იქით დაიწყო ცქერა, მაგრამ ვერც ბუზი დაინახა, ვერც კოღო. ამასობაში ჯოვანინო გარეთ გამოიძურწა და, მოგეცა ლხენა, მოუსვა. თანაც კარე-

ბი გამოიკეტა, არ გამომეკიდონო. ჯოვანინოს ერთი თხელი უბის წიგნაკი ჰქონდა, სადაც ხელწავლებულ ცხვირებს უკლებლივ აღრიცხავდა. იმ წიგნაკში არ იყო არც ერთი ჩვეულებრივი ცხვირი — სუყველა ცნობილ და გავლენიან ხალხს ეკუთვნოდა. თუმცა ზოგი მოსახოცი იყო და ზედ აბზუებულ წვერზე ცინგლიც კი ეკიდა.

თხელი წიგნაკი აბა როდემდე ეყოფოდა? თანაც ბოლო დროს რომში რაღაც ძალიან იმატა მაღლა აწეული ცხვირების რაოდენობამ და ჯოვანინოს სქელი რვეულის ყიდვა დასჭირდა. მერე რა არის აქ საკვირველი? ქალაქ ადგილას, მით უფრო დედაქალაქში, სანამ ერთი ქუჩიდან მეორეზე გადახვალ, ათას მინისტრსა თუ მინისტრის მოადგილეს და სახელმწიფოს მდივანს შეხვდები. თავმჯდომარეებს ხომ ნუღარ იტყვი, თვლა არა აქვთ, რომში ისინი უფრო ბევრნი არიან, ვიდრე ღარიბ-ღატაკი ხალხი. საითაც უნდა გაიწვდინო ხელი, აუცილებლად ვინმე ბრწყინვალე გვამის ცხვირს მოხვდება. ლაპარაკი არ უნდა, ჯოვანინო ჩიტირეკია ნემსის ყუნწში ძვრებოდა, არც ერთი თანამდებობის ცხვირი ხელწაუვლებელი არ გამომეპაროსო. ამ ცხვირების პატრონებს კი ეგონათ, ახლებურად გამოხატავს ჩვენს მიმართ პატივისცემასო. ის კი არა, ზოგმა თავის ხელქვეითებსაც გამოუცხადა, ამიერიდან თავს ნუღარ დამიკრავთ, ახალი წესჩვეულებით ცხვირზე წამავლეთ ხოლმე ხელიო.

ხელქვეითებს პირველად გამბედაობა არა ჰყოფნიდათ, ცხვირში როგორ ვწვდეთ ჩვენს უფროსებსო, და თანამდებობის პირნი შუქმფინარი ღიმილით ამხნევებდნენ, რას იზამთ, ახალი ჩვეულებაა. ხელქვეითნიც გამხნევდნენ, რახან წავლებაა, წავლება იყოსო, და ყოველი შეხვედრისას ისე გულმოდგინედ გამოხატავდნენ თავიანთ პატივისცემას, რომ მალე წარჩინებული ცხვირები კმაყოფილებით ალაპლაპდნენ.

არა, არავინ არ იფიქროს, ჯოვანინოს დაავიწყდა, მეფისათვის ცხვირზე ხელი რომ უნდა წაევლოო. კი არ დაავიწყდა, შემთხვევას უცდიდა. სული მისდიოდა, როდის ჩამოივლის მეფის ეტლიო. რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ჩამოიარა კიდეც. ჯოვანინომ თვალი მოჰკრა, რომ ხალხიდან ხან ერთი გამოვარდებოდა, ხან მეორე, შეხტებოდა სამეფო ეტლის კიბეზე და კონვერტს აწოდებდა მეფეს. ალბათ რამე სათხოვარი ან საჩივარიაო, ფიქრობდა ჯოვანინო. ღიმილმოფენილი გვირგვინოსანი კი თავის პირველ მინისტრს ანახვინებდა იმ კონვერტებს.

ეტლი კარგად რომ გაუსწორდა, ჯოვანინომაც ისკუპა და კიბეზე შეხტა. მეფეს ეგონა, კონვერტი უნდა მომაწოდოსო, და გაუღიმა. ჯოვანინომ კი სწორედ ამ დროს აიშვირა ხელი, თქვენო უდიდებულესობავ, მომიტევეთო, უთხრა, და სალოკი თითი ზედ ცხვირის წვერზე მოუცაცუნა.

გაცეცხლებულმა მეფემ ცხვირზე ხელი იტაცა და, ის იყო, პირიც დააღო, მაგრამ არც ჯოვანინოს ეძინა, ხელდახელ ძირს ჩამოხტა, ხალხს შეერია და, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, გაქრა. გარშემო ჩოჩქოლი ატყდა, ბევრმა გაიწია კიდევაც ეტლისაკენ: თუ ახალი წესია, ბარემ ყველასთვის იყოსო. უნდა გენახა, რა ამბავი დატრიალდა, არა ჯერ მე უნდა წავავლო, არა — მეო. ერთი სიტყვით, მეფეს მალე ბუშტივით გაუხადეს ცხვირი.

— ნუ ღელავ, თქვენო უდიდებულესობავ, პატივისცემის ახალი წესია, — ღიმილით წასჩურჩულა მეფეს პირველმა მინისტრმა.

ნეტავი რას იღიმები, თავი გაქვს წასაცლელიო, გულში უბრაზდებოდა გამწარებული მეფე თავის პირველ მინისტრს. გასიებული ცხვირიდან რაღაც წყალივით მოსწვეთავდა და იმის თავიც აღარა ჰქონდა, ცხვირსახოცი ამოეღო და მოეწმინდა. ერთგული ხელქვეითნი აღარ აცლიდნენ, ხან ერთი ავლებდა ცხვირზე ხელს, ხან მეორე.

მეფეს ძალიანაც არ მოსწონდა ახალი წესი, მაგრამ რა ექნა, რომელი ერთისთვის დაეშალა!

ჯოვანინო კი, გიყვარდეს, შინ კმაყოფილი დაბრუნდა.

## ოსტიის სანაპირო

რომიდან თუ გახვალ და მდინარე ტიბრის ნაპირ-ნაპირ გზიურ იქითკენ ივლი, საითაც ზღვაში მზე ჩადის, ზუსტად ოსტიის სანაპიროს მიადგები. ზამთარში იქაურობა უდაბნოსავით უკაცრიელია. სამაგიეროდ, ზაფხულობით უნდა ნახო, რა ამბავი აქვთ ოსტიაში ჩასულ რომაელებს. სანაძლეოს დავდებ, თუ მთელ იმ არემარეში დილიდან დაღამებამდე ერთ თავისუფალ ადგილს ვინმე იპოვის. დასაწოლსა და დასაჯდომს არ ვამბობ. აი, გინდ სათამაშო ნიჩბით პატარა ორმო რომ ამოთხარო, იმის ადგილსაც ვერა ნახავ. ანდა ორმოს ვინ დაეძებს, ვინც ცოტა გვიან მიდის, ქოლგაც კი ვერსად ჩაურჭვია, რომ შეეფაროს და მზემ არ დაჰკრას!

ერთხელ იქ ვიღაც უცნაური სინიორი მივიდა, ცხრა ნაბადზე მხტომელი, მარჯვე კაცი ჩანდა. უკვე კარგა მოდღეებული იყო. ქოლგა იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი და, რაღა თქმა უნდა, ადგილი ვერ იპოვა, რომ სადმე ჩაერჭო. ნათქვამი რომ არის, დაგვიანებულმა იკითხა: მე სადღა დავჯდეო, სადა — და კაჭკაჭის ბოლოზეო, სწორედ ისე მოუვიდა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა. ქოლგა გაშალა, ცოტა ხანს ტარი ხელში ატრიალა და, იცი, რა მოხდა? ერთბაშად ქოლგა თავისით აფრინდა ჰაერში, სხვა ათას ჭრელ-ჭრულა ქოლგას გადაუარა და ზედ ზღვის პირას დაეკიდა, მიწიდან ასე ორ-სამ მეტრზე. მერე იმ სინიორმა ხელად ჰაერშივე გამართა სავარძელი, გადაწვა კოხტად ქოლგის ჩრდილში, ჯიბიდან წიგნი ამოაძვრინა და კითხვას შეუდგა. თანაც ზღვის ჰაერს ხარბად ისუნთქავდა, ესიამოვნებოდა, მარილითა და იოდით გაჟღენთილი ჰაერი ცოტა ყელში რომ უღიტინებდა.

პირველად ვერავინ შეამჩნია. ყველა თავ-თავის ქოლგას ამოჰფარებოდა. ან კროსვორდს ხსნიდა, ანდა ყელყელაობდა, თავებსა და თავებს შუა ზღვისკენ იცქირებოდა, აბა თუ დავინახავო, ცაში კი კაციშვილი არ იყურებოდა.

უცებ ერთი ფაშფაშა სინიორას ქოლგას რაღაცა დაეცა რბილად. ალბათ ბურთიაო, იფიქრა სინიორამ და ქოლგის ქვეშიდან გამოძვრა, შავი დღე უნდა დავაყარო მობურთალ ბიჭებსო. აქეთ გაიხედა, არავინ ჩანდა, იქით გაიხედა, არც იქით იყო ვინმე! მაშ რა დამეცა, ციდან ხომ არ ჩამოვარდებოდაო, თავისდა უნებურად აიხედა სინიორამ მაღლა და რასა ხედავს — ზედ იმის თავზე ვიღაც სავარძლიანი და ქოლგიანი კაცი დაქარქარებს!

— ბოდიშს ვიხდი, სინიორა, — ჩამოსძახა იმ კაცმა, — წიგნი ჩამომივარდა და, ნუ დამზარდებით, ამომიგდეთ!

სინიორას რა ეწიგნებოდა, ელდისაგან თავრეტდასხმულმა ქვიშაზე ზღართანი მოადინა და წელი ვეღარ აიტანა. გატიკნული, დონდროხა ქალი იყო, იმხელა ტანს აწევა არ უნდოდა!? რა მოგივიდა, ხმა ამოიღეო, მისცვივდნენ ნათესავები და ჯანჯღარი დაუწყეს, მაგრამ სინიორა კრინტს ვერა ძრავდა. მერე, როგორც იყო, პირი დააღო და უხმოდ გაიშვირა თითი, მაღლა აიხედეთო, ანიშნა.

— ნუ დამზარდებით, წიგნი ამომიგდეთ, თუ შეიძლება, — ვითომც არაფერი მომხდარაო, ისე ჩამოსძახა სავარძელში თავის გუნებისად გადაწოლილმა სინიორმა.

— თქვენ რა, ვერა ხედავთ? დეიდა შეგვიშინეთ.

— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ რა ჩემი ბრალია!

— მაშ, თუ ეგრეა, ძირს ჩამობრძანდით, აქ აკრძალულია ფრენა.

— რა აკრძალული, რის აკრძალული! მანდ სად ჩამოვიდე, ნემსიც არ ჩავარდეზა. რომ იცოდეთ, გადასახადს ვიხდი, ერთი ადგილი მეც მეკუთვნის!

ამასობაში, რაც იქ ხალხი იყო, სუყველამ თავი მაღლა ასწია და იმ უცნაურ სინიორს მიაშტერდა. არა, უბრალო რა სათქმელია, მაგის ქოლგა ნამდვილად რეაქტიულიაო, ეუბნებოდნენ ერთმანეთს.

— ეჰეი, გაგარინ, — უყვიროდნენ დაბლიდან, — ჩვენც ჩაგვსხი, წაგვიყვანე, თუ ძმა ხარ!

ბოლოს ვიღაც პატარა ბიჭმა დაავლო წიგნს ხელი და აისროლა. სინიორმა ბრაზიანად გადაფურცლა, მიაგნო, რა ადგილზეც იყო გაჩერებული, და კითხვა განაგრძო.

ხალხმა თანდათან თვალი შეაჩვია და აღარავის არ აკვირვებდა, შეეშვნენ, გაანებეს თავი. მარტო პატარა ბიჭებიღა შენატროდნენ, შურის თვალით ახედავდნენ ხოლმე, გულადები კი დალაპარაკებსაც უბედავდნენ.

— სინიორ! ჰეი, სინიორ! — უყვიროდნენ.

— რა იყო, რა?

— გვითხარით, თუ შეიძლება, რა ვქნათ? ჩვენც გვინდა ჰაერში ფრენა!

პასუხად სინიორი რაღაცას ბუზღუნებდა და თავს ისევ წიგნში ჰყოფდა. მზე რომ ჩავიდა, ქოლგა ზუზუნ-ბზრიალით მოსწყდა ადგილს და სინიორი სწორედ თავის მოტოციკლთან დაეშვა, ხელდახელ დაქოქა, დაჯდა და გაქანდა.

ისე წავიდა, ვერავინ გაიგო, ვინ იყო, რა კაცი იყო და სადა ჰქონდა ნაყიდი ის მფრინავი ქოლგა.

## ზარეზის ომი

ერთხელ მართლა სამკვდრო-სასიცოცხლო ომი ატყდა. თუ ვინმე გადავრჩებოდით, არავის გვეგონა. დაჭრილ-დახოცილი ჯარისკაცები ჭერეხივით ეყარნენ. აქეთ ჩვენ ვიდექით, იქით — ჩვენი მტრები, დღედაღამ ვესროდით ერთმანეთს, მაგრამ რა გამოვიდა! ომს მაინც დასასრული არ უჩანდა. ბოლოს ისე მოხდა, რომ საზარბაზნე სპილენძიც გამოგველია და სახიშტე ფოლადიც.

ჩვენმა მხედართმთავარმა დაჰკა-პოლკოვნიკმა, გვარად ყუმბარატო სროლატო სამარეტიმ, ბრძანა: სადაც რა ზარი ჰკიდია, სულ ჩამოხსენით სამრეკლოებიდან, გადაადნეთ და ერთი უზარმაზარი ზარბაზანი ჩამოასხითო. თანაც დააყოლა, ერთი იყოს, მაგრამ ისეთი იყოს, გავისვრით თუ არა, მტერს კუდით ქვა ვასროლინოთო.

ის ზარბაზანი ასი ათასმა ოწინარმა ძლივს ასწია თურმე და ფრონტზე ოთხმოცდაშვიდვაგონიანი მატარებლით ჩამოიტანეს. დაჰკა-პოლკოვნიკი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა — აი ნახეთ, გასროლა და მტრის დატიშვა ერთი იქნებაო.

ბოლოს ბათქა-ბუთქის წუთიც დადგა. ქვემეხის ლულა მტერს მივუშვირეთ და ყურები ბამბით დავიცეთ, — სმენა არ წაგვერთვას, უცაბედად არ დავყრუვდეთო, გვეშინოდა.

— ცეცხლი! — ბრძანა დაჰკა-პოლკოვნიკმა.

მეზარბაზნემ სასროლს ხელი გამოჰკრა და გასროლის მაგივრად ზარის წკრიალი გაისმა:

«ნაუ! ნაუ! ნაუ!»

მთასა და ბარს ზარის ხმა მოეფინა. აქ რაღაც სხვა ამბავიაო, დავიძახეთ და ყურებიდან ბამბა დავიძრეთ. უზარმაზარი ზარბაზანი ზარივით რეკავდა:

«ნაუ! ნაუ! ნაუ!»

— ცეცხლი! ცეცხლი-მეთქი! — მეორედ შეჰყვირა პოლკოვნიკმა ყუმბარატო სროლატო სამარეტიმ.

მეზარბაზნემ ისევ გამოჰკრა სასროლს ხელი.

და სანგრებს კვლავ ზარის ხმა მოეფინა, თითქოს ზარბაზანს კი არ ისვრიან, რაც დედამიწის ზურგზე ზარია, სუყველას ერთად რეკავენო.

დაჰკა-პოლკოვნიკმა სიბრაზით მთელი ქოჩორი დაიბდღვნა. ბოლოს ერთადერთი ღერი თმაღა შერჩა.

ამასობაში ნელნელა სიწყნარეც ჩამოვარდა, მაგრამ ცოტა ხანს გასტანა. ჩვენი მტრის სანგრებიდან ერთბაშად გუგუნი მოისმა. ზარბაზანმა კი არ დაიქუხა, თითქოსდა ჩვენს გამოსაჯავრებლად, იქაც ზარების რეკვა ატყდა:

«ნაუ! ნაუ! ნაუ!»

თურმე მტრის მთავარსარდალმა ობერ-ბახბუხმაისტერ ფონ ნაცარტუტამაც ერთ ვეებერთელა ზარბაზნად ჩამოასხმევინა მთელი თავიანთი სამეფოს ზარები.

და უნდა გენახა, რა მოხდა!

«ნაუ! ნაუ!» — რეკავდა ჩვენი ზარბაზანი.

«ნაა-უ!» — ეხმაურებოდა მტრისა.

ჯარისკაცები სანგრებიდან ამოცვივდნენ და სულ ცეკვაცეკვით მოძუძგეს ერთმანეთისაკენ.

— მშვიდობაა! მშვიდობა! — ყვიროდნენ ისინი. — ზარების ხმა არ გესმით? მშვიდობის ზარები რეკავენ, მშვიდობისა!

დაჰკა-პოლკოვნიკი და ობერ-ბახბუხმაისტერი თავიანთ ავტომობილებში ჩახტნენ და გველნაკბენივით გაცვივდნენ! ბევრი ცხრა მთა გადაიარეს, მაგრამ ზარების რეკვის ხმა მაინც ჩაესმოდათ. ეტყობა, მთელ დედამიწის ზურგზე, არც ზღვასა და ოკეანეში, არც ხმელეთზე, არსად ადგილი არ იყო, სადაც იმ ზარების ხმა არ ისმოდა.

## <u>მსუნაგეთის სამეფო</u>

იყო და აღარ არის. დღეისას ან გუშინდლისას არ ვამბობ. ძველად იყო. არც ახლო ეთქმოდა, არც შორი. ცხრა მთას კი არა, სამ მთას რომ გადაივლიდი, ვისთვისაც უნდა გეკითხა: მსუნაგეთის სამეფოს გზას ვერ მიმასწავლიო? სუყველა გეტყოდა: რაღა მიგასწავლო, აი აქვეა, სმა-ჭამეთის სამთავროს გვერდითო. მსუნაგეთის პირველ მეფეს სახელად მუცელა ერქვა, ხალხი კი კუჭმოკალულას ეძახდა. იმისთანა მადის პატრონი ტყუილია. მთელი დღე ჯამში ჩაიტირებოდა. მუცელს ხან აღორებდა, ხან აქორებდა. მაკარონს სტომაქში რომ ჩაუძახებდა, ჯამსაც ზედ მიაყოლებდა. თიხისა იყო თუ ხისა, არ დაგიდევდა. თავის დღეში არც გვრემა იცოდა რა იყო და არც ჯდომი მოსწოლია.

კუჭმოკალულა მალე სამკოვზად სახელდებულმა მუცელა მეორემ შეცვალა. სამკოვზა იმიტომ შეარქვეს, რაკი შეჭამანდს ერთბაშად სამი ვერცხლის კოვზით მირთმევდა: ერთი მარჯვენა ხელით ეჭირა, მეორე — მარცხენათი, მესამე კოვზით კი დედოფალი აჭმევდა; ვაი იმის ბრალი, თუ კოვზი გალიცლიცებული არ იყო.

მსუნაგეთის სამეფო ტახტი დღენიადაგ სამოთხესავით აყვავებული სუფრის თავში იდგა. სამკოვზას მერე იმ ტახტზე ავიდნენ:

მუცელა მესამე, სუსნიად წოდებული;

მუცელა მეოთხე, ანუ პარმული კატლეტი;

მუცელა მეხუთე, იგივე ტვლეპია;

მუცელა მეექვსე — ქათმის ჭირი;

მუცელა მეშვიდე, რომელსაც «აღარ დარჩა?» ერქვა და იმით გაითქვა სახელი, რომ თავისი საკუთარი გვირგვინიც კი გადაყლაპა, თუმცა ნაჭედი რკინისა იყო;

მუცელა მერვე, მეტსახელად ყველიქერქა, რომელმაც ერთხელ სუფრაზე ვერაფერი საჭმელი რომ ვერ იპოვა, ადგა და სუფრა შეჭამა;

მუცელა მეცხრე, რკინის ყბად ცნობილი, რომელმაც სამეფო ტახტი თავის მუთაქებიანად გადასანსლა.

ასე და ამგვარად ამოწყდა მთელი მუცელაანთ გვარი.

## <u>კიბოს ამბავი</u>

ნეტავი მაცოდინა, ჩვენი მოდგმა სულ უკან-უკან რად დაფოფხავს თავისი დღე და მოსწრებაო, — საგონებელს მიეცა ერთხელ პატარა კიბო, — არა, მე ეგრე აღარ ვივლი, ჩვენები რომ დადიან. კუდი შემახმეს, თუ ბაყაყივით სკუპ-სკუპი არ ვისწავლოო.

თქმა და ქმნა ერთი იყო. ჩაძვრა ხევში და ქვებს შუა უჩუმრად მოჰყვა ფეხების ქნევას, ეგება მალე გავიწაფოო. მტერს, იმას პირველად დღე დაადგა! ხან რას წამოედო, ხან რას მიენარცხა. ათ ფეხს გაქნევ-გამოქნევა არ უნდოდა! ერთმანეთში აეხლართ-დაეხლართა: უკანას წინა ფეხზე იდგამდა, მარჯვენას — მარცხენაზე, წამდაუწუმ ყირამალა გადადიოდა, მთელი ჯავშან-ბაკანი დაეკაწრა და ჩაეჭეჭყა, მაგრამ მაინც თავისას არ იშლიდა. დღე არ იყო, არ ევარჯიშა, და მონდომებას აბა წინ რა დაუდგება!

მალე ის დღეც დადგა, როცა პატარა კიბომ უკვე გაბედა, რაც არის—არის, მოდი ჩვენებს ვუჩვენებ, როგორ უნდა ნამდვილი სიარულიო. მთელმა ოჯახმა ერთად რომ მოიყარა თავი, აი, მაშინ შესძახა, აბა, მიცქირეთო, და უნდა გენახათ, რა ყოჩაღად ჩაურბინა ცხვირწინ! უკან-უკან ფოფხვით კი არა, ბაყაყივით ხტუნვა-სკუპით ჩაურბინა.

ამის დამნახველ დედა-კიბოს ცრემლი წასკდა:

— გონს მოდი, შვილო! მამაშენს არ უვლია ეგრე და დედაშენს, შენ რა ღმერთი გაგიწყრა. იარე, როგორც ჩვენ დავდივართ, როგორც შენი საყვარელი და-ძმანი დადიან!

საყვარელი დები და ძმები კი მასხარად იგდებდნენ, ემანჭებოდნენ.

მამა-კიბო ჯერ კარგა ხანს ხმას არ იღებდა, ჩუმად უბღვეროდა, მერე ერთბაშად დაუტია:

— აი, შე ლაწირაკო, შენა! აქ ყოფნა თუ გინდა, კიბო ხარ და კიბოსავით იარე! თუ არა და — ხევი დიდია, საითაც გინდა, იქით წადი. ოღონდ უკან აღარ მობრუნდე.

პატარა კიბოს ძალიან უყვარდა დედაც და მამაც, მაგრამ თან ისე სჯეროდა თავისი სიმართლე, ერთი წუთითაც არ შეყოყმანებულა, წავიდე თუ არაო. ჯერ დედას გადაეხვია, მერე მამას ჩამოართვა მარწუხა ფეხი, დებსა და ძმებს თავი დაუქნია — კარგად იყავითო, და გზას გაუდგა.

აბა, რაღა თქმა უნდა, სხვა კიბოებივით უკან-უკან ფოფხვა არც უფიქრია, პირდაპირ დაადო თავი და წავიდა. ხევის ბოლოში ერთი გადაშლილი დუმფარის ძირას ბაყაყებს ქოჩი შეეკრათ და «ყუა-ყუას» იძახდნენ. წაღმა მიმავალი კიბო რომ დაინახეს, კინაღამ თვალები წამოსცვივდათ.

— ვაი დედა! — შეიყიყინა რომელიღაც ბაყაყმა. — ნამდვილად ქვეყანა იქცევა! შეხედეთ ერთი, ამ კიბოს შეხედეთ! ხედავთ? კიდევ არა გჯერათ, ქვეყანა იქცევა-მეთქი!

— სულ აღარა აქვთ უფროსების პატივისცემა, — კვერი დაუკრა მეორემ.

— ერიჰაა! — ჩაიყიყინა მესამემ.

პატარა კიბო კი აინუნშიაც არ აგდებდა იმათ ყიყინს და გაკვერილი მიდიოდა. უცებ რაღაცა ხმა შემოესმა. უკან მიიხედა, ნეტავი ვინ უნდა იყოსო, და რასა ხედავს: იქვე ლოდთან ცხრად მოკაკული ბებერი კიბო დგას და თავპირი ჩამოსტირის, იტყვი, სული ამოსდისო.

— გამარჯობათ, კიბო ძია, — მიესალმა კიბოს წიწილი.

ბებერმა კიბომ ნაღვლიანად შეავლო თვალი და ამოიოხრა:

— ახლა რაღას აპირებ? შენ რომ იცოდე, ჩემს ახალგაზრდობაში მეც ბევრი ვეცადე, კიბოებს წინ სიარულს ვასწავლი-მეთქი, მაგრამ შენც არ მომიკვდე. აი, ხომ მიყურებ, რა დღეში ჩავიგდე თავი. გამინაპირეს, ბაიყუშივით მარტოდმარტო დავდივარ. ხმის გამცემიც არავინა მყავს. ყური დამიგდე. სანამ დროა, მიბრუნდი და შენც ისე იცხოვრე, როგორც სხვები ცხოვრობენ. ბოლოს ალბათ მადლობას მეტყვი.

პატარა კიბოს ხმა არ ამოუღია, არ იცოდა, რა ეპასუხა. გულში კი ისევ თავისას ფიქრობდა: «არა, მე მართალი ვარ».

ცოტა ხანს კიდევ იდგა, მერე თავაზიანად დაუკრა თავი ბებერ კიბოს, გამოემშვიდობა და გზას გულმხიარული გაუყვა.

ნეტავი სადამდე ივლის? ვითომ აისრულებს საწადელს? რაც ამ ქვეყანაზე უბედურებაა, ცოტას მაინც თუ უშველის? არ ვიცი, წინასწარ რამის თქმა ძნელია. ან კი რა უნდა ვთქვა, როცა ჯერ კიდევ გზაშია. ერთი კია — წინ ისევ მკვირცხლად მიდის და თავისი სიმართლისაც ისევე სჯერა, როგორც იმ პირველ დღეს სჯეროდა. მაშ, მოდი, წინ მიმავალ ჩვენს პატარა კიბოს ერთად ვუსურვოთ გზა მშვიდობისა.

## <u>გაქცეული ცხვირი</u>

არ გახსოვს, რა სასაცილო ამბავი მოუვიდა კოლეგიის ასესორის კოვალიოვის ცხვირს? ჰო, იმ ცხვირს, რომელმაც თავისი კანონიერი პატრონი უცხვიროდ დააგდო და თვითონ კი არხეინად პეტერბურგში ეტლით გაისეირნ-გამოისეირნა. მერე რა სასაცილოდ მოგვიყვა ამ ამბავს გოგოლი! გახსოვს, არა?

იტალიის ყველაზე დიდი ტბის — ლაგო-მაჯორეს პირას ქალაქი ლევანო რომ არის, იქაც ზუსტად ამნაირი რამ მოხდა.

ერთი ლავენოელი სინიორი, რომლის სახლიც ნავსადგურის პირდაპირ იდგა, წვერის გასაპარსად დილაადრიან სააბაზანოში გავიდა, ჩაიხედა სარკეში და გიჟივით შეჰყვირა:

— ვაიმე, დედა, ცხვირი! მიშველეთ, ხალხნო!

ცხვირი აღარა ჰქონდა. ლავაშივით გაბრტყელებულ სახეზე მარტო პირი და თვალებიღა ეტყობოდა. სინიორი ისევე, პერანგისამარა, გავარდა აივანზე, გაიხედ-გამოიხედა და იღბლად თვალი მოჰკრა თავის გაპარულ ცხვირს — ის იყო, უკვე მოედანი გადაევლო და ნავსადგურისაკენ მიდიოდა ფაცხაფუცხით. ბორანზე მანქანებს ტვირთავდნენ და ხან ერთ მანქანას უცქევდა გვერდს, ხან მეორეს.

— არ გაუშვათ! — ყვიროდა სინიორი, — ჩემი ცხვირია! დაიჭით! ხალხი არა ხართ!

ამვლელ-ჩამვლელნი აივნისაკენ იცქირებოდნენ და იცინოდნენ:

— ცხვირი მოგპარეს და თავი დაგიტოვეს? ეგ ვერ მოგსვლია კარგი საქმე!

სინიორს ერთიღა დარჩენოდა — გარეთ უნდა გავარდნილიყო და გამოჰკიდებოდა. გამოეკიდა კიდეც. სახეზე სურდოიანივით ცხვირსახოცი აიფარა და მოკურცხლა: ფეხებს სულ ზურგზე ირტყამდა, მაგრამ ნავსადგურში რომ მიიჭრა, უკვე გასუ-

ლი ბორნის ბოლოღა დაინახა. დიდხანს არ უფიქრია, ხელად წყალში ჩახტა და დაედევნა.

— აბა, ჰა! აბა, ჰა! — მოსძახოდნენ მგზავრები.

ბორანი კი უკვე გაქანებული მიდიოდა, და მებორნეს აზრადაც არ მოსვლია — ვიღაც დაგვიანებულ ბუზიყლაპიას გავუჩეროო.

— მეორე ბორანს დაუცადე, რა თავს იხრჩობ, შე კაი კაცო! — დაუყვირა მებორნემ. — ნახევარ საათში მოვა!

არაქათგამოცლილმა სინიორმა ის იყო მართლაც დააპირა, უკან გავბრუნდებიო, რომ უცაბედად თავისი ცხვირი დაინახა. ცხვირს წყალზე მოსასხამი გაეშალა და, აი, როგორც ლეგენდაშია, წმინდა ივლიანესავით მშვიდად მიჰყვებოდა ბორანს.

— ზედ არც ასულხარ, ჩემი მოტყუება გინდოდა, არა?! — გასძახა სინიორმა.

ცხვირი ხმას არ იღებდა. ძველი მეზღვაურივით დინჯად ეჭირა თავი და პატრონისკენ ერთხელაც არ შებრუნებულა. ტალღებზე გაფენილ მოსასხამს თამთამი გაჰქონდა, როგორც მედუზამ იცის ოკეანეში.

— ის მაინც მითხარი, სად მიცურავ? — ხმა დააწია სინიორმა.

ცხვირს კრინტი არ დაუძრავს. ჯანდაბაშიც წასულხარო, დაუძახა ქანცგაწყვეტილმა სინიორმა და ნაპირისკენ გაბრუნდა. ტბის მისადგომი პირდაღებული ხალხით იყო სავსე. ცხვირსახოცაფარებულმა სინიორმა ძლივს გააღწია თავი. შინ რომ მივიდა, ცხრაკლიტულში ჩაიკეტა, თვალით არავინ არ დავინახოო, უბრძანა მოახლეს, სარკე აიღო და თავის უცხვირო სახე-პირს ჩააცქერდა.

გამოხდა ხანი. ერთხელ მავანმა და მავანმა რანკოელმა მეთევზემ ბადეს თევზებთან ერთად ის გაქცეული ცხვირიც ამოაყოლა. საცოდავს შუა ტბამდე ძლივს მიეღწია. იმ დაფხავებული მოსასხამის პატრონი, საკვირველია, რატომ უფრო ადრე არ ჩაიძირა! მეთევზემ კალათაში ჩაუძახა და, რაღა ბევრი გავაგრძელო, ლავენოს ბაზარში წაიღო გასაყიდად.

სწორედ ისე მოხდა, რომ ზედ იმ დღეს სინიორმა თავისი მოახლეც ახალ თევზზე გაგზავნა ბაზარში. აუარ-ჩაუარა მოახლემ დახლებს და უცებ სახტად დარჩა: გასაყიდად გამოტანილ ქარიყლაპიებსა და კაპარჭინებში თავისი პატრონის ცხვირს შეასწრო თვალი.

— ამას აქ რა უნდა? ჩემი სინიორის ცხვირია! — ელდანაკრავივით შესძახა მოახლე ქალმა. — მომე, წავუღო!

— შენი სინიორისაა თუ ვისია, მე სულ არ მეკითხება, — გამოუცხადა მეთევზემ. — ჩემი დაჭერილია და ვყიდი.

— მაინც რას აფასებ?

— რას ვაფასებ და თავის წონა ოქროს. უბრალო ქორჭილა თევზი არ გეგონოს.

მოახლემ ხელად შინ მოუსვა, და, რაც ნახა, პატრონს უამბო.

— ჯანდაბას, მიეცი, რამდენსაც ითხოვს, — ცრემლნარევი ხმა აღმოხდა სინიორს, — ბოლოს და ბოლოს როდემდე უნდა ვიარო უცხვიროდ?

მოახლემ კარგა ხანს ითვალა, რამდენია გადასახადიო, ითვალა, ითვალა და ვერც კი დაითვალა, იმდენი გამოვიდა. სინიორის ცხვირს იაფად აბა ვინ მისცემდა! საწყალმა საყურეებიც კი გაყიდა ფულის დასამატებლად. ჯერ არ აპირებდა, ენანებოდა, მაგრამ სინიორის ისეთი ხათრი ჰქონდა, ბოლოს მაინც გაიმეტა.

წავიდა მოახლე ბაზარში, ცეცხლის ფასად გამოართვა იმ რანკოელ მეთევზეს სინიორის ცხვირი, ხილაბანდში გამოკრა და შინ წაიღო. შენ წარმოიდგინე, ცხვირს ერთი ნესტოც არ შეურხევია და არც დაუსრუტუნია, როცა სინიორმა აკნკალებული ხელი წაავლო.

— აბა, რა მიგარბენინებდა ჩემგან, შე სულელო, შენა? — ნაღვლიანად ჰკითხა სინიორმა. — ისეთი რა დაგიშავე?

ცხვირმა ალმაცერად გახედა თავის პატრონს, ზიზღით მოიჭმუხნა და წაიდუდღუნა:

— რა გითხრა, იცი? ან ცხვირში თითის შეყოფას გადაეჩვიე, ან არადა ფრჩხილები მაინც დაიჭერი, შე კაი კაცო!

## ტროყიას თმა

იყო და არა იყო რა, ოთხი ძმის უკეთესი, აბა, რა იქნებოდა. სამნი ქონდრისკაცებივით ერთი ბეწოები იყვნენ, ოღონდ ეშმაკობით ყველაზე კუდიან მელასაც არ ჩამოუვარდებოდნენ. მეოთხე ძმა ნამდვილი ტროყია იყო, რომ შეგეხედა, დევსა ჰგავდა. სამაგიეროდ, იმისთანა უეშმაკო და მიამიტი ჯერ დედამიწის ზურგზე ადამიანიშვილი არ დაბადებულა. მთელი ძალ-ღონე მკლავებში ჰქონდა, ჭკუა კი — თმაში. უჭკუოს, რაღა თქმა უნდა, ადვილად გააბრიყვებდნენ და ამიტომ იყო, რომ იმ ბაჯაჯგუნა ძმებს სულ თავგადახოტრილი დაჰყავდათ. გადახოტრავდნენ და, რაც საქმე იყო, მარტო იმას აკეთებინებდნენ. რომელი ძალ-ღონე არ ეყოფოდა რა! თვითონ კი გულხელდაკრეფილები ისხდნენ, უყურებდნენ, როგორ იწურებოდა ოფლში თავიანთი ტროყია ძმა და ჯიბეში არხეინად ფულებს იჩხრიალებდნენ.

მერე რაღას არ აკეთებინებდნენ ის ვირეშმაკა ძმები საწყალ ტროყიას! ხან ღამის მეხრედ უკრავდნენ თავს, ხან შეშას აზიდვინებდნენ, ხან ხელსაფქვავს ატრიალებინებდნენ. ის კი არა, ზოგჯერ ცხენის მაგივრად ღრიჭინაშიც შეაბამდნენ ხოლმე, თვითონ ზედ ავიდოდნენ, ჩამოსხდებოდნენ ტომრებზე და მათრახს ატკაცუნებდნენ. თანაც ჩუმჩუმად ერთმანეთს თვალს უპაჭუნებდნენ.

— ღმერთმანი, უხდება კიდეც კოტორა თავი. — წაიჩურჩულებდა ერთი.

— მართალს ამბობ, — იტყოდა მეორე. — კულულები, აბა, რა ვაჟკაცის საქმეა.

— ერიჰაა! ცოტა რაღაც ქოჩორი წამოზრდია. ამ საღამოს უეჭველად უნდა გავკრიჭოთ, — დაუმატებდა მესამე.

ჩურჩულებდნენ, ქირქილებდნენ და თან ერთმანეთს მუჯლუგუნებს ჰკრავდნენ — რა ჭკუის კოლოფები ვართო. მიიყვანდა საწყალი ტროყია თავის კუსპარა ძმებს ბაზარში, სამივენი კარგად ივაჭრებდნენ, ჯიბეებს ფულით დაიტენიდნენ და იქიდანვე პირდაპირ დუქანში გაქანდებოდნენ. თვითონ კოხტად სუფრას გააშლევინებდნენ, ტროყიას კი დასვამდნენ კოფოზე და აცდევინებდნენ.

ჭამით, მართალი გითხრათ, ძღომისად აჭმევდნენ. მშიერი აბა, რას გაუკეთებდათ! არც სმას უშლიდნენ, ოღონდ ღვინო კი არა, ჭის ცივ-ცივი წყალი რამდენიც უნდოდა, დაელია. რაღა ჭა და რაღა ქვევრიო — ჭკუით ატყუებდნენ.

ერთხელაც ტროყია ავად გახდა. ძმებს ფერფური ეცვალათ. ტროყიას კი არა ჩიოდნენ, თავიანთი დარდი ჰქონდათ: ეგ თუ მოგვიკვდა, ყველაფერი ჩვენი თავში საცემი იქნებაო. გაქანდნენ, ხელად განთქმული მკურნალები მოუყვანეს, ათასნაირი დასალევი და დასაზელი წამლები უყიდეს, სულ თავს ევლებოდნენ, საჭმელსაც კი ლოგინში აჭმევდნენ. უნდოდა თუ არა, ხან მუთაქას უსწორებდნენ, ხან ჩარსავს უცვლიდნენ და შეშინებული ხმით თაფლად იღვრებოდნენ: აი ხედავ, როგორ გვიყვარხარ, გენაცვალე? ემანდ სისულელე არ ჩაიდინო, მართლა არ მოგვიკვდეო.

ისე გაერთნენ ტროყიას მოვლა-პატრონობაში, იმის თმა სულ გადაავიწყდათ კიდეც. ამასობაში ტროყია კარგა მაგრად გაიბურძგნა და თმასთან ერთად ჭკუაც მოუ-

ვიდა. ნელ-ნელა უკვირდებოდა ძმების საქციელს და ყველაფერს გულის ფიცარზე იწერდა.

ბევრი იწერა, თუ ცოტა იწერა, ბოლოს მაინც მთელ ვერაგობას მიუხვდა, ოღონდ არ შეიმჩნია. დილიდან დაღამებამდე ხმას არ იღებდა. უცდიდა, სანამ ისევ ძველებურად მოღონიერდებოდა. და ერთ მშვენიერ დღეს, როცა ძმები ჯერ კიდევ გულის ძილში იყვნენ, ტროყია ლოგინიდან წამოდგა, ძეხვებივით გაბაწრა ისინი და ღრიჭინაზე დაუდო.

— სად მიგყევართ, გენაცვალე? რომელ გზას გაგვიყენე შენი საყვარელი ძმები? — ეკითხებოდნენ ის კრუხის პალოები.

— ნუ ჩქარობთ, დაინახავთ, სადაც მიგიყვანთ! — ტროყიაც ნიშნის გებით ეუბნებოდა.

წაასხა სამივენი, სადგურში მიიყვანა, ბარდანებივით შეყარა ვაგონში და, სანამ გამობრუნდებოდა, პირში უთხრა:

— საითაც გინდათ, იქით წადით, გზა დიდია! გეყოთ, რაც ბურთივით მათამაშეთ!

ერთბაშად ორთქლმავალმა შეჰკივლა, ათუხთუხდა, ვაგონები ერთმანეთს აედევნენ და არავინ იცის, საით წაიყვანა მატარებელმა ის ეშმაკი ძმები. იმ დღის მერე აღარც ერთი არ გამოჩენილა.

## <u>ია ყინულებში</u>

ჩრდილოეთ პოლუსის ყინულოვან უდაბნოში ერთხელ დილაადრიან გაიღვიძა დიდმა თეთრმა დათვმა. თვალები გაახილა თუ არა, ჰაერი მოყნოსა, ხან მაღლა აიშვირა დრუნჩი, ხან დაბლა დაიღო და უცებ უცხო სუნი ეცა.

— ჰმ, — ჩაიბურტყუნა დათვმა და თავის ნამძინარევ ჯალაბს მიუბრუნდა. — ექსპედიციაა თუ რაღაც ოხრობა, კიდევ ხომ არ ჩამოვიდა?

ამ დროს ბელებმა იქვე ლურჯთვალა ია იპოვეს. პაწაწინა იყო, მობუზული, საცოდავად კრთოდა, აბაბანებდა, თუმცა სურნელებას მაინც ყოჩაღად აფრქვევდა გარშემო. სხვა რა გზა ჰქონდა? თავისი ვალი ყინვაშიც უნდა მოეხადა!

— დედი! მამი! — დაიძახეს ბელებმა.

— აკი გითხარით, ახლო-მახლო რაღაც უცნაური სულიერი რამ გაჩნდა-მეთქი, — ისევ აბურტყუნდა მამა დათვი. — ოღონდ თევზი არ უნდა იყოს, მგონი.

— არა, ეგ არც თევზია და არც ფრინველი, — თქვა დედა დათვმა.

ქმარმა კარგად აწონ-დაწონა ცოლის სიტყვები და კვერი დაუკრა — მართალი ხარ, ეგ არც თევზია და არც ფრინველიო.

საღამო ხანს იის ამბავი უკვე მთელმა პოლუსმა იცოდა. თვალუწვდენელ, უნაპირო ყინულეთს მოევლინა პაწაწინა ლურჯთვალა არსება, რომელმაც საამო სურნელი მოჰფინა მთელ იმ არემარეს. თანაც ერთადერთ ფეხზე იდგა, ქინძისთავივით წვრილ ფეხზე, — და არც ეცემოდა, არცა კვდებოდა!

რა ვიცი, საიდან აღარ დაიძრნენ იმ იის სანახავად. ციმბირიდან ირმებმა მოირბინეს, ამერიკიდან — წიქარა ხარებმა, მოცურდნენ სელაპები და ზღვის ლომები, მერე თეთრი კუდბომბორა მელიებიც მოცუნცულდნენ გაღმა მხრიდან. პირველები კი, — აბა, სხვა ვინ დაასწრებდა! — ტარტარა-ენაჭარტალა კაჭკაჭები მოფრინდნენ. სუყველას ერთპირად უკვირდათ: ამ თვალჟუჟუნა ყვავილს აქ რა უნდა, რომელმა ქარმა გადმოაგდოო და თან ჰაერს გამგელებულნი ისუნთქავდნენ, ისე ეამათ იის ნაზი სურნელი. პირდაპირ საკვირველია — ყველაზე გვიან ვინც მოდიოდა, სურნელება იმასაც

ადრე მოსულებივით ათრობდა და აბრუებდა. ჰაერში დღედაღამ ერთნაირად საამური სუნი იდგა. — ამისთანა გამოულეველი რა გახდა! — თქვა სელაპმა. — ეტყობა, სადღაც ყინულქვეშ მარაგი აქვს.

— მეც ეგ არა ვთქვი! — დაიბუხუნა თეთრმა დათვმა. — უეჭველად რაღაც ექნება!

არაფერი ამის მსგავსი თეთრ დათვს არ უთქვამს, მაგრამ არავის აღარ ახსოვდა, თქვა თუ არა. ბოლოს, როგორც იყო, მოფრინდა ის თოლიაც, სამხრეთში რომ ჰყავდათ გაგზავნილი უცხო ყვავილის ამბის გასაგებად. თოლიამ სული მოითქვა და ჩაუკენჭა, ამ პაწაწინა სურნელოვან ყვავილს ია რქმევია, რამდენიც გინდათ, სამხრეთში იმდენიაო.

— გაგზავნე ახლა ამისთანები! — დაიყმუყუნა სელაპმა — რაც უკვე ვიცოდით, იმაზე მეტი აბა, რა გაგვაგებინა?! კი, ბატონო, ია რქმევია, მაგრამ აქ რანაირად გაჩნდა? სწორედ ამ ადგილას, სხვა არა, აი ეგ ია! პირდაპირ უნდა გითხრათ, განცვიფრებული ვარ.

— რაო, რა ვარო? — ჩურჩულით იკითხა თეთრმა დათვმა.

— განცვიფრებულიო, — ჩურჩულითვე უპასუხა ცოლმა. — გაცოფებული კი არა, განცვიფრებული არ გაგიგონია, ამოდენა დათვი ხარ? აი, აღარ ვიცი, რა ვქნა, რომელი თათი გადავდგაო!

— აჰაა! — ამოიღმუვლა თეთრმა დათვმა. — სწორედ მეც მაგის თქმა მინდოდა.

იმ ღამეს პოლუსი საზარელმა ყინულძვრამ შეარყია. უზარმაზარ ყინულებს თხელ მინასავით გაჰქონდა ჭახაჭუხი. საწყალ იას იმედის ჩიტი აუფრთხიალდა გულში და მთელი თავისი სურნელება გათოშილ ჰაერს ძალღონესავით შეალია, ერთი სული ჰქონდა — იქნებ როგორმე გავალხო ეს უნაპირო ყინულეთი და თბილ ლაჟვარდოვან ზღვად ანდა თვალუწვდენელ ზურმუხტოვან მდელოდ გადავაქციოო. მერე უცებ ჩამოჭკნა, ჩაქინდრა მოძრული თავი და კინწი მოსწყდა.

გათენებისას ყველამ დაინახა — ია ღეროგაყინული ეგდო თოვლზე. შესაძლებელი რომ ყოფილიყო და სიკვდილის წინ სიტყვით გამოეხატა თავისი უკანასკნელი სათქმელი, — აბა ყური დამიგდე, — აი, რას იტყოდა მაშინ საბრალო ია: ვიცი, ვკვდები, მაგრამ რა ვქნა?! მე თუ არა, ვიღაცას ერთხელ მაინც ხომ უნდა დაეწყო ამ ყინულების ლხობაო; აქაურობას როდისმე ალბათ სულ ია დაამშვენებს და საყვარლად ამწვანებულ ველ-მინდვრებს პატარების ჟივილ-ხივილი მოეფინებაო.

## <u>საფრთხობელა</u>

ერთ ოჯახში შვიდნი ძმანი იყვნენ. კოჟანდარ ძმას გონარიო ერქვა. ღარიბ-ღატაკ დედ-მამას იმის თავიც არა ჰქონდა, ნაბოლარა შვილი მაინც ეტარებინა სკოლაში. რა ექნათ, ადგნენ და ფერმაში გაგზავნეს პატარა გონარიო სამუშაოდ. ახედ-დახედა საწყალ ბიჭს ფერმის პატრონმა და საფრთხობელას ადგილი მიუჩინა. გონარიოს «აქშა, აქშას» ძახილით უნდა ერბინა ნათესებში და ჩიტები დაეფრთხო.

ყოველ სისხამ დილით გადაჰკიდებდნენ თოფისწამლიან აბგას და გაუშვებდნენ. მზის ჩასვლამდე პურის საჭმელად ვერ იცლიდა, დადიოდა ზღვასავით გადაჭიმული ხოდაბუნის ერთი თავიდან მეორემდე და საწიწკნად შემოსეულ ფრინველს უქშევდა. ხანდახან თუ ჩაიმუხლისთავებდა, მაშინაც თოფის წამალს აფეთქებდა. დამფრთხალი ჩიტები უმალვე აიშლებოდნენ და ცას მიაშურებდნენ ხოლმე. გონარი-

ოს დანახვაზე გული უსკდებოდათ. დავიღუპეთ, არიქათ, მონადირე მოვიდაო, აბოჟირდებოდნენ.

ამ ფეთქება-ფეთქებაში გონარიოს ერთხელ ტანსაცმელზე თოფისწამლის ნაპერწკალი მოხვდა და ცეცხლი მოედო. კიდევ კარგი, არ დაიბნა და იქვე გუბეში გაგორდ-გამოგორდა, თორემ ისე დაიწვებოდა, ვერავინაც ვერ გაიგებდა.

გუბეში ადამიანი რომ დაინახეს, გულგახეთქილი ბაყაყები ყიყინით გაცვივდ-გამოცვივდნენ. ხან ერთი ამოხტებოდა, ხან მეორე. სულ ტყაპატყუპი გაჰქონდათ. ბაყაყების ყიყინმა თავზარი დასცა კომიჭების პირებში მიმალულ კალიებსა და ჭრიჭინებს. ისინიც შეშინდნენ, ალბათ ქვეყანა იქცევაო, და სული გაკმინდეს.

მაგრამ ყველაზე უფრო თვითონ გონარიოს შეეშინდა. გაზუნზლული იხვის ჭუჭულივით მოიბუზა გუბის პირას და ატირდა. რა ატირებდა და დედა მოენატრა! თანაც შიმშილით მუცელი ეწვოდა. ამოუჯდა გული, და ისეთნაირად იმდუღრებოდა, ონავარ ბეღურებსაც კი შეებრალათ და ტოტებზე ჩამოსხდნენ. ნუ ტირი, პატარა ბიჭო, ცოდო ხარ, თვალები გეტკინებაო. თავიანთი ჭკუით სანუგეშებელს ჩამოსჭიკჭიკებდნენ. მაგრამ ბეღურა ჩიტები საფრთხობელას აბა, რას დაამშვიდებდნენ?!

აი, რა ამბავი მოუხდა პატარა გონარიოს. ახლა იმას არ იკითხავ, სად მოუხდა? სადა და სარდინიაში.

## <u>ზღაპარი არსად მიმავალი გზისა</u>

სოფლის გადაღმა შარაგზა სამად იყრებოდა: ერთი გზა ზღვისკენ იყო გაჭიმული, მეორე პირდაპირ ქალაქში ჩაგიყვანდა, მესამე კი არსად არ მიდიოდა.

მარტინომ კარგად იცოდა ამ გზის ამბავი. სოფელში ვისაც კი შეეკითხა, რომ წავიდე, სად მიმიყვანსო, სუყველა ერთსა და იმავეს ეუბნებოდა: არსადაც არ მიგიყვანს, ტყუილად ფეხებს დაიღლიო.

— მაინც სადამდე მიდის? — არ ეშვებოდა ხოლმე მარტინო.

— არც სადამდე!

— მაშ, აბა რატომ გაიყვანეს?

— არავისაც არ გაუყვანია, ეგ გზა სულ მუდამ იყო.

— როგორ დავიჯერო, ნუთუ თავის დღეში ერთი ვინმე მაინც არ გაჰყოლია?

— ღმერთო, რა თავისნათქვამა ხარ! — ეუბნებოდნენ გაბეზრებული მეზობლები. — აკი გითხრეს, ეგ გზა არსად მიდისო, და აბა ვინ უნდა გაჰყოლოდა!

— არაფერიც არ იცით! — ქვას ააგდებდა და თავს შეუშვერდა ხოლმე გაკერპებული მარტინო. — ან რა უნდა იცოდეთ, როცა მაგ გზით ერთხელაც არ გივლიათ!

რამეს რომ იტყოდა, მოკვდებოდა, გაწყდებოდა და მაინც თავისას გაიტანდა. იმისთანა გაქირს იზამდა, ტყუილია! ამიტომაც იყო — მთელი სოფელი დიდიან-პატარიანად გაქირას ეძახდა. მაგრამ მარტინოს ზედმეტი სახელი არა სწყინდა და სულ ერთთავად იმ არსად მიმავალი გზის ფიქრში იყო.

ცოტა დღესა, ცოტა ხვალა, და წამოიზარდა მარტინო. ქუჩას უკვე თავისით გადადიოდა, პაპას აღარ ეჭირა ხოლმე ხელით. ერთხელ სისხამზე ადგა, მზე ის იყო ამოიწვერა. გავიდა გარეთ და მაინცდამაინც იმ გზას გაჰყვა, არსად არ მიგიყვანსო რომ ეუბნებოდნენ. მიდიოდა მარტინო, გულს არ იტეხდა, მაგრამ გზას თანდათან გზობისა აღარაფერი ეტყობოდა. ალაგ-ალაგ ზედ შამბნარს გადაევლო, ოღროჩოღროებს ხომ ნუღარ იტყვი! სულ მიხრამულ-მოხრამული იყო. კიდევ კარგი, დარი იდგა, თორემ წვიმიან ამინდში იმ გუბეებს რა გაივლიდა! ცოტა ხანს ჯერ ძეძვებში იარა მარტინომ, მერე ერთბაშად ღურღუმ ტყეში ამოყო თავი და მოეჩვენა, ალბათ, ბნელ, ნეს-

ტიან გვირაბში შეეედიო. აქა-იქ იშვიათად ატანდა თითო-ოროლა მზის სხივი, და როგორც უკუნ ღამეში შუქურა გაიკიაფებს ხოლმე სადმე ზღვის პირას, ისე იმედიანად ჩამოსციმციმებდნენ ის სხივებიც.

მიდის მარტინო, მხნედ მიაბიჯებს, მაგრამ გვირაბს დასასრული არ უჩანს. საწყალ ბიჭს მუხლში ძალა წაერთვა, ფეხებს ძლივსღა ადგამდა. არაქათგამოცლილმა, ის იყო, უკან დაბრუნება დააპირა, რომ უცაბედად ძაღლს მოჰკრა თვალი.

«საცა ძაღლია, ახლო-მახლო ან ადამიანია, ან სახლი», — გაიფიქრა მარტინომ და ცოტა შვება იგრძნო.

ძაღლმა მარტინოს კუდის ქიცინით შემოურბინა გარშემო, ხელი გაულოკა და დაბურულ გზას მიჰყვა. მირბოდა და თან უკან იცქირებოდა, აბა, მარტინო მომდევს თუ არაო.

— მოგდევ, მოგდევ! — მისძახოდა მარტინო და თან გულში ფიქრობდა: «აი, საკვირველება თუ გინდა, ეს არის».

ამ სირბილ-სირბილში კარგა მანძილი გაიარეს და ტყეც ცოტა გამეჩხერდა, მაღლა ცის უფსკრული გამოჩნდა. გზა ერთ უშველებელ რკინის ალაყაფს მიადგა და გათავდა! ვეღარც აქეთ წახვიდოდი, ვეღარც იქით.

შეიჭვრიტა მარტინომ კარებში და რას ხედავს — წალკოტში თოვლივით თეთრი მარმარილოს სასახლე დგას, სასახლის სუყველა კარი და ფანჯარა ღიაა, საკვამურიდან ბოლი ამობურბურებს, აივნიდან კი მზეთუნახავი ეძახის, ხელს უქნევს: ვიცი, მეტსახელა გაქირა ხარ, აქ მოდიო.

— უყურე, ერთი! — წაიჩურჩულა გახარებულმა მარტინომ. — მე არც ვიცოდი, აქ თუ მოვიდოდი, მაგან კი ხელად მიცნო.

მარტინოს დიდხანს აღარ უფიქრია. ურდულს ხელი გაჰკრა, წალკოტი გაიარა და სასახლეში შევიდა. დარბაზის კარი შეაღო თუ არა, შესახვედრად წამოსული მზეთუნახავი დაინახა, მარმარილოს კიბეებზე დაფენილ ფიანდაზს ჩამოსდევდა. იმის მნახველს მზეც აღარ მოეწონებოდა. ახლა რა ეცვა და რა ეხურა, არ იკითხავ! ოჰო, ჰო, ჰო, ჰო! მოდიოდა და თან კისკისებდა, იბადრებოდა. მხიარული სინიორა იყო, ეტყობოდა.

მარტინომ თავი დაუკრა და დაელოდა, ვნახოთ, რას მეტყვისო.

— შენ მაინც არავის არ დაუჯერე, არა? — ღიმილით ჰკითხა სინიორამ.

— რა არ დავუჯერე?

— რა და, ამ გზაზე რომ გითხრეს, არსად არ მიგიყვანსო.

— სისულელე მითხრეს და იმიტომ არ დავუჯერე. თუ არ იარე, გზას რა დალევს!

— მართალი ხარ. რაც მეტს ივლი, მეტსა ნახავ. წამო, ბარემ სასახლესაც გაჩვენებ.

მარტინო თვალებს არ უჯერებდა, იმისთანა რამეები ნახა. ჯერ ოთახებსა და დარბაზებს ხომ თვლა არა ჰქონდა! თანაც სულ განძით იყო მთელი სასახლე გაჭედილი. რა გინდა, სულო და გულო, იქ არ გენახა! ეს ალმასებიო, ძვირფასი თვლებიო, მარგალიტებიო. ოქროსა და ვერცხლზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, იმდენი ეყარა.

— აიღე, რაც გინდა! — ეუბნებოდა სინიორა მარტინოს. — თუ ვერ მოერევი, ჩემი ეტლით გაგამგზავრებ.

მარტინოს ბევრი ხვეწნა არ უნდოდა. არჩია, არჩია და ეტლი სულმთლად აავსებინა. ეტლის კოფოზე ის ნაგაზი იჯდა. გაწაფული ძაღლი იყო, ცხენები ქარივით მიჰყავდა. არც ერთს ფეხს არ შეანელებინებდა, გზიდან არ გადაახვევინებდა.

სოფელში აღარავის ეგონა, მარტინო თუ ცოცხალი იყო და სუყველა სახტად დარჩა, როცა ეტლში წამოსკუპებული დაინახეს. იმ მეეტლე ნაგაზმა მთელი სიმდიდრე ხელდახელ სოფლის მოედანზე ჩამოცალა, პატივისცემის ნიშნად კუდი ორჯერ გაქნ-გამოქნია, ახტა კოფოზე და, მიწამ უყო პირი, თუ ცამ ჩაყლაპა, ვეღარავინ  დაინახა, იმ ადგილას მტვრის კორიანტელიღა იდგა.

მარტინომ გულუხვად დაასაჩუქრა შინაურებიცა და გარეულებიც. არავისთვის არაფერი დანანებია, თანაც, სულ ცოტა, ასჯერ მაინც აამბობინეს, რაც იქ ამბავი გადახდა. მოყოლას დაასრულებდა თუ არა, ხან ერთი წამოხტებოდა ხოლმე, ხან მეორე, გაიქცეოდა, ცხენს შეკაზმავდა და იმ არსად მიმავალ გზას გაუტევდა.

მაგრამ იმავე საღამოს პირში ჩალაგამოვლებულნი ბრუნდებოდნენ უკან და ძაღლებივით იღრინებოდნენ. ზოგი ამბობდა, ეგ რაღაცას იტყუება, იმ დასაკარგავში გზას რა უნდაო, მეორენი ამბობდნენ, გზა კია დაქნილი, მაგრამ ძეძვიანშია სასიარულოო. ერთი სიტყვით, არავინ თვალის დამკვრელი არ იყო იმ რკინის ალაყაფის კარისა, არც იმ სასახლისა, იმ სათნო მზეთუნახავისა. ან რა თვალი უნდა დაეკრათ? განძი ეგრე ადვილად ყველას კი არ უვარდება ხელში! მარტინოსი არ იყოს, გზა იქით პირველმა თუ არ გაკვალე, ისე არაფერი გამოვა.

## <u>ყავარჯენი</u>

თითისტოლა კლაუდიო ერთხელ თავიანთ ჭიშკართან ჩხირკედელაობდა, იქვე გზაზე კი ოქროსსათვალიანი დარბაისელი ბერიკაცი მოდიოდა. წელში ცხრად იყო მოკეცილი და, კიდევ კარგი, ყავარჯენს მიიბჯენდა, თორემ ისე, ალბათ, ვერ ივლიდა. ჭიშკარს რომ გაუსწორდა, ბერიკაცს უცაბედად ხელი გაეშვა და ყავარჯენი ძირს დაუვარდა, კლაუდიო ხელად იქ გაჩნდა, აიღო ყავარჯენი და პატრონს მიაწოდა.

— შენი მადლობელი ვარ, მაგრამ იყოს, აღარ მინდა, — ღიმილით უთხრა ოქროსსათვალიანმა ბერიკაცმა. — უჯოხოდაც კარგად ვივლი. თუ მოგწონს, წაიღე, შენთვის მიჩუქნია.

უთხრა და აღარ დაუცდია, რას მიპასუხებსო, წავიდა, თავის გზას გაუყვა. პირდაპირ საკვირველია — წელში თითქოს მართლა გასწორდა, სიარულითაც ყოჩაღად მიდიოდა. კლაუდიო კი გაშტერებული დასცქეროდა ნაჩუქარ ყავარჯენს და არ იცოდა, რა ექნა. ჩვეულებრივი თავკაუჭა ჯოხი იყო, ბოლოში რკინის წვეტი ჰქონდა, აი, ბუნიკს რომ ეძახიან.

გააქანა კლაუდიომ ყავარჯენი და ძირს დაარჭო — აბა, ერთი ვნახო რკინის წვეტი ქვიშაში სადამდე ჩავაო. ერთხელ არ იკმარა, რამდენჯერმე სცადა. მერე ახლა ვითომ ცხენიაო, ზედ მოახტა და... რის ყავარჯენი, რა ყავარჯენი! კლაუდიო ყორნისფერმა საღარა* (*თეთრშუბლა ცხენი) ბედაურმა გაიტაცა და მთელი ეზო დაოთხილმა შემოატარა. თან ჭიხვინებდა და ფლოქვებიდან ნაპერწკლებსა ყრიდა.

ამაზე მეტი საკვირველება რაღა გინდა! კლაუდიოს, ცოტა არ იყოს, გული გადაუბრუნდა, და როგორც კი ბედაურმა ფეხი შეანელა, იმწამსვე ძირს ისკუპა. ბიჭის ჩახტომა იყო და ბედაური ისევ ყავარჯნად იქცა. არსად არც ნალებისა ეტყობოდა რამე, არც ნაპერწკლებისა, წეღანდელი ოთხი ფეხის მაგივრად ის თავისი ჟანგიანი რკინის წვეტი შერჩა, ფაფრის ადგილას კი — ხელის მოსაკიდებელი კაუჭი.

მოდი ერთს კიდევ ვცდი, რაც არი —არიო, თქვა კლაუდიომ, როცა ცოტა მოსულიერდა და გულიც გაიმაგრა.

თქმა და ქმნა ერთი იყო, წეღანდელივით მარდად მოახტა ყავარჯენს და..... არა, ცხენად აღარ გადაქცეულა. ახლა ორკუზიან კოხტა აქლემად იქცა, ეზო კი — თვა-

ლუწვდენელ უდაბნოდ გადაიჭიმა. კლაუდიოს მთელი იმოდენა უდაბნო სულ უნდა გაევლო, ბოლოში უნდა გასულიყო, მაგრამ შიშის ნატამალი მაინც არ უგრძნია. ის კი არა, თვალცქვიტად იყო, სადმე ალბათ ოაზისია და არ გამომეპაროსო.

«ჯადოსნურია, მაშ, რა არის!» — დაირწმუნა თავი კლაუდიომ, როცა მესამედაც მოახტა. ყავარჯენი ახლა უკვე ცეცხლისფერ სამარულო ავტომობილად იქცა, კაპოტზე თეთრად ეწერა ვეებერთელა ნომერი, ეზო უზარმაზარი სარბიელი გახდა, თვითონ კლაუდიო კი — მოჯირითე იყო, ნამდვილი მოჯირითე მძღოლი, რომელიც თავის საქმეში მუდამ პირველია.

მერე ის ყავარჯენი კატარღად გადაიქცა და, ეზოს ადგილას რომ ტბა გაჩნდა, იმ მწვანედ მოლივლივე ტბის ტალღებს გაჰყვა. თუმცა კატარღა რა სათქმელია! მალე მოკაშკაშე რაკეტად აიჭრა მეცხრე ცაში და თვალისმომჭრელ ვარსკვლავებს შეერია.

ამ თამაშ-თამაშობაში კარგა დრო გავიდა, უკვე მოსაღამოებული იყო, ამ ყავარჯნის პატრონმა ბერიკაცმა კიდევ რომ ჩამოიარა კლაუდიოანთ ჭიშკართან. კლაუდიომ თვალი მოჰკრა და ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, კარგა ხანს უცქირა, მაგრამ ვერაფერი განსაკუთრებული ვერ შეატყო, ჩვეულებრივი, უბრალო ბერიკაცი იყო, დილანდელთან შედარებით ცოტა უფრო დაღლილი ჩანდა.

— ჰა, რას იტყვი, პატარა ბიჭო, მოგწონს ეგ ჯოხი? — ღიმილით ჰკითხა ბერიკაცმა.

კლაუდიომ იფიქრა, ალბათ, უნდა გამომართვასო, წამოწითლდა და უხმოდ გაუწოდა. მაგრამ ოქროსსათვალიანმა სინიორმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

—არა, შენი იყოს, — უთხრა ბერიკაცმა. — აბა, მე რად მინდა, შენ მაგით ირბენ კიდეც და იფრენ კიდეც, მე კი დიდი-დიდი დავებჯინო და მეტი არაფერი. დასაბჯენს, ნუ გეშინია, სხვა რამესაც ვნახავ. სულაც ავდგები და კედელ-კედელ ვივლი.

ამის თთქმა იყო და ბერიკაცს სახე გაებდრა, თითქოს გაახალგაზრდავდაო, სწრაფი ნაბიჯით წავიდა თავის გზაზე. მერე და რატომ გაებადრა, არ იკითხავ? რატომ და ქვეყნად არავინ არ არის იმ მოხუცებულზე ბედნიერი, ვისაც პატარებისთვის რაღაცის ჩუქება მაინც შეუძლია.

## <u>ძველი ანდაზები</u>

— კატის მანძილი საბძელია, — თქვა ერთმა ძველმა ანდაზამ.

— ტყუილს ამბობ, სოფლის ბოლოში მივდივარ, — შეეპასუხა კუდბომბორა კატა, რომელმაც სწორედ მაშინ ჩამოიარა გზაზე.

— შენ ბევრს ნუ ლაპარაკობ. ძველი ანდაზა არასოდეს არა სტყუის, — სიტყვა შეაწყვეტინა ძველმა ანდაზამ.

— თუ არა გჯერა, გამომყევი და შენი თვალით ნახე, — დაიკნავლა ფისუნიამ და გავარდა.

კატამ სიტყვა როგორ შემომიბრუნაო, გულნატკენი ძველი ანდაზა უცაბედად დასრიალდა, სახლის სახურავიდან გადმოვარდა და ფეხი მოიტეხა.

მეორე ძველი ანდაზა კი ადგა და ფეხბურთზე წავიდა. გაიხმო განზე ერთი მოთამაშე და წასჩურჩულა:

— მარტო ცხენი, ხომ გაგიგონია, კარგა გაჭენდებაო. მიდი შენც მარტო შეუტიე და გამარჯვება შენი იქნება.

იმ ფეხბურთელმაც დაუჯერა ძველ ანდაზას, დანარჩენებს აღარ დაელოდა, გაიგდო ბურთი და მარტო თვითონ დაიწყო თამაში. მაგრამ მარტოკა, აბა, რას გახდებოდა! ან რა უნდა მოეგო, ან ვისთვის უნდა მოეგო? არა, ამნაირი ფეხბურთი არ გამო-

მადგებაო, იფიქრა ქანცგაწყვეტილმა და ისევ თავის გუნდს დაუბრუნდა. ძველ ანდაზას იხტიბარი წაუხდა, გავმტყუნდი და ეგ არისო, დარდზე ავად გახდა და, სანამ გლანდები არ ამოაჭრეს, ფეხზე ვერ წამოდგა.

ერთხელ კი სამი ძველი ანდაზა შეხვდა ერთმანეთს. ჯერ წესიერად გამარჯობაც არ ეთქვათ, რომ უკვე შეკინკლავდნენ.

— სწორედ შენზეა ნათქვამი, ბედი მომეცი და სანაგვეზე გადამაგდეო, — ლახტი გადაჰკრა ერთმა მეორეს.

— თუ არ იცი, გაგონილი მაინც გექნება, ბედი ბრმააო, — სიტყვა გაუტრიზავა ლახტგადაკრულმა.

— მერე რა, არცოდნა არცოდვაა! — თქვა მესამემ.

ეცნენ ერთმანეთს და ატყდა წეწვა-გლეჯა — არა მე ვარ მართალი, არა-მეო. არ დაიჯერებ, ჯერაც ისევ დაკა-დაკა აქვთ!

ახლა იმას არ იკითხავ, რა მოუვიდა ერთ ძველ ანდაზას, ვაშლი რომ მოუნდა და ხელის განძრევა კი ეზარებოდა? დაჯდა ვაშლის ძირას და ჩაანდაზა: მწიფეს ესროდნენ და მკვახე ცვიოდაო. ვინც მოითმენს ის მოიგებს, მწიფე თავისით ჩამოვარდებაო.

რა გგონია, მართლაც ჩამოვარდა! მაგრამ ვაი იმ ჩამოვარდნას, ნახევარი უკვე დამპალი იყო.

არა, ხალხში აღარ გამომესვლებაო, ინამუსა გამტყუნებულმა ანდაზამ და გადადგა, ანდაზობას თავი გაანება.

## ხელმადლიანი ქალის ამბავი

ლაგო-მაჯორეს ტბის პირას, სანტ-ანტონიოში, ერთი უბრალო მანდილოსანი ქალი ცხოვრობდა, რომლისთანად დედამიწის ზურგზე მურაბას ვერავინ ხარშავდა. მურაბების დრო დადგებოდა თუ არა, ქვეყნის ხალხი მოაწყდებოდა ხოლმე. ზოგი საიდან მოდიოდა, ზოგი საიდან. ჩამოუსხდებოდნენ კარებწინ და იყო გაუთავებელი ხვეწნა-მუდარა, არა ჯერ მე მომიხარშე, არა ჯერ მეო.

— გამოიხედე, გენაცვალე! — გასძახებდა ვინმე ენატკბილი დედაკაცი.

— რა ამბავია, რა იყო? — გამოსძახებდა ისიც.

— უარს ნუ მეტყვი, შენი ჭირიმე, მოცვის მურაბა უნდა მომიხარშო.

— მაგის დარდი ნუ გაქვს, ადვილი საქმეა.

— მე ალუბლისა მინდა, შემოგევლე! — სთხოვდა მეორე.

— ალუბლისა გინდა და ალუბლისას მოგიხარშავ, — ეტყოდა და პირს არ შეირცხვენდა.

მართლა მადლიანი ხელისა იყო და მთელ იმ მხარეში, ვარეზედან მოკიდებული, შვეიცარიაში რომ კანტონი ტიჩინოა, იქამდე, ნამდვილი სახელის მაგივრად სუყველა ხელმადლიანს ეძახდა. ტყუილია, იმის მურაბისთანას ნურავინ ნუ დაიტრაბახებს!

ერთხელ ზარმაცების სოფლიდან მოადგა ერთი აბგააკიდებული ქალი. მურაბა მოსდომებოდა და წამოსულიყო, გზად ტყეში რკო აეკრიფა და ის მოიტანა, რა ვქნა, სხვა ვერაფერი ვიშოვნე, ამის მურაბა მომიხარშეო.

— რკოსი?

— მთელი ქვეყანა შენი მადლიერია, უარით ნურც მე გამისტუმრებ, ხელმადლიანო. — ეუბნებოდა ის ქალი.

— კარგი, ვნახოთ, — უთხრა ხელმადლიანმა და მოუხარშა, მაგრამ რა მოუხარშა! გემოთი ვისაც უნდა ენახა, მურაბის უნახავს გახდიდა.

აქაოდა ერთხელ რკოს მურაბა მომიხარშაო, ის ქალი მეორედაც მოადგა და ახლა მთელი ერთი კალათა ჭინჭარი მოიტანა, რა ვქნა, სხვა ვერაფერი ვიშოვნე, იქნებ ჭინჭრის მურაბაც გამოვიდესო.

მაშინდელი არ იყოს, შეეცოდა ხელმადლიანს ზარმაცების სოფლიდან მოსული ის დაბდური ქალი და, კარგი, ვნახოთო, უთხრა. გამოართვა ჭინჭარი, გარეცხა, გააჩახჩახა, ჩაყარა ოქროსფერ მურაბის ტაშტში, დაასხა შაქარ-წყალი, ცეცხლს ხან შეუკეთებდა, ხან გამოუკეთებდა, კარგა ხანს ნებისად ადუღა და იმისთანა ჭინჭრის მურაბა მოხარშა, სულ თითებს ჩაილოკავდი.

ოქროს ხელმა იცის, მაგან გინდა კენჭები მოხარშოს, მაინც გემრიელი იქნებაო, ერთხმად ამბობდა ხალხი.

ერთ მშვენიერ დღეს იმ მხარეში ხელმწიფემ ჩამოიარა. გაეგო ხელმადლიანი მემურაბე ქალის ამბავი და ბრძანა, აბა, იმ ქალის მოხარშული ცოტა მურაბა მომიტანეთ, ვნახო, რასაც ამბობენ, მართალია თუ არაო. გავარდნენ და პატარა ბროლის ლამბაქით მოუტანეს. ხელმწიფეს ჯერ ერთი კოვზის პირიც არა ჰქონდა შეჭმული, რომ დაიღრიჯა, ფუი, რა საზიზღრობაა. არა, მურაბაზე არ უთქვამს. ნურას უკაცრავად. კოვზი ჩაყო თუ არა, ლამბაქში ბუზი ჩავარდა და იმიტომ შეეზიზღა.

— მურაბა რომ არ ვარგოდეს, ბუზი შიგ არც ჩავარდებოდა, — სიტყვა შეჰბედა ხელმწიფეს ხელმადლიანმა ქალმა.

ხელმწიფემ სიტყვის შებრუნება იწყინა და გარეული ტახივით გაშმაგდა.

— ახლავ ორივე ხელი ნიდაყვებში დააჭერით! — უბრძანა თავის მცველ ჯარისკაცებს.

ბრძანება ბრძანებაა, მაგრამ არც ხალხს ეძინა. დიდიან-პატარიანად სუყველა გარეთ გამოეფინა. ხელმწიფესთან კაცები აფრინეს და დააბარეს, თუ ჩვენს ოქროს ქალს ხელები მართლა დააჭრეს, იცოდე, გვირგვინსა და თავს ერთად გაგაგდებინებთო. ხელმწიფეს რომ თავი აქვს, იმისთანა თავს რომელ სოფელშიც გინდა ნახავს კაცი, ჩვენი ხელმადლიანისთანა ადამიანი კი სანთლით საძებარიაო, ხმამაღლა ამბობდა ხალხი.

იცოცხლე, იკადრა ხელმწიფემ და ამოიძუა კუდი.

## <u>მზე და ღრუბელი</u>

ცხრათვალა მზე ცხრათვალიან ცეცხლის ეტლში იჯდა, ზეცა-ზეცა დაბრძანდებოდა და დედამიწას თაკარა სხივებს აფრქვევდა.

ღრუბელი კი ჭექა-ქუხილის გუნებაზე იყო და ძაღლივით იღრინებოდა:

— აი, შე უჭკუოვ, შენა! ფანტე, ფანტე ეგრე სხივები! როცა გამოგელევა, დავინახავ ერთი მერე რაღას იზამ!

რქაწითლის მტევნები დედის რძესავით იწოვდნენ მზის მხურვალებას და ღუოდნენ, იმკრახებოდნენ. ქვეყანაზე არ იყო ისეთი ბალახი, ობობა, ყვავილი თუ წყლის წვეთი, თავის წილ მზის სხივს ხარბად რომ არ დასწაფებოდა.

— გააქურდინე ეგრე სუყველას თავი, გააქურდინე! ცხრავე თვალი რომ დაგიდგება, ნახავ, რითაც გადაგიხდიან. — შავად იგრაგნებოდა ღრუბელი.

ჩახჩახა მზე კი აინუნშიაც არ იგდებდა არეული ღრუბლის ბუზღუნს და ყოველ სულიერსა თუ უგულოს გულუხვად ჰფენდა თავის მცხუნვარე სხივებს.

საღამოთი მზემ სულ თითო-თითოდ დათვალა და არც ერთი სხივი არ აკლდა. ამის დამნახავი ღრუბელი ძირს სეტყვად წამოვიდა. სხივაკრეფილი მზე კი არხეინად ჩაყურყუმელავდა ზღვაში.

## <u>საწყალი დეიდა ადა</u>

სიბერემდე სიქაჩლეო, ნათქვამია. საწყალი დეიდა ადაც ძალიან როცა გატყდა და აღარაფრის ილაჯი არა ჰქონდა, საცხოვრებლად სამადლო სახლში გადავიდა. იმ ოთახში, სადაც ის დააბინავეს, სამი საწოლი იდგა. ორი საწოლი სხვა დედაბრებს ეჭირათ, მესამე კი დეიდა ადას მიუჩინეს. მივიდა საწყალი დეიდა ადა ფანჯარასთან, ჩაჯდა თავისავით ძველ სავარძელში, ჯიბიდან ხმელი ნამცხვრის ნატეხი ამოიღო, დაფხვნა და რაფაზე მოფანტა.

— უყურეთ ერთი! — გაბრაზდნენ დედაბრები. — ჭიანჭველები უნდა დაგვახვიოს!

უცებ იქვე ბაღიდან პატარა ჩიტი მოფრინდა, აკენკა ნამცხვრის ნაფხვენები და წავიდა, შეინავარდა.

— რაღა ეგ ჩიტი და რაღა ჩვენი შვილები! — ხელად გული ამოუჯდათ დედაბრებს, — იმათაც აკი მაგ ჩიტივით კენკეს, სანამ ასაკენკი გვქონდა, გაიმაგრეს ფრთები და გაფრინდნენ. წადი ახლა და ეძებე, სად დაფრინავენ! ერთხელ რომელიმეს მაინც მოვაგონდეთ...

საწყალ დეიდა ადას ხმა არ გაუცია. მეორე დღესაც და მერეც — ყოველ დილით საკენკად ფხვნიდა თავის წილ ნამცხვრის ნატეხს, და ის პატარა ჩიტიც მუდამ ერთსა და იმავე დროს მოფრინავდა ასაკენკად. უნდა გენახა, რა დღეში იყო ხოლმე, საწყალი დეიდა ადა ცოტას თუ დაუგვიანებდა საუზმეს.

ერთხელაც ის ჩიტი უკვე მარტო კი არა, თავის ბარტყებიანად მოფრინდა. ოთხი ბარტყი ჰყავდა და ოთხივენი ცისმარე დღე თან დასდევდნენ. ფანჯარაზე საკენკი თუ არ ეყარა, ჟივჟივით იკლებდნენ იქაურობას.

— გამოხედე მალე, შვილიშვილები მოგიფრინდნენ! — უძახოდნენ დედაბრები საწყალ დეიდა ადას და მიკნავებულ ხმაზე ეტყობოდათ — შენატროდნენ, ნეტავი შენა, ფეხზე დადიხარო.

რაც შეეძლო, საწყალი დეიდა ადაც თავს არ იზოგავდა. ჩიტების ჟივჟივს გაიგონებდა თუ არა, მიჩუჩუნდებოდა თავის პატარა კარადასთან, სადაც ცოტა ყავა, პიტნის შაქარყინული და ნამცხვრის ნატეხები ჰქონდა შენახული, აიღებდა ერთ ცალ ნატეხს და ფანჯრისაკენ წახანხალდებოდა. მოვდივარ, მოვდივარ, — ხელს უქნევდა ჩიტებს. — აი, თქვე ონავრებო, თქვენა.

— ეეჰ! ამოიოხრებდნენ დედაბრები და გულს ამოაყოლებდნენ. — ნეტავი შეიძლებოდეს მაგ ნამცხვრით ჩვენი შვილებიც როგორმე მოვიტყუოთ!.. თქვენები სადღა არიან, ადა ქალბატონო!

საწყალ დეიდა ადას წინათ ახსოვდა და იტყოდა ხოლმე კიდეც, ამა და ამ ქვეყანაში არიანო. მაგრამ მერე მახსოვრობა წაერთვა და ახლა აღარ იცოდა, სად იყვნენ, ავსტრიაში თუ ავსტრალიაში. თუმცა ძალიანაც არა ჯავრობდა, რატომ არ მახსოვსო. ერთს მწარედ ჩაიცინებდა და ჩიტების გასაგონად აბუტბუტდებოდა:

— ჭამეთ, აკენკეთ. მშივრები აბა, რას იფრენთ!

მერე კი, როცა უკვე სულ აანამცეცებდნენ, ვითომ უბრაზდებოდა:

— მორჩა, გეყოფათ! ახლა ცოტა თქვენც გაინძერით. მაშ ფრთები რისთვის გასხიათ?

ეგ ჩვენზე უბედურ დღეშია, სულ გამოსულელებულიაო, ფიქრობდნენ დედაბრები, თავისთვის არა აქვს რა და ჩიტებს აჭმევს, ნეტავი მადლობას მაინც ვინმე ეუბნებოდესო.

მალე საწყალი დეიდა ადა თავისი შვილების უნახავი გარდაიცვალა. შვილებმა გვიან გაიგეს დედის სიკვდილი, უკვე კარგა დრო იყო გასული და აღარც გზის ფული დაუხარჯავთ, აღარც დასამარხი. ჩიტები კი მთელი ზამთარი ფანჯარას აწყდებოდნენ და ჟივჟივებდნენ — სწყინდათ, ჩვენი კარგი დეიდა ადა ნამცხვრის საკენკს რატომ აღარ გვიყრისო.

## ზღაპარი ხელმწიფისა, რომელიც უნდა მომკვდარიყო

იყო ერთი ყოვლისმძლე ხელმწიფე. იყო და ერთხელ სიკვდილმა სატკივრის პირით შეუთვალა, მოვდივარ და დამიხვდიო.

— რა უნდა, რას მემართლება? სიკვდილს ჩემთან რა ხელი აქვს? — საგონებელში ჩავარდა ხელმწიფე. — სხვა მეტი ვეღარავინ ნახა?

მერე უცებ ყვირილი მორთო, ის ჩემი გულთმისნები სად არიან, ახლავე მომგვარეთ, მიშველონ რამეო.

გავიდნენ, ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერც ერთი ვერ იპოვეს. რაკი ხელმწიფეს საააქაო პირი აღარ უჩანდა, — ჩვენც ზედ არ წაგვაკლანო, სუყველანი სხვა სახელმწიფოში გადახვეწილიყვნენ. მთელ იმოდენა სამფლობელოში მარტო ერთი გადაყრუებული გულთმისანიღა დარჩენილიყო, ისიც ხელმწიფისაგან კარგა ხნის წინათ მოძულებული და სასახლეში ფეხამოკვეთილი. აბა, ის შერეკილი რა სათვალავში ჩასაგდებია, ხან თვითონაც არ იცის, რასა პრუტუნებსო, გადაკრულ-გადმოკრულად მოახსენეს სასიკვდილოდ გადადებულ მბრძანებელს. ხელმწიფესაც ძალიან არ უნდოდა იმისთვის ჭკუა ეკითხა, მაგრამ მეტი რა ჩარა ჰქონდა, ჯანდაბას, დაუძახეთო, ბრძანა გამწარებულმა.

— გადარჩენით, ნუ გეშინია, გადარჩები. — უთხრა გულთმისანმა. — ოღონდ, რასაც გეტყვი, უნდა დამიჯერო. ადექი და ერთი დღით უარი თქვი ხელმწიფობაზე, მიიკითხ-მოიკითხე, ვინც ტყუპისცალივით გემგვანება, ეგ გვირგვინი იმას დაუთმე, დასვი ტახტზე, და შენს მაგივრად ის მოკვდება.

იმწუთას მთელ სახელმწიფოში ბრძანება დაგზავნეს: «რომელი ძეხორციელიც ჩვენს მირონცხებულ ხელმწიფესა ჰგავს, სუყველა ვალდებულია, არაუგვიანეს ხვალისა, გამოცხადდეს სასახლეში. თუკი ვინმე ყურად არ იღებს და არ შეისმენს ბრძანებასა ამას, დაისჯება ვითარცა ყაჩაღი და კაცისმკვლელი».

სასახლეს ზღვა ხალხი მიაწყდა. ზოგი წვერ-ულვაშით ჰგავდა სასიკვდილოდ განწირულ გვირგვინოსანს, მაგრამ ცხვირი ან ცოტა გრძელი ჰქონდა, ან ცოტა მოკლე, და გულთმისანი უკან აბრუნებდა, არ გამოდგებიო. ზოგიც ზედგამოჭრილი ხელმწიფე იყო, აი, როგორც ვაშლი გაჭრა, გულთმისანი კი რატომღაც უარით ისტუმრებდა იმათაც. საბაბ-სუბაბი არა და არ ელეოდა.

— შენ ეგრე სუყველას გაჰყრი! — გაუბრაზდა მბრძანებელი. — ერთი ვინმე მაინც დატოვე საცდელად!

— არა, აქედან არავინ არ გამოდგება! — თავი გაიქნია გულთმისანმა.

მესამე დღეს ხელმწიფემ თავის ამალიანად ქალაქის განაპირა მხარეს აიარ-ჩაიარა. უცებ გულთმისანმა ვიღაცას ხელი მიაშვირა და გიჟივით შეჰყვირა, აი, ის კაცი, ვისაც ამდენი ხანია დავეძებთო.

ქუჩის კუთხეში ერთი საცოდავი კუზიანი საპყარი იდგა, სულ მთლად ჩამოგლეჯილ-ჩამოფხრეწილი, გაძვალტყავებულ ხელებს აქეთ-იქით იწვდიდა და მოწყალებას ითხოვდა.

— შენ ისევ ძველებურად ურევ! — წამოენთო ხელმწიფე და კინაღამ ხელი შემოარტყა. — მეტი შესადარებელი ვეღარავინ ნახე?

— ნუ გწყინს მბრძანებელო! — შეეპასუხა გულთმისანი. — შენც მაგ უბედურივით სიკვდილის შვილი ხარ. მიდი, გაუცვალე ტანსაცმელი, ერთი დღით დასვი ტახტზე და — გადარჩენილი ხარ!

მაგრამ ერთი დღე რა არის, ხელმწიფემ ერთი დღითაც კი არ ინდომა ვიღაც მათხოვრის ბრანძების ჩაცმა. გაბღენძილი მიტრიალდა სასახლეში, სულმოუთქმელად ავარდა ტახტზე, ემანდ მართლა არავინ წამართვასო, გადაბრუნდა და კვერთხჩაბღუჯულმა განუტევა სული.

## <u>კუდიანი ვარსკვლავების გამყიდველი</u>

ერთმა ჯადოსანმა საკვირველი მანქანა გამოიგონა. შესახედად ხორცის საკეპსა ჰგავდა, ნამდვილად კი კუდიანი ვარსკვლავების მანქანა იყო. აიღებდა, დაატრიალებდა და, ვისაც რანაირი უნდოდა, იმისთანა ვარსკვლავს გამოუჭრიდა. გინდა დიდი გეთქვა, გინდა პატარა, უკან არ დაიხევდა. ცალფაკუდიანი თუ ორფაკუდიანი, ყვითელი თუ წითელი, იმისთვის სულ ერთი იყო, ოღონდ მუშტარი ჰყოლოდა.

დადიოდა ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში და ხან თვითონაც არ იცოდა, სად უღამდებოდა, ან სად უთენდებოდა. დილით მილანის ბაზრობაზე შეგხვდებოდა, შუადღისას კი უკვე პერონაში იყო ცხენის ბაზარზე, ატრიალებდა იმ თავის გამოგონებულ მანქანას და ქვეყანას აწონებდა, მოდით, მოდით, თქვენი თვალით ნახეთ, რა ადვილი სახმარიაო.

მანქანიდან სულ წვრილ-წვრილი, ძაფგამობმული ვარსკვლავები ცვიოდა, ვინც იყიდდა, ძაფის კუდით უნდა დაეჭირა და რამხელასაც მოისურვებდა, ვარსკვლავიც თანდათან იმხელა გახდებოდა.

ჯადოსანს ყველგან ბუზივით ეხვია ხალხი, ყიდვით კი ერთი პაწაწინა კუდიანი ვარსკვლავიც არსად არავის არ უყიდია.

— აი, ჰაერში ასაფრენი ბუშტი რომ იყოს, კიდევ ჯანდაბას! აბა, კუდიანი ვარსკვლავი რა საყიდელია! — იტყოდა ვინმე დედაკაცი, რძის შეშინებული დოს რომ უბერავდა, — ისედაც გადარეული ბიჭი მყავს, რაღა ეგ ეშმაკის მანქანა უნდა!

— რისა გეშინია, შე კაი ქალო? — ეუბნებოდა ჯადოსანი. — ნამდვილ კუდიან ვარსკვლავს სხვაგან სად იყიდი? ბავშვს პატარაობიდანვე საკოსმოსედ გაზრდი, მეტი რაღა გინდა!..

— არა, გენაცვალე, ჩემი ბავშვი შინ იჯდეს, ის მირჩევნია, ვარსკვლავებზე სხვებმა იფრინონ...

— აბა, კუდიანი ვარსკვლავები! ნამდვილი კუდიანი ვარსკვლავები, აქეთ! მალე, თორემ გათავდა! — საწყალ ჯადოსანს ხმა ჩახრინწული ჰქონდა ამდენი ძახილით.

მაგრამ ერთი კუდიანი ვარსკვლავის მყიდველიც არავინა ჩანდა.

ჯიბეგამოფხეკილმა ჯადოსანმა აღარც საუზმე იცოდა რა იყო და აღარც სადილ-ვახშამი, ჩამოხმა, გასაცოდავდა, ძვალი და ტყავიღა დადიოდა. ბოლოს შიმშილს ვეღარ გაუძლო, ადგა და დამშეულმა ერთ საღამოს ის თავისი კუდიანი ვარ-

სკვლავების მანქანა ტოსკანური ყველის კვერეულად გადააკეთა, ეცა დაქიმითებული და გემრიელად მიაძღა.

## ჩეფალუელი მებადური

მავანი ჩეფალუელი მებადური ერთხელ შორს გავიდა ზღვაში, მოუსვა ბადე და რაღაც ხელში ემძიმა. ბიჭოს, ღმერთმა გადმომხედაო, იფიქრა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაებღაუჭა, ამოსწია და რას ხედავს — ბადეში ერთი ციცქნა ლიფსიტა გდია და ფართხალებს. მებადურს გულზე შემოეყარა, რა მელიფსიტებაო, დასწვდა საცოდავს და, ის იყო, ზღვაში უნდა გადაესროლა, რომ უცაბედად წიკვინი შემოესმა:

— ვაიმე, მოვკვდი! ეგრე ძალიან ნუ მიჭერ, ადამიანი არა ხარ!?

მებადურმა აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა, ნეტავი ვინ უნდა იყოსო, მაგრამ თვალი ვერავის მოჰკრა. ასწია ხელი, კიდევ დააპირა, გადავისვრიო, და ისევ ის ხმა შეევედრა:

— ნუ გადამისვრი! ზღვაში ნუ ჩამაგდებ, გეხვეწები!

ახლა კი მიხვდა მებადური, ვისი ხმაც იყო, და თავის თავს გაუბრაზდა, სად ვიცქირები, თურმე თევზია, კაცის ხმით მელაპარაკებაო. გაშალა მუჭა და თვალებს არ დაუჯერა — ხელისგულზე თითისტოლა ანგელოზივით ბიჭი ეწვა. სუყველაფრით ადამიანიშვილი იყო, ხელ-ფეხითაც, სახითაც, ოღონდ თევზივით ორი ფარფლი ჰქონდა ბეჭებზე.

— ვინა ხარ? სადაური ხარ? — ჰკითხა მებადურმა.

— ვინა ვარ და ზღვის შვილი.

— მერე ჩემგან რა გინდა?

— ნაპირზე თუ გადამიყვან, ბედსა გწევ.

— ისედაც წვრილშვილი კაცი ვარ, შვიდი ჟიჟმატა მჭამელი მყავს სარჩენი, სუყველა ერთმანეთზე პატარა, რაღა შენც მე გადამეკიდე!

— წამიყვანე, იცოდე, არ ინანებ, — არ ეშვებოდა ფარფლებიანი ბიჭი.

მებადურსაც, რა უნდა ექნა, ადგა და წამოიყვანა. შინ რომ მივიდნენ, პერანგი ჩააცვა, ფარფლები არ გამოუჩნდესო, და თავის ნაბოლარა ბიჭს ჩაუწვინა აკვანში. მე შენ გეტყვი, ვერ დაეტეოდა — ნახევარი ყურთბალიში და იმისი ჯანი! საბანი გასწვდა კი არა, იმისთანას კიდევ ცხრას დაეხურებოდა.

შენ თითისტოლა და ერთი ბეწო უთხარი. უნდა გენახა რანაირი ჭამა იცოდა. რასაც მებადურის დამშეული შვიდი შვილი მთელ დღეს იმყოფინებდა, ის ერთ ჯერზე მოულხენდა ხოლმე.

— რა ძალა მედგა! სწორედ ჩემისთანა კაცს უთქვამს, საითაც გავიქეცი, იქით წავიქეციო, — ოხრავდა მებადური.

ერთხელაც, სისხამ დილით წამოხტა აკვნიდან ფარფლებიანი ბიჭი, კალთაში ჩაუხტა თავის მამობილ მებადურს და დაიწრიპინა:

— წამო, სათევზაოდ წავიდეთ.

მებადურსაც რა, ჭკუა დაუშლიდა თუ თანამდებობა! ჩასხდნენ ნავში და წავიდნენ.

— სანამ მე არ გეტყვი, ნუ გაჩერდები, — წრიპინებდა ბიჭი, — ღონივრად მოუსვი ნიჩაბი.

ცოტა იარეს თუ ბევრი, ერთ ღურღუმ ადგილას თევზბიჭა ერთბაშად ფეხში ჩააფრინდა მებადურს, უკვე მივედით, რაღას უყურებ, გადაისროლე ბადეო.

მებადურმაც დაუჯერა, გადააგდო ბადე და პატარა ხანს დააცადა, ვნახოთ ერთი, რა ადგილია ამისთანაო. მერე ნელ-ნელა მოსწია და ლამის მკლავები დააწყდა, ძლივს ამოათრია წყლიდან. ერთ დაჭერაზე თავის დღეში იმდენი თევზი არ დაეჭირა. თანაც სულ ნარჩევი იყო. გახარებულ მებადურს კინაღამ თვალები წამოსცვივდა, ამას რას ვხედავო.

თევზბიჭამ კი ტაში შემოჰკრა:

— აკი გითხარი! შენ რა გეგონა, ვერ დაგაჭერინებდი?

ცოტა ხანში თევზბიჭას მამობილი ისე გამდიდრდა და გაივსო, რომ მალე მრავალთ უმრავლესი ნავი იყიდა და მებადურნიც კარგა ბლომად დაიქირავა. მთელ ზღვას ისინი მოედვნენ და, სადაც კი ბადეს გადააგდებდნენ, სულ თევზით გატენილი ამოჰქონდათ.

გამდიდრებულმა ჩეფალუელმა მებადურმა აღარ იცოდა, სად წაეღო, იმდენი ფული იშოვა, და, რაკი თვითონ დათვლის თავი არა ჰქონდა, შუათანა ბიჭი საბუღალტროზე გაგზავნა, წადი შენ მაინც ისწავლე ანგარიში, გავიგოთ რა შემოსავალი გვაქვსო.

ქონმოკიდებულ ჩეფალუელს წინანდელი სიდუხჭირე და სიღარიბე აღარც ახსოვდა, ის კი არა, თავს გაუვიდა — დაქირავებულ მებადურებს შავ დღეს აყენებდა, დღედაღამ მუქთად ამუშავებდა საწყლებს და ხმას თუ ვინმე ამოიღებდა, პასუხი გამზადებული ჰქონდა — წადი, ვინ გიჭერს, გზა დიდიაო.

— შენც ხომ ჩვენსავით ღატაკი და ყელგადაგდებული იყავი, პურის ფული მაინც გაიმეტე, შე კაი კაცო, ბავშვები არ დაგვიხოცო, — შესჩიოდნენ მებადურები.

— მე რას შემომცქერით? ანდე კენჭები, აუკრიფეთ და ახრამუნონ რამდენიც უნდათ, — უკვე მასხრადაც იგდებდა მშივრებს გამაძღარი მებადური.

თევზბიჭა ყველაფერს ხედავდა, რაც ხდებოდა, ვეღარ მოითმინა და ერთხელ პირდაპირ უთხრა თავის გაყვინიზებულ მამობილს, ეგრე ნუ იქცევი, თორემ ბოლოს ცხვირში ამოიკრავ, ინანებო.

მებადურს სიცილი აუვარდა, აი, შე ლაწირაკო, შენა, ეგღა მაკლია შენც ჭკუა მასწავლოო. დაავლო თევზბიჭას ხელი, ერთ მოზრდილ ნიჟარაში ჩაჭუჭკა, მერე იმ ნიჟარას კარგა მაგრად დაუცო თავი და ზღვაში გადაუძახა.

ის დღე იყო და ზღვის შვილი თვალით აღარავის უნახავს. რა ვიცი, ვითომ როდისმე დაიხსნის თავს ნიჟარის ტყვეობიდან? მაგრამ თუ დაიხსნა და ამოძვრა, მაშინ, იცოცხლე... არა, ნეტავი დამანახვა, შენ რას იზამდი იმის ადგილას!

## <u>ამბავი კატების მჭამელი თაგვისა</u>

იყო ერთი ბებერი თაგვი. ტყუილი  რა სათქმელია, მართლა იყო. თანაც სორო სამკითხველოში ჰქონდა. ადგა ერთხელ და დიდი ხნის უნახავ დისწულებთან გაკუნკულდა. ისინი ძირგავარდნილ ჭურში ცხოვრობდნენ და ამ ქვეყნისა არა გაეგებოდათ რა.

— ეჰ, თქვენც იტყვით, ვცხოვრობთო! მჭადიდან ნახშირი ვერ გამოგიღიათ, — ეუბნებოდა ბებერი თაგვი თავის ბუტუსურა დისწულებს. — წერა-კითხვა მაინც გესწავლათ, თქვე მამაცხონებულებო!

— შენ ვინ შეგედრება, სათაგვეთის იმედო! — შესწრუწუნებდნენ თაგუნები.

— თქვენ ისე გატყობთ, ალბათ, კატის ხორცი არც გიჭამიათ.

— არა. ჩვენში პირიქით ხდება. აქ კატები მიირთმევენ თაგვის ხორცს.

— უწიგნურები ხართ და ეგ იმიტომ მოგდით, ბენტერებო. აბა, მე მნახეთ, რა გემრიელად ვაკნატუნებ ფისუნიას ძვლებს! ერთს დავაფრინდები ხოლმე და მორჩა, დაკნავლებასაც ვერ ასწრებენ. მაშ, რა გგონიათ, თქვე უშნოებო, თქვენა!

— გემოთი რანაირია ნეტავი?

— გინდ ქაღალდი გიჭამია, გინდ მჩხავანა კატის ხორცი, სულ ერთია. ცოტა მელნის გემო კი გაჰკრავს. მაგრამ კატა არაფერი, თქვენ ის მითხარით, ძაღლის ხორცი თუ გიჭამიათ?

— უიმე, რას ამბობ!..

— რას ვამბობ და გუშინაც ერთი კარგა მოზრდილი ნაგაზი შევახრამუნე. ჩემ-ხელა მარტო კბილები ჰქონდა. მივეპარე, ყანყრატოში ვწვდი და, არც დაუწკმუტუნია, ისე გავათავე.

— ძაღლი რაღა გემოსია?

— ისიც ქაღალდივით საჭმელია. აი, მარტორქას ხორცი თუ გაგისინჯავთ?

— გაგვისინჯავს კი არა, მარტორქა თვალითაც არ გვინახავს. ისიც არ ვიცით, რომელ ყველსა ჰგავს, გუდისას თუ ჰოლანდიურს.

— ეგრე რამ დაგიბნელათ ტვინი, ყველსა და მარტორქას ვეღარ არჩევთ! არც სპილო გიჭამიათ? — აცივდებოდა მწიგნობარი ბიძა უბირ თაგუნებს. — არც მღვდელი გაგიძიძგნიათ? არც მეფის ასული? საახალწლოდ მორთული ნაძვის ხე მაინც არ გიგემიათ, თქვე მართლა საცოდავებო?

ნაძვის ხის ხსენება და კატის კრუტუნის გაგონება ერთი იყო. კატა თურმე იქვე ვარცლთან იწვა და, თაგვის ტრაბახი რომ შეესმა, წამოხტა. პატარა ღნავალა კნუტი კი არა, უკვე გამართული ჭრელი ციცა იყო. ვაი, იმისი ბრალი, ვისაც ბრჭყალს მოახვედრებდა. ულაშაწკეპილს ბალანი შავად ჰქონდა აშლილი.

კატის ხმა გაიგონეს თუ არა, უნდა გენახა, რა დღეში ჩაცვივდნენ შიშნაჭამი თაგვები. ზოგი საით გარბოდა, ზოგი საით. გასწრებაზე იყვნენ. სამკითხველოს ბებერი თაგვი კი ერთ ადგილას გაქვავდა. ელდანაცემი ვეღარც აქეთ მიბრუნდა, ვეღარც იქით. კატას ბევრი არ უფიქრია, ისკუპა და თვალის დახამხამებაში თათებშუა მოიქცია, მაგრამ შეჭმით არ შეჭამა, ჯერ გამასხარავება დაუპირა,

— შენ ის თაგვი არა ხარ, კატებს რომ ახრამუნებ? — ჰკითხა ხატაურამ.

— დიახ, ბატონო, ის გახლავართ. ოღონდ უნდა მოგახსენოთ, რომ მთელი ჩემი ცხოვრება სამკითხველოში გავატარე და ალბათ გამიგებთ, რის თქმაც მინდოდა...

— გავიგე, ძალიან კარგად გაგიგე. შენი დღე და მოსწრება იდექი და სურათებიან წიგნებს ღრღნიდი!

— ბევრი არა, პატივცემულო ციცუნიავ, სულ რამდენიმე წიგნი მექნება დაღრღნილი. ისიც მეტი სწავლის წყურვილით...

— ისემც შენ რას გეტყვი! წიგნები მეც მიყვარს, მაგრამ ღრღნა სად გაგონილა! მაგ ხნის თაგვი დახატულ კატასა და ნამდვილს ერთმანეთისაგან  უნდა არჩევდე. აბა შენ რა მარტორქას შემჭმელი ხარ!

უცებ საიდანღაც ობობამ ჩამოიარა. თაგვის იღბალზე კატამ იქით გაიხედა. კატის გახედვა იყო, და წიგნებნაჭამი ბაქიბუქა თაგვი ტყვიასავით გასხლტა, სამკითხველოსაკენ გავარდა დარეტიანებული. თაგვზე გაბრაზებულმა კატამ კი საწყალ ობობას გაჰკრა კბილი.

## <u>რატომელა უკუღმართის არაკი</u>

ამ ქვეყანაზე ბიჭი ბევრი ყოფილა, მაგრამ ის რომ იყო, ტყუილია! შინაურებსაც და გარეულებსაც გული გაწყალებული ჰქონდათ იმის კითხვებისაგან. ადამიანი თუ მჩხრეკელია და მძიებელი, აბა, რა დასაძრახისია, მაგრამ უბედურება ის იყო — პასუხს ვერავინ ვერ აძლევდა.

ან გინდაც, რა უნდა ეპასუხათ აი, ამისთანა კითხვაზე:

— რატომ აქვს უჯრას ნეტავი მაგიდა?

ყველანი გაკვირვებულნი შლიდნენ ხელებს, ამას რას გვეკითხებაო, და ამაოდ ეძებდნენ პასუხს.

უჯრა ყუთია, რასაც გინდა ჩააწყობ და შეინახავო, — უხსნიდა ზოგიერთი. ეგ მეც ვიცი, ოღონდ უჯრას მაგიდა რატომა აქვსო, ის მაინც თავისას გაიძახოდა. ატყობდნენ — იმასთან ლაპარაკი წყლის ნაყვა იყო, და თავს გაანებებდნენ ხოლმე.

ერთი ხანობა ახლა ის ამოიჩემა, კუდს რატომა აქვს ნეტავი თევზიო, მერე — ულვაშს კატა რატომა აქვსო. ყველაფერს უკუღმა კითხულობდა.

გადიოდა დრო, იზრდებოდა ბიჭი, იყლარწებოდა, მაგრამ წინანდებურად ისევ სულ იმის კითხვაში იყო, ეს რატომაო, ის რატომაო. როგორც პატარაობისას, ახლაც უკუღმა იცოდა შეკითხვა, და მეტსახელად «რატომელა უკუღმართოს» ეძახდნენ. არა, აქ გაჩერება აღარა ღირს, ვერც ერთ ჩემს კითხვაზე პასუხს ვერ მაძლევენო, მწვიტინს მოჰყვა გაწიწმატებული რატომელა, მერე წავიდა, მთის წვერზე დასახლდა, აიშენა ქოხი და აღარც არავინ დამშლელი ჰყავდა, აღარც მოპასუხე. იდგა და იგონებდა ათასნაირ თავსამტვრევ კითხვებს. ყოველ კითხვას კოხტად აწიკწიკებდა საერთო რვეულში, პასუხს კი ვერასოდეს ვერ პოულობდა.

ანდა, აბა, რა პასუხი უნდა ეპოვა, როცა რვეული ათასი სისულელით ჰქონდა აჭრელებული. აი, წაგიკითხავ, რა ეწერა:

«რატომა აქვს ჩრდილს ნაძვის ხე?»

«ღრუბლები ნეტავი რატომ არავის არა სწერენ წერილებს?»

«საფოსტო მარკები ლუდს ვითომ რატომ არა სვამენ?»

ბევრი ფიქრით რატომელას ტვინი გაეხვრიტა, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიდა და სულ ახალ-ახალ კითხვებს იგონებდა. თანდათან კარგა დიდი წვერიც წამოეზარდა. გაპარსვა კი არც უფიქრია. ადგა და კიდევ ერთი ახალი კითხვა მოიგონა:

«სახე წვერზე რატომ ამოდის ნეტავი?»

ერთი სიტყვით, რაღა ბევრი გავაგრძელო, პირწავარდნილი აბუეტი იყო. ბოლოს, როცა გადახვანცარიკდა და ჩვენი ჭირი წაიღო, ერთმა განთქმულმა მეცნიერმა საგულდაგულოდ შეისწავლა მთელი იმისი ასავალ-დასავალი და საკვირველი რამ აღმოაჩინა. რატომელა ბავშვობიდან თურმე უკუღმა იცვამდა წინდებს, წაღმა ერთხელაც არა სცმოდა თავის სიცოცხლეში და ამიტომ იყო, სუყველაფერს შებრუნებულად რომ კითხულობდა.

— აბა ერთი დაიხედე ფეხებზე, შენ კი ვითომ სწორად გაცვია წინდები?

## <u>გამოსარიცხი ცხრიანი</u>

იჯდა ერთი მოწაფე და მაგალითებს იყვანდა.

— ცამეტი გავყოთ სამზე, — ჩურჩულებდა შუბლზე თითმიდებული, — იქნება ოთხი და ერთიც ნაშთი დაგვრჩება... სამჯერ ოთხი თორმეტი, იქაც ერთი, სწორია, ცამეტი გამოდის. ახლა გამოვრიცხოთ ცხრა...

— კიდევ რა გინდა?! — აყვირდა ცხრიანი.

— რაო? — გაუკვირდა მოწაფეს.

— რაც გაიგონე. რა გინდა ჩემგან? რაღა მე დამადგი თვალი? გამოსარიცხი რა მჭირს?

— მაშ, მაგალითი არ გამოვიყვანო?

— მე გამანებე თავი და რაც გინდა ქენი! რიცხვების მეტი რა არის, რიცხე და იყვანე, რამდენიც გინდა!

— მაგალითში თუ მიწერია, მე რა ვქნა...

— ცოტა დაუკვირდი, როცა სიტყვას ამბობ. რაკი ერთნიშნა რიცხვი ვარ, ადვილად ხელწამოსაკრავი არ გეგონო! გამორიცხვაზე თუ მიდგა, გამოსარიცხავი თავი გაბია და კარგად მოუარე, არსად დაგეკარგოს!

გულგადაბრუნებულ მოწაფეს ფერფური ეცვალა და გაცეცხლებული ცხრიანის ნებას დაჰყვა, დაუჯერა, გამოკლება ვეღარ შეჰბედა. მეორე დღეს მასწავლებელმა შეცდომით გამოყვანილ მაგალითში ორიანი სტკიცა.

— სულ შენი ბრალია, — ებუზღუნებოდა შეცდომიანი მაგალითი შერცხვენილ მოწაფეს. — ვინც რას გეტყვის, სუყველას ლაპარაკს თუ აჰყე, კარგი დახლი დაგიდგება, შენმა მზემ!

## <u>უჩინმაჩინი ტონინო</u>

ტონინო ბიჭმა ერთხელ გაკვეთილი არ ისწავლა და ისე წავიდა სკოლაში. მიდიოდა და სული კბილით ეჭირა, ვაითუ გამომიძახონო.

«ნეტავი ერთი უჩინმაჩინად მაქცია, სხვა არაფერი მინდა», — ნატრობდა გულში ტონინო.

გაკვეთილი ჩვეულებრივად სიის ამოკითხვით დაიწყო. როცა მასწავლებელმა ტონინოს გვარი წაიკითხა, ის ხელად ფეხზე წამოხტა და, აქა ვარო, დაიძახა, მაგრამ იმის ხმა არავის გაუგონია.

— ეტყობა, ტონინო ავად გახდა, — თქვა მასწავლებელმა. — სწორედ დღეს უნდა გამომეძახა.

ტონინო მიხვდა, ნატვრა ამხდენია, უჩინმაჩინი ვარ უკვეო, გაქანდა და, ოთახის კუთხეში ქაღალდის ნახევებით სავსე კალათა რომ იდგა, შიგ ჩახტა. მერე მერხებზე დაიწყო სირბილი და ბრახაბრუხი აუყენა. ხან ერთ ბავშვს აწიწკნიდა ქოჩორს, ხან მეორეს. საცა ერთი სამელნე იდგა, სულ გადმოაპირქვავა. თვალის დახამხამებაში მთელი კლასი ყირამალა დააყენა. უნდა გენახა, რა აურზაური ატყდა! ბავშვები ერთმანეთს ეცნენ და თავპირი ჩამოაკაწრეს. სუყველა ერთიმეორეს აბრალებდა. არა შენ იყავი, არა შენაო, უჩინმაჩინი ტონინო კი სიცილით იგუდებოდა.

ბევრი იცელქა თუ ცოტა იცელქა, ბოლოს მოსწყინდა ტონინოს იქ ყოფნა და წავიდა, ტროლეიბსუში ჩაჯდა. ნახა უკან ცარიელი ადგილი და კოხტად მოიკალათა. ბილეთი არც გახსენებია. კიდევ კარგი, კონდუქტორი ვერა ხედავდა, თორემ უბილეთოდ ვინ წაიყვანდა! მეორე გაჩერებაზე ტროლეიბუსში ერთი სქელი დედაკაცი ავიდა. ცარიელ ადგილს მოჰკრა თუ არა თვალი, მივიდა, სანოვაგით გატენილი ჩანთა დადო და სახტად დარჩა — ჩანთა სკამზე კი არ იდო, ჰაერში ეკიდა. აბა, რას იფიქრებდა ის სქელი დედაკაცი, იქ თუ უჩინმაჩინი ბიჭი იჯდა და ჩანთა იმას ედო მუხლებზე! საწყალ ტონინოს ლამის თავისი დაემართა, სქელმა სინიორამ კი ყვირილი მორთო:

— ესღა გვაკლდა! ტროლეიბუსშიც აღარ ჩაიჯდომება! რა უბედურებაა, სკამზე ჩანთა ვეღარ დამიდვია! შეხედეთ ერთი, შეხედეთ!

მართლა მეტისმეტია, ამ ოხერ ტრანსპორტს პატრონი აღარა ჰყავსო, ერთხმად აჰყვა ხალხიც.

ამასობაში ტონინომ ტროლეიბუსიდან ძირს ისკუპა, თავი საშაქარლამოში შეყო, და, იცოცხლე, ყელის ჩასატკბარუნებელიც ბლომად ნახა და ჩასაკოკლოზინებელიც! ჯერ ქიშმიშიანი ნაზუქი ჩაბღუჯა და კარგა ხანს ღმურძლა, მერე შოკოლადიან ნამცხვარს მოულხინა! ნოქარი თვალებს არ უჯერებდა — რა მოსდის ამ ტკბილეულსო, და შაქარყინულის საყიდლად შემოსულ ერთ წარმოსადეგ სინიორზე მიიტანა ეჭვი. სინიორმა, რასაკვირველია, ცეცხლი წაიკიდა, ამას რას მოვესწარი, ქურდობა დამაბრალესო:

— რაო? ქურდიცა ვარ, არა! მამაჩემის შვილს ეს რა მკადრე? შენ იცი, პაპაჩემი ვინ იყო?

— არც მამაშენი მეკითხება და არც პაპაშენი! — მკვახედ მიახალა ნოქარმა ქალმა.

— მკვდარ მამა-პაპას ნუ მილანძღავ, თორემ პასუხს აგებ, იცოდე! — თითის ქნევით დაემუქრა სინიორი, და იმისთანა ჩხუბი ატყდა, მთელი ქუჩა თავს დაედოთ. სად იყო, სად არა, პოლიციაც მოვიდა. ერიჰაა, წავიდე, გავასწროო, გაიწ-გამოიწია თვალუჩინარმა ტონინომ, ლეიტენანტს ფეხებში გაუძვრა და სკოლისაკენ მოკურცხლა, ერთი ვნახო, ჩვენი ბიჭები რასა შვრებიანო. ის იყო მივიდა და ზარი დაირეკა კიდეც. გაიღო კარი და ბავშვები სულ ყირამალა წამოვიდნენ, კიბეს ჭრაჭაჭრუჭი გაჰქონდა. ტონინო სუყველას თვალცხადლივ ხედავდა, ის კი არავის არ დაუნახავს. ტყუილად გადაუდგა ხან ერთს, ხან მეორეს, ტყუილად ეჯაჯგურა თავის ქუჩელ როზერტოსაც, და მეგობარი რომ ჰყავდა, გუისკარდო, იმასაც ტყუილად აძლია შაქარყინული. ვერც ერთი ვერ ამჩნევდა, ზედ არავინ უყურებდა.

არაქათგამოცლილი და ცხვირჩამოშვებული ტონინო შინისკენ წალასლასდა. დედა უკვე დაეძებდა, აივანზე გადმომდგარიყო და ძირს იცქირებოდა.

— აქა ვარ, დედი! — შესძახა ტონინომ.

დედა არც განძრეულა. ან რად გაინძრეოდა, როცა არც ტონინო დაუნახავს და არც იმის ხმა გაუგონია. წეღანდელივით ისევ ქუჩას გასცქეროდა შეშინებული.

— მე ვარ, მამი! — შეეხმაურა ტონინო საგონებელში ჩავარდნილ მამას. მივიდა და თავის სკამზე ჩამოჯდა გაშლილი მაგიდასთან.

მამას არაფერი გაუგონია, ადგა და ფანჯარაში გაიხედა აღელვებულმა, თან ბუტბუტებდა, სად არის აქამდე ის მაიმუნი, რამე ფათერაკს არ გადაეყაროსო.

— რა ფათერაკს, რის ფათერაკს, აქა ვარ, ხალხო, რა მოგივიდათ! — იჭაჭებოდა ტონინო.

იჭაჭებოდა და იმის ყვირილი მაინც არავის ესმოდა.

ახლა კი უკვე ცრემლი წასკდა ტონინოს და გულიც ამოუჯდა. მაგრამ ტირილს აბა რა ფასი აქვს, როცა შენს ცრემლებს ვერავინ ხედავს?

— არა, აღარ მინდა უჩინმაჩინობა! — საცოდავად სლუკუნებდა ტონინო და გული ყელში ებჯინებოდა. — ისევ დედასთან და მამასთან მინდა! ოღონდაც დამინახონ და მცემონ, რა ვქნა! თუ უნდა მასწავლებელმაც ყოველდღე გამომიძახოს. ვაიმე, დედაა!..

ამ ტირილ-ვიშვიშში ტონინო კიბეს ჩაჰყვა და ეზოში ჩავიდა.

— რა გატირებს, ბიჭო! — ჰკითხა ტონინოს იქვე მზის გულზე გასათბობად ჩამომჯდარმა ბერიკაცმა.

ტონინოს ლამის ელდა ეცა.

— მართლა მხედავ? — შეჰყვირა გახარებულმა.

— გხედავ, ყოველდღე გხედავ, როცა სკოლიდან ბრუნდები.

— მე კი არასოდეს არ შემიმჩნევიხარ.

— ვიცი, შვილო, ვიცი. კარგა ხანია უკვე აღარავინ მამჩნევთ. აბა, ვიღას რად ვუნდივარ ძველი პენსიონერი კაცი? ბაიყუშივით მარტო ვარ. რაღა მე და რაღა უჩინ-მაჩინი!

ამ დროს აივნიდან დედის ხმა მოისმა:

— ტონინო!

— მხედავ, დედა?

— ნეტავი არა გხედავდე! ამოდი, გამოადგი ფეხი! მამაშენი გიჩვენებს სეირს...

— მოვდივარ, დედა, მოვდივარ! — ტონინო სიხარულით ფეხზე აღარ იდგა.

— შენ გეტყობა, ქამრისაც არა გშინებია! გაიღიმა ბერიკაცმა.

ტონინო კისერზე მოექნა, დამჭკნარ ლოყაზე აკოცა ბერიკაცს და წასჩურჩულა, შენ ამიხილე თვალები, შენ გადამარჩინეო.

— მე კი არ აგიხილე, ეგრეა, უჩინმაჩინობას რა ჭკუა აქვს, — თავზე გადაუსვა ხელი ბერიკაცმა.

## <u>გულკეთილი ჯილბერტო</u>

ჯილბერტო კეთილი გულის ბიჭი იყო. არა, პატარა აღარა ვარო, უკვე დიდობდა და უფროსებს გაფაციცებული უგდებდა ხოლმე ყურს. რასაც ისინი ამბობდნენ, ჯილბერტოც ქვევრივით იმასვე იმეორებდა.

ერთხელ მეზობლის გოგოს ქება გაიგონა. ერთი ქალი მეორეს ეუბნებოდა:

— შენ ფილომენა უნდა ნახო, რა ოქრო ბავშვია. თავის დედას სულ თვალებში უცქერის, თუ გინდა, საცრით წყალი მაზიდვინეო.

«ფილომენას ნაჯობნი მგელმა შეჭამოს, საცრით წყლის ზიდვა ჩემი ნახეთ!» — გული აუკორკოტდა ჯილბერტოს და შინ გავარდა. ჯერ ეზოში არც იყო შესული, დედამ აივნიდან გადმოსძახა, მოდი, შვილო, კოკურა წაიღე, ჭიდან წყალი მოარბენინეო.

«კოკურით კი არა, წავალ, საცრით მოვიტან», — გაიფიქრა ჯილბერტომ, წაიღო საცერი და წავიდა.

ჭა ბაღის ბოლოში იყო. მიირბინა, ააჭრიალა ოწინარი, ცივი წყლით გალიცლიცებული სავსებელი საცერში ჩაახევა, დაავლო ორივე ხელი და მოკურცხლა. ბევრი დაექცა, თუ ცოტა დაექცა, სანამ შინ მივიდა, ხელთ ცარიელი სველი საცერიღა შერჩა.

— რა ქენი, შვილო, მოიტანე წყალი? — ჰკითხა დედამ და თან სარეცხის ქვაბი გადმოიღო წყლის ჩასასხმელად.

არა, მაგდენი არ გამოვაო, დარცხვენით ჩაილაპარაკა ჯილბერტომ და მეორედ გაიქცა ჭაზე. მერე მესამედაც წავიდა, მეოთხედაც, მაგრამ საცრით აბა, იმდენი რა წყალი უნდა მიეტანა, რომ დედას სარეცხის გასარეცხად ჰყოფნოდა?

ეგრე მცოდნოდა, მე თვითონ წავიდოდი, მთელი დღე უწყლოდ გამომაღამეო, გაუბრაზდა დედა ჯილბერტოს და ყურის ძირში კაი ლაწანიც გაადინა. იმას ეგონა, წყლის მოტანა ეზარება და ცელქობს, მეთამაშებაო.

საწყალ ბიჭს ძალიანაც ეტკინა და ეწყინა კიდეც დედის გაწნული სილა, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს. გულში კი მწარედ გაივლო: არა, ჩემს დღეში წყალზე საცრით აღარ წავალო.

## ხვალინდელი ამბავი

ეს ამბავი ჯერ არ მომხდარა, მაგრამ ხვალ აუცილებლად მოხდება. ვიცი, იტყვი, რა ამბავია ამისთანაო. ყური დამიგდე და ყველაფერს მოგიყვები.

ერთმა ხნიერმა ბრძენმა მასწავლებელმა, დღესა და გუშინ კი არა, ხვალინდელისას ვამბობ, ორ მწკრივად დააწყო თავისი მოწაფეები და გარდასულ დროთა ხვალის მუზეუმში წაასხა. იქ სულ ერთიანად ძველისძველი ჩიხომახო რამეები იყო — სამეფო გვირგვინები, დედოფლის კაბები და ბევრ ისეთ ჯაბახანასაც ნახავდი, აი, ქალაქ მონცაში დღეს ტრამვაის რომ ეძახიან.

ერთ-ერთ თვალმოსახვედრ ადგილას კი მტვერჩამკვდარი სიტყვა ტირილი დაედოთ.

იმ ხვალინდელმა მოწაფეებმა ბევრი უკირკიტეს, ხან წაღმა იკითხეს, ხან უკუღმა და მაინც ვერაფერს მიხვდნენ. მერე მიეხვივნენ თავიანთ მასწავლებელს და შეკითხვებით აიკლეს, ერთმანეთს ლაპარაკს აღარ აცლიდნენ.

— ტირილი რას ნიშნავს, პატივცემულო მასწავლებელო! — გაკვირვებული კითხულობდა ზოგიერთი.

— მაგას ძველები სამკაულად ხომ არ ხმარობდნენ? — პასუხს თავიანთსავე კითხვაში ეძებდნენ მეორენი.

— ეგ რაღაც ეტრუსკების დროინდელ სიტყვასა ჰგავს, — ღრმააზროვნად ამბობდნენ მესამენი.

ვერა, ვერც ერთი ვერ მიხვდით, ეუბნებოდა მასწავლებელი, მაგ სიტყვით ოდესღაც ტკივილს გამოხატავდნენო. მერე სუყველანი თავდაცობილ პატარა საცრემლესთან მიიყვანა, აი ნახეთ, ამაში ცრემლი ასხიაო. ნაგვემი მონის ცრემლი იყო თუ ობოლი ბავშვისა, არავინ იცოდა და ზედაც არაფერი ეწერა.

წყალივით ყოფილაო, ერთხმად წამოიძახეს ხვალინდელმა მოწაფეებმა.

აი, უნდა გენახათ, ეგ წყალი რამდენს უმდუღრავდა თვალებს, მერე ეგრე აღარ ილაპარაკებდითო, ხმას აუწია ხნიერმა მასწავლებელმა.

აჰა, ეტყობა, სანამ თვალებში ჩაისხამდნენ, ჯერ ადუღებდნენო, ისევ თავიანთებურს უკრავდნენ ხვალინდელი მოწაფეები.

არა, ტყუილად ვუხსნი, ესენი ცრემლის გამგებები არ არიანო. — იფიქრა მასწავლებელმა და ახლა სხვა დარბაზში გაიყვანა. იქ უფრო მარტივი რამეები გამოეფინათ — ციხის საკნები, ბორკილები, პოლიციის ჯაშუშები, ერთი სიტყვით, სუყველაფერს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი, რაც კი რამ დრომოჭმული და ოჩხომაჩხო იყო.

## პაპას ოინები

პატარა გოგო ავად გახდება თუ არა, ხათრის გულისათვის თოჯინებიც ხელად თავს მოისურდოიანებენ და გვერდზე მიუწვებიან ხოლმე — უჩვენოდ არ მოიწყინოსო. გოგოს სანახავად უბნის ექიმი მოდის, ჭრელკაბიანი თოჯინები კი პაპას ეძახიან, მალე მოგვხედე, შენმა შვილიშვილმა სურდო გადაგვდოო. პაპა სუყველას საგულდაგულოდ სინჯავს, წამლებს უწერს და მერე თავისი წვერბურთულა კალმისტრით ნემსსაც უკეთებს.

— ამ ბავშვისა რაღაც ფერი არ მომწონს, ექიმო, —დედაქალივით შესჩივის პატარა გოგო თავის პაპას.

— ვნახოთ, გავსინჯოთ, რის ბრალია! აბა, ერთი ჩაისუნთქე, ღრმად ჩაისუნთქე! ჰოო... მგონი, მტირალას ავადმყოფობა უნდა სჭირდეს.

— საშიშია, ექიმო?

— თუ რამე არ ვიღონეთ, მთელი თავისი დღე და მოსწრება მტირალა დარჩება. არ დაგავიწყდეს, ფანქრის ფხვნილი დაალევინე და ძილის წინ აუცილებლად კამფეტის ქაღალდით დაზილე. ის ქაღალდი პიტნის კამფეტისა უნდა იყოს, იცოდე.

— ამ თვალხუჭუნას რაღა ჭირი მოუვიდა ნეტავი?

— რა მოუვიდა და ბევრი მარწყვის ჭამამ იცის. ვერა ხედავ, ძლივს სუნთქავს, ისე გატიკნულა!

— ვითომ აღარ გადარჩება?

— გადარჩენით გადარჩება, მაგრამ წამალი მაინც აუცილებელია. მურაბიანი ჩაი ასვი, არც თბილი რძე მოაკლო. მერე კი თითო დალევაზე სამი ყლუპიდინი თევზის ქონი დაუნიშნე.

და ერთ მშვენიერ დღეს პატარა გოგო უკვე  წამოფრენაზეა. მალე ამაყენეთო, ჩიტივით ფართხალებს. დაიცა, ჯერ პაპამაც გაგსინჯოს, ნუ ღელელაობო, ჭკუას არიგებენ მოკეთებული თოჯინები და ხელებს საბანქვეშ აყოფინებენ.

სანამ დედა შვილის ტანსაცმელს მოიტანდეს, პაპა ისევ ექიმი ხდება.

— ა-ა-ა-ა, ნუ გეშინია, შვილო, კარგა დააღე პირი, — ეუბნება პატარა გოგოს. — აბა, ერთი მითხარი, გენაცვალე, კაპიკი გაკაპიკებულა-თქო!.. აი ყოჩაღ! ხვალ, მაშ, ბაღში მივდივართ.

## <u>ყოველ კვირა დილით</u>

ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, სწორედ სინიორ ჩეზარეზეა ზედგამოჭრილი. სინიორი ჩეზარე კვირაობით დილის ძილს გაიბრტყელებს ხოლმე და გვიან დგება. მერე კარგა ხანს პიჟამოიანი დაბორიალობს ოთახში, ხოლო საათი თერთმეტჯერ ჩამოჰკრავს თუ არა, ოჰო, გაპარსვის დროაო, იტყვის და სააბაზანოში შევა. როცა სინიორი ჩეზარე პირს იპარსავს, სააბაზანოს კარი მუდამ ღიაა.

პატარა ფრანჩესკო გულის ფანცქალით ელოდება კვირა დილის გათენებას. ის ჯერ ექვსი წლის ბიჭია, მიწას არ ასცილებია, მაგრამ უკვე კოჭებში ეტყობა — ექიმი გამოვა.

როგორც კი მამას წვერის გასაპარსად გამზადებულს დაინახავს, გადმოიღებს ერთ ბღუჯა ჰიგროსკოპიულ ბამბას, დენატურატის შუშას, ცოტა საკრობელა სალბუნს, და მივა, სააბაზანოში მიუცუცქდება.

— რა იყო? — ეკითხება სინიორი ჩეზარე და თან ნიკაპს ისაპნავს. ისე დღეებში ჩვეულებრივ ელექტროსამართებელს ხმარობს. კვირაობით კი ძველ დროს გაიხსენებს ხოლმე, საპონს ააქაფებს და ნამდვილი სამართებლით იპარსავს.

— რა იყო-მეთქი?

ფრანჩესკო მობღუნძული ზის და კრინტს არა ძრავს.

— ჰაა, ხმა ამოიღე, ბიჭო!

— აი, ლოყა თუ გაიჭერი, — ეუბნება ფრანჩესკო, — წამალს დაგადებ.

— აბა შენ იცი, — ღიმილი თვალებშიღა ეტყობა სახეგასაპნულ სინიორ ჩეზარეს.

— ოღონდ ძალით არ გაიჭრა მაშინდელივით, — ვითომ ექიმი ვარო, ხმას იბოხებს ფრანჩესკო. — ძალით გაჭრილი არ ითვლება!

— ეგრე იყოს, — ამბობს სინიორი ჩეზარე და სარკეში თვალს უკრავს. ხან ერთ ლოყას ისაპნავს, ხან მეორეს, აღარ იცის, რა ქნას, სამართებელს სულ წაღმა-უკუღმა ატრიალებს, ლამის მთელი სახე ჩამოიფხიკოს, იქნებ უცაბედად მართლა მომიხვდეს და გამეჭრასო, მაგრამ არაფერი არ გამოსდის. ბოლოს, მეტი რა ჩარაა, ლოყას ისევ ძალით იკაწრავს, და ფრანჩესკოს ნანატრი საქმე უჩნდება. მე შენ გეტყვი, აერევა რამე. ჯერ სისხლის წვეთი უნდა მოსწმინდოს ბამბით, მერე დენატურატს მიაშველებს, ჭუჭყი არ შეეჭრასო, და ზედ სალბუნს დაადებს.

ექიმობანას თამაშს ბოლო არ უჩანს. სინიორი ჩეზარე ყოველ კვირა დილით თითო წვეთ სისხლს აძლევს თავის პატარა ექიმ შვილს. ფრანჩესკოს კი ჰგონია, მამა-ჩემისთანა დაბნეული და დაბდური კაცი დედამიწის ზურგზე არავინ არისო.

## <u>წკიპა კოსმონავტი</u>

რას იტყვი, ვითომ იქნება ისეთი ქალაქელი ბავშვი, საშაქარლამოში რომ არ ყოფილიყო? რაღაც არა მგონია. მაშ, აბა ვერცხლის ქაღალდში გახვეული კვერცხებიც გეცოდინება. ანდა რა ცოდნა უნდა — რომელ საშაქარლამოს ვიტრინაშიც შეიხედავ, სუყველგან აწყვია. მარტო შენ კი არა, ის კვერცხები ალბათ ბევრ სხვასაც უჭამია და შიგ ჩადებული პაწაწკინა თოჯინა და ქეთლიც ზედ მიუყოლებია. ჰო, როგორ არა, შიგნით ციცქნა სათამაშოც არის ხოლმე. კბილი მოხვდება თუ არა, გატეხილი თხილის გულივით ჩაგივარდება პირში.

რაღა შორს მივდივარ, მგონი, შარშან იყო... პროფესორმა ტიბოლამაც სწორედ ვერცხლისფერ ქაღალდში გახვეული შოკოლადის კვერცხები მიუტანა თავის პატარა შვილებს. აიღო ერთი ცალი, დაადო დანა, მოდი ვნახოთ, რა არის შიგ დამალულიო, და... აბა, თუ გამოიცნობ რა იყო? არა, არც თოჯინა გადმომხტარა და არც ჩიტი გამოფრენილა. სკუპ, სკუპო, და ბამბის ქულასავით თეთრი წიწილა იყო. აი, როგორც შუაზე გაჭრილი ვაშლი ნახო, ისე ჰგავდა ჩვენებურ, კრუხის გამოჩეკილ წიწილას, ოღონდ თავზე კოკროჭინა მუზარადი ეხურა და ზედ ორწვერა ტელეანტენა ერჭო.

კვერცხიდან წიწილის გადმოხტომა და პროფესორ ტიბოლას ოჯახის დაწიოკება ერთი იყო. უიმეო, აღმოხდა სუყველას ერთად და ენა მუცელში ჩაუვარდათ.

წიწილამ კი მომდურავივით მოავლო თვალი იქაურობას და მუზარადიანი თავი გააქნ-გამოაქნია — ძალიან ჩამორჩენილხართ ეს დედამიწელი ხალხიო.

— აქ ჯერ თურმე კვირაა, — წივწივებდა წიწილა, — იქ მარს-8-ზე კი უკვე ოთხშაბათია.

ამ თვისა? — ჰკითხა პროფესორმა ტიბოლამ.

— არა, რას ბრძანებთ! მომავალი თვის ოთხშაბათი, რასაკვირველია. წლებს ხომ ნუღარ იტყვით, მთელი ოცდახუთი წელიწადით წინა ვართ.

ლაპარაკ-ლაპარაკში წიწილა მაგიდაზე შეფრინდა და ახლა იქიდან მოჰყვა წიავ-წიავს, რა საწყენია, რა დასანანიაო.

— რა იყო, ეგრე რამ გაგაბრაზა? — ჰკითხა სინიორა ლუიზამ, პროფესორ ტიბოლას ცოლმა.

— რამ გამაბრაზა და ხომალდი დამიმსხვრიეთ, ამაზე მეტი გასაბრაზებელი რაღა გინდათ? — დაიწივლა წიწილამ. — რა ვქნა, რიღათი დავბრუნდე იმ ჩვენს პლანეტაზე?

— რაო, რაო? — ვეღარ მოითმინა პროფესორმა ტიბოლამ, — რა ხომალდზე ლაპარაკობ? ეგ კვერცხი დღეს დილით ვიყიდე საშაქარლამოში

— არაფრის გაგება არა გქონიათ, — სიტყვა გაუტრიზავა წიწილამ. — ეს კვერცხი კი არა, ნამდვილი კოსმოსური ხომალდია. შოკოლადის კვერცხს განგებ დავამგვანეთ, თქვენი თვალის ასახვევად. მე ამ ხომალდის მეაური ვარ, კაპიტანი, დედამიწაზე წიწილის ნიღბით მოვლენილი...

— მაშ, თუ ეგრეა... თქვენი ეკიპაჟი სადღაა?

— ჩემი ხომალდი ერთადგილიანია და ამიტომ ეკიპაჟიც მე ვარ და მეთაურიც. თუმცა რაღა ვარ, ვიცი, აუცილებლად ჩამომაქვეითებენ! პოლკოვნიკობა თუ მაკმარეს, დიდი ბიჭობაა.

— კაი ჩამოქვეითებაა, მე და ჩემმა მზემ! — გაიკვირვა პროფესორმა ტიბოლამ. — სად კაპიტნობა და სად პოლკოვნიკობა?!

— ეგ დედამიწაზეა, გენაცვალე. აქ, ვხედავ, ყველაფერი პირიქით არის. ჩვენს პლანეტაზე კი — ყველაზე დიდი წოდება უბრალო მოქალაქეობაა... ეჰ, ნეტა რა მალაპარაკებს, დავალება შეუსრულებელი დამრჩა.

— ძალიან ვწუხვარ და გვწყინს კიდეც ეგ ამბავი, მაგრამ რით დაგეხმაროთ, როცა არ ვიცით, რა დავალება გქონდა.

— მე თვითონაც არ ვიცი და თქვენ რა გითხრათ! ხომალდიანად იმ საშაქარლამოს ვიტრინაში უნდა ვმჯდარიყავი, სანამ ჩვენი საიდუმლო აგენტები ხმას არ მომაწვდიდნენ.

— უყურეთ ერთი ამას! — შუბლი მოიჭმუხნა პროფესორმა. — მაშ საიდუმლო აგენტებიცა გყავთ დედამიწაზე?! მერე არ გეშინიათ, რომ წავიდე და... ყველაფერი პოლიციას ვუამბო!

— უამბეთ რა! ეტყვით თუ არა, შინ კოსმონავტი წიწილა გვყავსო, სუყველა მასხარად აგიგდებთ.

— შენც მართალი ხარ. მაშ, სანამ მარტონი ვართ და უცხო არავინ მოსულა, იქნებ ცოტა მეტი გვითხრა, ვინ არიან ეგ თქვენი საიდუმლო აგენტები და რა უნდათ.

— რა უნდათ და ის ეკიპაჟი უნდა შევარჩიოთ, რომელიც ამ ოცდახუთი წლის მერე გაფრინდება მარს-8-ზე.

— ბოდიში, მაგრამ ჩვენ ჯერ ისიც კი არ ვიცით, სად მდებარეობს ეგ მარს-8.

— აკი გითხარით, ბატონო პროფესორო, ოცდახუთი წლით წინა ვართ-მეთქი. ჩვენ უკვე სახელიც კი გაგებული გვაქვს იმ მეთაურისა, ვინც დედამიწელთა კოსმოსურ ხომალდს მარს-8-ზე მიიყვანს.

— რა ჰქვია, ხომ ვერ გვეტყვით?

— რა ჰქვია და, ჯინო!

— ბიჭოს, ჩემი სახელი რქმევია! — შესძახა პროფესორ ტიბოლას პატარა ვაჟიშვილმა.

— არა, უბრალო დამთხვევაა, — ცოტა არ იყოს, აგდებულად თქვა წიწილამ. — ისე კი, იმას ნამდვილად ჯინო ერქმევა და ოცდაცამეტი წლისა იქნება. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, ამჟამად ის დედამიწაზე ცხოვრობს და რვა წლის ბიჭია.

— ჩემხელა ყოფილა! — სიხარულით შეხტა და შეითამაშა ჯინომ.

— დამაცადე, პირში ნუ მეჩრები! — ბრაზიანად დაუტია წიწილამ. — როცა იმ ჯინო ბიჭის გარდა, ეკიპაჟის სხვა დანარჩენ წევრებსაც ვიპოვით, სუყველას ერთად უჩუმრად ვადევნებთ თვალყურს და, როგორც წესი და რიგია, ისე აღვზრდით კიდეც.

— რაო? რაო? — მოთმინების ფიალა აევსო პროფესორ ტიბოლას. — იქნება ისიც გვითხრა, შვილების აღზრდა არ იცითო.

— ვითომ კარგა ზრდით? — შეეპაუხა წიწილა. — აბა, რომელი თქვენგანი ჩაგონებთ, მეოცე საუკუნე მეცხრე ცაზე გაფრენ-გამოფრენის საუკუნეა და სწორედ

თქვენ უნდა წახვიდეთ ვარსკვლავებზეო? აბა, რომელი ასწავლით, მარტო დედამიწისანი კი არა, მთელი სამყაროს მოლქალაქენი ხართო? განა გითქვამთ როდისმე, აგიხსნიათ, სიტყვა «მტერი» დედამიწის იქით აღარ არსებობსო? რა ვიცი, რამდენი რამ ჩამოვთვალო...

— ბოდიში, პატივცემულო მეთაურო, — სიტყვა შეაწყვეტინა სინიორა ლუიზამ. — გვარიც ხომ არ იცით იმ თქვენი ჯინო ბიჭისა?

— ლაპარაკის დროს მეტი სიზუსტეა საჭირო, ქალბატონო. თქვენი ჯინო ბიჭისა კი არა, ჩვენი ჯინო ბიჭისა-თქო, უნდა გეთქვათ. როგორ არა, გვარიც ვიცით. ის ბიჭი ჯინო ტიბოლაა.

ამის თქმა იყო და პროფესორის შვილი სკამზე შეხტა, ხელები გაშალა და აყვირდა, ჯინო ტიბოლა მე ვარ, ვაშა, ვაშაო.

— ჯერ რა დროს ვაშას ძახილია! — ამწვიტინდა სინიორა ლუიზა. — დედ-მამას აღარ ეკითხები?! ვინ გიშვებს, რომ მიდიხარ!

წიწილა კი გახარებული შეფრთხიალდა და ხელზე დააჯდა ჯინოს. — ვაშაა! — რაც ძალი და ღონე ჰქონდა, წიოდა წიწილა. — დავალება შესრულებულია! ჯანდაბას, შინ ოცდახუთი წლის მერე მაინც მივბრუნდები.

— ამ კვერცხს რაღა ვუყოთ? — აწრიალდა ჯინოს პატარა და, რომელსაც სულ იმ კვერცხისაკენ ეჭირა თვალი.

— რა უნდა ვუყოთ და შევჭამოთ! — თქვა ჯინომ და დასწვდა.

თქმა და შეჭმა ერთი იყო.

## <u>ამბავი ვარსკვლავებისაკენ წასული ლიფტისა</u>

რომოლეტო, როგორც კი ცამეტისა შესრულდა, რესტორან «იტალიაში» ხელზე მოსამსახურედ აიყვანეს. საითაც თითს გაუშვერდნენ, აბა, ჰა, გაიქეცი, მუშტარს ამა და ამ მისამართით მოემსახურეო, უნდა მოეკურცხლა და, საჭმელი თუ სასმელი მიერბენინებინა.

ქუჩა-ქუჩა წინ და უკან სირბილს ვინა ჩივის, შენ კიბეებზე ასვლა-ჩამოსვლა თქვი! საწყალ ბიჭს მუხლები დაწყვეტილი ჰქონდა. თანაც სულ იმის ფიქრში იყო, ემანდ ხონჩა არ გადამიყირავდეს და ჭურჭელი არ დამემტვრესო. ზედ, რა ვიცი, რაღა არ ეწყო ხოლმე: ყავის ფინჯნები, შეჭამანდიანი ჯამები, ჭიქები. ამდენი რამის ტარებას ეხუმრები!

ორ-სამსართულიან სახლს აინუნშიც არ აგდებდა. დაჰკრავდა ფეხს, და ჯერ ასული არ ეგონათ, უკვე ჩამოდიოდა. აი, ცათამბჯენს თუ მიადგებოდა, მაშინ უნდა გენახა რომოლეტოს გასაჭირი. როგორც მთელი დედამიწის ზურგზე, მელიფტეები მოწყალე თვალით არც მაინცდამაინც რომში უცქერიან ხელხონჩიან მსახურებს, მერძევეებსა და მემწვანილეებს. ლიფტის კარებს ცხვირწინ უხურავენ, ფეხითაც კარგად აბრძანდებითო, და ერთი-ორი წუთით სადმე თუ გავიდნენ, იმისთანა განცხადებებს გამოაკრავენ, მტრისას!

ერთხელ, დილით ადრე, რესტორან «იტალიაში» ასმესამე სახლის მეთოთხმეტე ბინიდან დარეკეს, სამი ჩაფი ლუდი და ერთიც ყინულიანი ჩაი მოგვართვითო.

— ოღონდ ამწუთსავე აქ უნდა გააჩინოთ, თორემ მომტანიანად ფანჯარაში გადავუძახებ. — იღრინებოდა ვიღაცა ტელეფონის ყურმილში. თუმცა რაღა ვიღაცა, მარკიზი ვენანციო იყო. მარკიზ ვენანციოს სახელი კი შიშის ზარსა სცემდა სუყველას.

ასმესამე სახლს თავისი მკაცრი წესები ჰქონდა და მელიფტეც ერთი ღვთის გარეგანი ჰყავდა. მაგრამ რომოლეტომ კარგად იცოდა, რა მძინარა ვინმეც იყო და რო-

გორ უნდა გასხლტომოდა! ბევრი თვალთვალი არც ახლა დასჭირვებია, გარეთ სკამზე ჩამომჯდარ ავ მელიფტეს საძილედ მოსწყდა თუ არა კინწი, გაქანდა რომოლეტო და უჩუმრად ლიფტში დურთა თავი, ჩაუშვა ხუთი ლირა ჩამრთველში, დააჭირა მეხუთე ღილს თითი და ლიფტი ჭრიალ-ჭრიალით დაიძრა. გაიარა პირველი სართული, მეორე, მესამე, მეოთხე და აი, მეხუთე სართულიც გამოჩნდა, მაგრამ, გაჩერების მაგივრად, ლიფტმა სვლას უმატა, გვერდი აუარა მარკიზ ვენანციოს სართულს და რომოლეტომ გაოცება ვერ მოასწრო, რომ მთელი რომი ძირს ხელისგულივით გადაეშალა. ლიფტი კი მაინც ზევით მიიწევდა და მალე რაკეტასავით აიჭრა მეცხრე ცაში.

— კარგად მეყოლე, მარკიზო ვენანციო! — წაიჩურჩულა რომოლეტომ და ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

არა, ტყუილად არ იფიქრო, ალბათ, ხონჩა ხელიდან გაუვარდაო. გაუვარდა კი არა, წეღანდელივით ისევ კოხტად ეჭირა და ერთი წვეთი არც ლუდი დაჰქცევია, არც ჩაი. ისე არხეინად იდგა, თითქოს ლიფტი მარკიზ ვენანციოს სართულამდე ჯერ არ მისულაო. ოთხივ კუთხით კი კოსმოსური სივრცე გადალურჯებულიყო და მხოლოდ სადღაც შორს, ამ თვალჩაუღწეველი უფსკრულის ძირას, მოჩანდა დედამიწა. ის ცისფერი ბურთივით ბრუნავდა ნელ-ნელა თავისი ღერძის გარშემო და სულ იქით და იქით მიაქანებდა მარკიზ ვენანციოს, რომელიც ლუდსა და ყინულიან ჩაის საღერღელაშლილი ელოდა.

«ჯანდაბას, მარსელებთან ცარიელი ხელით მაინც არ მივალ!» — გაიფიქრა რომოლეტომ და თვალები დახუჭა. როცა გაახილა, ლიფტი უკვე დაბლა-დაბლა ეშვებოდა.

«მგონი, გადავრჩი! — შესძახა რომოლეტომ და შვებით ამოისუნთქა. — ლუდი ჯერ არ გამთბარა, ჩაიც ისევ ყინულივით ცივია!»

მაგრამ თურმე რა დროს სიხარული იყო! ლიფტი შუაგულ უღრან ტყეში დაეშვა. ირგვლივ უცნაური წვერულვაშიანი მაიმუნები დახტოდნენ, თათებს იქნევდნენ, ამას ვის ვხედავთ, რომელმა ქარმა გადმოაგდოო, და რაღაც გაუგებარს ჭყიოდნენ.

«აფრიკაში ხომ არა ვარ ნეტავი?» — გაიფიქრა რომოლეტომ.

ამის გაფიქრება იყო და მაიმუნების ჯოგმა ვიღაცას გზა დაუთმო. ლიფტისკენ ვეებერთელა მაიმუნი წამოვიდა. ამ მაიმუნს ტანთ პოლიციელის ლურჯი შარვალ-ხალათი ეცვა და სამთვლიან ველოსიპედზე იჯდა.

თავს უშველე, რომოლეტო! პოლიცია მოდის», — გაივლო გულში ხელხონჩიანმა ბიჭმა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დააჭირა ზედა ღილს თითი, ალალბედზე დააჭირა, არ დაჰკვირვებია, რომელი სართულისა იყო. ლიფტი ერთბაშად მაღლა აიჭრა და ტყვიასავით გავარდა. რომოლეტომ გადაიხედა და ახლაღა მიხვდა: არა, ამ პლანეტას დედამიწისა არაფერი ეტყობაო. იქაურ ზღვებსა და კონტინენტებს მართლაც სულ სხვანაირი მოხაზულობა ჰქონდა. მთელი პლანეტა მომწვანო-იისფერ ჯანღში იყო გახვეული.

— უყურე ერთი, ნამდვილად ვენერაა! — თავისთავს ელაპარაკებოდა რომოლეტო. — ძალიან კარგი. ვენერაც ვნახე, მაგრამ მარკიზ ვენანციოს რა ვუთხრა, სად ვიყავი-მეთქი?

ხონჩა ისევ მარცხენა ხელით ეჭირა და მარჯვენათი ხან ერთ ჩაფს სინჯავდა, ხან მეორეს, ამ აღმა-დაღმა ფრენაში ლუდი არ გამითბეს და არ დავიღუპოო.

ლიფტმა თვალის დახამხამებაში ჩაუქროლა უთვალავ გაჩახჩახებულ ვარსკვლავს და კვლავ დაბლა-დაბლა დაეშვა.

ბიჭოს, მთვარისკენ მივფრინავო, გამოიცნო რომოლეტომ და შუბლში იტკიცა ხელი: რა მემთვარება მარკიზ ვენანციოს გადამკიდესო.

ცოტაც და, ლიფტი მთვარის ხახადაღებულ ვულკანებში ჩაიჩეხებოდა, მაგრამ რომოლეტო არ დაიბნა. მაშინდელივით ალალბედზე კი აღარ დააჭირა თითი, ხონჩა თავზევით ასწია და სუყველა ღილს სათითაოდ დაუკვირდა. ყოველი ღილის გასწვრივ რაღაცა ციფრი იყო აღნიშნული, ხოლო სულ ქვედა ღილთან რომელიღაც სიტყვა ეწერა, ისიც თითქმის წაშლილი. წაკითხვით მარტო პირველ ასოს თუ წაიკითხავდი. ვიღაცას გარშემო წითელი ფანქარი შემოევლო და რომოლეტომ მკაფიოდ გაარჩია ასო «დ».

ეშმაკი ბიჭი იყო, ხელად მიხვდა, აქ ალბათ დედამიწა აწერიაო, და დააჭირა თითი. ლიფტმა იმწამსვე ახალ ორბიტაზე გადაინაცვლა. ერთი ორი წუთი იფრინა და უკვე რომის ლაჟვარდოვან ცაში გაჩნდა. მერე პირდაპირ ასმესამე სახლს დაადგა თავზე და ერთბაშად თავის პირვანდელ ადგილას დაეშვა. ის ავი მელიფტე ისევ თავჩაღუნული იჯდა და თვლემდა.

რომოლეტო თავქუდმოგლეჯილი გამოვარდა ლიფტიდან და მეხუთე სართულისკენ მოძურწა. სულმოუთქმელად აირბინა კიბე, მეთოთხმეტე ბინის კარზე ფრთხილად დააკაკუნა და ერთ ადგილას გაქვავდა.

— მოხვედი, ვაჟბატონო? — გაისმა მარკიზ ვენანციოს ხმა. — მაინც სად ეგდე ნეტავი ამდენი ხანი? ან ეგ ლუდი რაღა ჯანდაბად მინდა, ან ეგ ჩაი! თოთხმეტი წუთია გელოდები! გაგარინი შენს ადგილას მთვარეზე ასვლა-ჩამოსვლას მოასწრებდა.

«მთვარე რა სათქმელია!» — გაიფიქრა რომოლეტომ, მაგრამ ხმა არ ამოუღია. კიდევ კარგი, ლუდიც ისევ ცივ-ცივი იყო და ჩაიც.

## ჯარისკაცის საბანი

სანამ ყველგან არ გათავდა ომი, ჯარისკაცი ვინჩენცო და ჯაკომო შინ არ გამოუშვეს. საწყალი ნახევარი კაციღა დაბრუნდა. რა შოვნა, რის შოვნა! გასაცოდავებულს ერთი ხელი შემოგლეჯილი სამხედრო ტანსაცმელი, ხველება და ერთი ჯარისკაცის თხელი, გატრუსული საბანი ჩამოჰყვა.

რახან ცოცხალი ჩამოვედი, ჯანდაბას, მალე ალბათ მოვიკეთებ და ცოტა გვეშველებაო, იმედიანად უთხრა ჯანგატეხილმა თავისიანებს. მაგრამ მოიკეთა კი არა, ხველებამ სული აღარ მოათქმევინა და სამი თვის თავზე წუთისოფელს გამოასალმა კიდეც. უბედურს, იმ თავისი ძველი, გატრუსული საბნის გარდა, ცოლ-შვილისათვის სხვა რამ თითზე გადასახვევიც არა დაუტოვებია რა. სამ ობოლს გაზრდა არ უნდოდა! ნაბოლარა ბიჭი ჯერ ხუთისაც არ იყო. აქაოდა პატარაააო, მამის საბანი იმას ერგო.

გაეხვეოდა ხოლმე პატარა ბიჭი საღამოობით მამის ნაქონ საბანში და თვალცრემლიანი დედაც ერთსა და იმავე გაუთავებელ ზღაპარს უყვებოდა. ზღაპარში მზეთუნახავი ცხოვრობდა. იდგა და ერთ მთლიან დიდ საბანსა ქსოვდა. ის საბანი სუყველა ბავშვს უნდა გასწვდენოდა, ვინც კი დედამიწის ზურგზე სიცივით ძაგძაგებდა. მაგრამ ყოველთვის ერთ ვიღაცას ვეღარ სწვდებოდა. ცოტა მაინც დამაფარეთ, გამათბეთო, მწვიტინებდა საბანს გარეთ დარჩენილი.

მზეთუნახავი ძველს არღვევდა და უფრო დიდი საბნის ქსოვას იწყებდა, რადგან გადაკერება არ შეიძლებოდა, საბანი ერთიანი უნდა ყოფილიყო. დღედაღამ თავაუღებლივ ქსოვდა, არც თვალებს ასვენებდა, არც ხელებს და პატარა ბიჭი მუდამ ზღაპრის დამთავრებამდე იძინებდა. ვერა და ვერ გაიგო, რა ქნა, მოქსოვა თუ არა მზეთუნახავმა ის ყველას სამყოფი საბანი.

პატარა ბიჭს ჯენარო ერქვა, თავის დედასთან და ძმებთან ერთად კასინოს ახლო ცხოვრობდა. კასინოს მხარეს საერთოდ ცივი ზამთარი იცის, იმ წელიწადს კი მე-

ტისმეტი ყინვები დაიჭირა. ობლები ჯერ ისედაც შავ დღეში იყვნენ, ახლა დედაც ლოგინად ჩაუვარდათ. უბედურ კაცს ქვა აღმართში დაეწევაო, სწორედ ისე მოუვიდათ. ამ პატარას რა ვუყოთ, თორემ ჩვენ რაღაცას ვიზამთო, იფიქრეს ძმებმა. მერე დედასაც ჰკითხეს და გადაწყვიტეს, იქნებ სადმე გავაბაროთო. ადგნენ და იღბლად ერთ მამის ნაამხანაგარ კაცს მიუყვანეს, იმსახურე და პურიც აჭამეო. ის კაცი თავისი დანჯღრეული ფორნით სოფელ-სოფელ დადიოდა. აყრილი იყო, არც სახლი ჰქონდა, არც კარი, ცოლ-შვილიც მიბმულივით უკან დაჰყავდა. სადაც მივიდოდნენ, ქუდსაც იქაურს იხურავდნენ: ზოგან მათხოვრობით შოულობდნენ ერთ-ორ კაპიკს, ზოგან არღნის ჭყვიტინით, ზოგან კი გზადაგზა ჰაიჰარად დაწნულ მანეულის კალათებსა და გოდრებს ასაღებდნენ.

ჯენაროს თუთიყუშიანი გალია ჩააბარეს. თუთიყუშის წინ პატარ-პატარად დაკეცილი ქაღალდებით გატენილი ყუთი იდგა. ვისაც თავისი ბედ-იღბლის გაგება უნდოდა, ცოტა შავი ფული უნდა გაემეტებინა და ჯენარო თუთიყუშს თვალით ანიშნებდა, მაგას მიაწოდეო. ისიც ყუთს უმალ ნისკარტს დაჰკრავდა, ამოიღებდა ერთ ქაღალდს, რომელიც მოხვდებოდა, და მიაწვდიდა. ზედ კოხტად იყო ჩაწიკწიკებული: ამა და ამ დროს ამასა და ამას მოელოდეო. მომეტებულად კი კარგ ბედ-იღბალს წინასწარმეტყველებდა თუთიყუში და ხალხიც ბლომად ეტანებოდა.

ხან ისეთ სოფელში მივიდოდნენ, სადაც იმათზე უარესად გაჭირვებულნი ცხოვრობდნენ და რამეს იქით თუ მისცემდნენ, თორემ ისინი არავის გამკითხავნი არ იყვნენ. სანამ იქიდან სხვაგან სადმე არ წავიდოდნენ, ჯენარო თავის თუთიყუშიანად ცარიელა პურსა და წყალზე რჩებოდა. სამაგიეროდ, ღამღამობით უნდა გენახა, რა ბედნიერი იყო, როცა თბილად დაიხურავდა მამის ნაქონ ძველ საბანს, ჯერაც რომ არ გასცლოდა ოფლისა და თოფისწამლის სუნი. ჩაიძინებდა თუ არა, სიზმარში თუთიყუში ეწვეოდა, ჩამოუჯდებოდა გვერდით და საკვირველ ზღაპრებს უყვებოდა.

მამის ნაამხანაგარ კაცს თავისი საკუთარი შვილივით უყვარდა პატარა ჯენარო. ფორნის ჭრიალში ხან ამ მთისას უამბობდა, ხან იმ მთისას. ზოგჯერ მამაზეც ჩამოუგდებდა ხოლმე სიტყვას და ომის ამბებს იგონებდა, აქა და აქა ერთად ვიბრძოდითო. ხანაც გულის გადასაყოლებლად კითხვას ასწავლიდა. გზა-გზა ბოძებზე მიწერილ სოფლების სახელებს უმარცვლავდა.

— აი, ნამგალივით მოღუნულ ასოს ხედავ? — ეუბნებოდა, — მაგას ანი ჰქვია. ის ნალივით ასო კი ინია. აბა დააკვირდი! რაღა სანი და რაღა მეცხვარის კომბალი.

ჯენაროც გულისყურით უკვირდებოდა, გონებაში იბეჭდავდა და იმახსოვრებდა. იმ ღვთისნიერმა კაცმა მერე რვეული და ფანქარიც უყიდა, რა წარწერასაც კი მოჰკრავდნენ თვალს, ყველაფერს რვეულში აწერინებდა. პატარა ბიჭი სულ იმის ნატვრაში იყო, ნეტავი როდის იქნება, ისე დავწერო, შეცდომა არ მომივიდესო. ბევრი ეცადა თუ ცოტა ეცადა, ერთ მშვენიერ დღეს მართლაც უშეცდომოდ ჩააწიკწიკა თავისი სახელი და გვარი. მარტომ დაწერა, არავინ  დახმარებია! სიხარულით ფეხზე აღარ იდგა და ყველაზე ლამაზი სიზმარიც იმ ღამეს ნახა მამის ძველ საბანში გახვეულმა.

## <u>აბდაუბდა — გადასკუპდა</u>

— იყო და არა იყო რა, იყო ერთი პატარა გოგო, ყველანი ყვითელქუდას ეძახდნენ.

— ყვითელქუდას კი არა, წითელქუდას!

— ჰო, მართლაც, წითელქუდას. მოდი, შვილო, მწვანექუდაო, დაუძახა ერთხელ დედამისმა.

— რამდენჯერ უნდა გითხრა, წითელქუდა-მეთქი!

— ჰო, წითელქუდაო. ჩაუყარა კალათაში კარტოფილის ნაფცქვენი და უთხრა, გაიქეცი, დედა გენაცვალოს, მამიდაშენს მიუტანეო.

— აარა! წადი, ბებიას ქადა და პატარა ქოთნით კარაქი წაუღეო.

— კარგი, ეგრე იყოს! შევიდა პატარა გოგო ტყეში და უცბად ჟირაფი შემოეყარა.

— ჟირაფი კი არა, მაწანწალა მგელი. სულ ნუ აურ-დაურიე!

— ჰო, მგელი იყოს. რვაჯერ ექვსი რამდენი იქნებაო, ჰკითხა მგელმა.

— რა რვაჯერ ექვსი! საით მიდიხარო, გზაზე გადაუდგა.

— მართალი ხარ. შავქუდა გოგომ კი...

— წითელქუდა-მეთქი, წითელი არ გაგიგონია?

— ჰო, როგორ არ გამიგონია. ბაქმაზი უნდა ვიყიდო, ბაზარში მივდივარო, — უთხრა პატარა გოგომ.

— არა, სულ დაგვიწყებია. ბებიას სანახავად მივდივარო.

— სწორია, სწორი ცხენმა ფრუტუნი მორთო...

— რა ცხენმა? მგელი იყო ტყეში.

— ეეჰ, — თავი გააქნია პაპამ, — მგელი უნდა მეთქვა. — ჩაჯექი სამოცდამეთხუთმეტე ტრამვაიში და დუომოს მოედნამდე მიდიო, უთხრა მგელმა; მოედანზე გადახვალ თუ არა, მარჯვნივ შეუხვიე და პირდაპირ ერთ პატარა კიბეს მიადგები, იმ კიბესთან შაურიანი გდია, აიღე და კევი იყიდეო. — სულ არა გცოდნია, პაპავ, ზღაპრის მოყოლა, ეგრე სად გაგონილა! მაშ, მართლა მაინც მომეცი შაურიანი, კევს ვიყიდი.

— აჰა, გამომართვი.

ბიჭმა კუნტურშით მოკურცხლა, პაპამ კი ისევ გაზეთის კითხვა განაგრძო.

## <u>არაფრისას ზღაპარი</u>

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი, სახელად არაფრისა. არაფრისას იმიტომ ეძახდნენ, რაკი ცხვირიც არაფრისა ჰქონდა და პირიც. ის კი არა, ტანისამოსი და ფეხსაცმელიც არაფრისა ეცვა. წავიდა ერთხელ არაფრისა სასეირნოდ, არაფრის გზას დაადგა, იარა, იარა და უცებ წინ არაფრის თაგვი შემოეყარა.

— კატისა არ გეშინია? — ჰკითხა არაფრისამ.

— რატომ უნდა მეშინოდეს?! — გაუკვირდა თაგუნას. — აქ არაფრის ქვეყანაა და კატებიც არაფრისანი არიან. ჩვენებურ კატებს ულვაშიც არაფრისა აქვთ, ბრჭყალებიც და კბილებიც. აბა არაფრის კატა რა საშიშია!

— საჭმელი რა გიყვარს?

— ყველი მიყვარს ძალიან, — დაიწრიპინა თაგუნამ. — თუმცა თვითონ ყველს კი არა, მარტო ნასვრეტებსა ვჭამ.

— მერე გემრიელია?

— არა, არაფრის გემო არა აქვს, მაგრამ, რა ვიცი, მეგემრიელება.

— ვაიმე, რაღაც თავი ამტკივდა, — დაიკრუსუნა არაფრისამ.

— შიში ნუ გაქვს, — დაამშვიდა თაგვმა. — ეგ არაფრის თავი გინდა კედელსაც ახალო, მაინც არაფერი მოგივა.

უნდა ვნახო, აბა, ერთი მართალი მითხრა თუ არა ამ თაგვმაო, იფიქრა არაფრისამ და კედლის საძებნელად წავიდა. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, ბოლოს, როგორც იყო, იპოვა, მაგრამ ის კედელიც არაფრის კედელი გამოდგა. გაქანდა ეს შენი არაფრი-

სა, داააჯახა თავი და ზღართანი მოადინა კედლის იქითა მხარეს. ოღონდ არაფერი არა სტკენია. ანდა რა უნდა სტკენოდა, როცა არაფერზე არ დაცემულა.

ამდენმა არაფერმა ისე დაქანცა საწყალი არაფრისა, აღარაფრის თავი არა ჰქონდა. დაწვა და დაიძინა. სიზმარში სხვა არაფრისა კაცი ნახა. წავიდა ვითომ ის სხვა არაფრისა, არაფრის გზას გაუდგა, წინ არაფრის თაგვი შემოეყარა და ორივემ ძღომაზე ღმურძლა ყველის ნასვრეტები. არა, მართლა არაფრის გემო არა ჰქონიაო, უთხრა დასიზმრებულმა არაფრისამ ნამდვილ არაფრისას.

## <u>ამბავი ქვეყნიერებისა</u>

დედამიწაზე თავდაპირველად ყველაფერი უსწორმასწორო იყო და ფეხის მოკიდება ჭირდა. ვერსად მდინარეზე ხიდს ვერა ნახავდი და არც გზა ჩანდა სადმე, არც ბილიკი. დგომით მუხლებჩამოწყეტილს დაჯდომა არ შეგეძლოთ — სკამი ვინ იცოდა, რა იყო, ჯერ გაგონილიც არა ჰქონდათ! საწოლს ხომ ნუღარ იტყვი, მთელ ამოდენა დედამიწის ზურგზე ერთი რა არის, ერთ ცალსაც ვერ იპოვიდი. რა ფეხსაცმელი, რის ფეხსაცმელი! შენი დღე და მოსწრება ფეხშიშველას უნდა გევლო. თვალთ თუ დაგაკლდებოდა, სათვალეს ტყუილად დაუწყებდი ძებნას. რაც არ იყო, რას იშოვიდი. ბურთი კი არა, კიდევ რა გინდა, მოგართმევდნენ! არც ქვაბი იყო, არც ცეცხლი, და აბა, ისე მაკარონის მოხარშვა სად გაგონილა. ანდა რა უნდა მოგეხარშა, როცა მაკარონიც არ იყო. ცარიელ-ტარიელ დედამიწაზე მარტო ადამიანები იყვნენ. იდგნენ და თავიანთი ნაჯაფარი ხელებით ასწორებდნენ ათას უსწორმასწორობას. მაგრამ ქვეყანაზე უსწორმასწოროს რა გამოლევს. მაშ მიდი, დაიმკლავე და შენც შეუდექი საქმეს. გასასწორებელი ყელამდეა.

ჯოვანინო «არას» ქვეყანაში

შენ რაც გინდა, ისა თქვი და ჯოვანინო ჩიტირეკიასთანა მგლისმუხლა მოგზაური, ტყუილია, დედამიწის ზურგზე არავინ არა ყოფილა. იარა, იარა და ერთ მშვენიერ დღეს ისეთ ქვეყანაში ამოყო თავი, რომლის სახელიც ადამიანიშვილს არასდროს სმენია.

— რა ქვეყანაა, მითხარი, თუ ძმა ხარ, — შეეხმიანა ჯოვანინო გზის პირას ჩრდილში წამოწოლილ ვიღაც ღიპიან კაცს.

პასუხის მაგივრად იმ კაცმა ჯიბის დანა ამოიღო, გახსნა, ხელისგულზე დაიდო და ჰკითხა:

— აბა, თუ მეტყვი, რა არის?

— დანაა, რა უნდა იყოს! — გაიკვირვა ჯოვანინომ.

— ვიცოდი, მაგას მეტყოდი, — ეშმაკურად ჩაიცინა ღიპიანმა. — პირიქით, არადანაა. ჩვეულებრივ ჯიბის დანას წინ «არა» აქვს მიმატებული. ფანქრის წვერის წასაზრდელად ხმარობენ. კარგი რამეა, მეტადრე სკოლაში.

— საკვირველია! — თვალები გაუფართოვდა ჯოვანინოს. — სხვა კიდევ რა გაქვთ?

— რა ვიცი, რაც გინდა. არასაკიდელი გაგიგონია?

— ალბათ საკიდელი უნდა გეთქვა.

— არა. საკიდელში რა ყრია! პალტო თუ არა გაქვს, გინდა ათი საკიდელიც გქონდეს, რა აზრი აქვს. არასაკიდელი კი სულ სხვა რამ არის. ზედ არაფერს არა ჰკიდებ! პირიქით, შენ რაც გინდა, მიდი და ჩამოიღე. აი, ვთქვათ, პალტო დაგჭირდა, ან-

და პიჯაკი გაგიცვდა და აღარ ვარგა, ახლის საყიდლად მაღაზიაში კი არ გარბიხარ, არასაკიდლიდან ერთსაც ჩამოიღებ და მეორესაც. ზაფხულობით ზაფხულის არასაკიდლები გვაქვს, ზამთრობით — ზამთრისა. კაცების არასაკიდლები ცალკეა, ქალებისა ცალკე, ბავშვებისას ხომ ნუღარ იტყვი, იმდენია. შენ ვერ წარმოიდგენ, რა დიდძალი ფული დაგვეზოგა.

— მართლა კარგი რამ ყოფილა, მე და ჩემმა მზემ! კიდევ, კიდევ რა გაქვთ?

— რა გვაქვს და არაფოტოაპარატი გინახავს? გასამხიარულებლად მისწრებაა. სურათების მაგივრად, ისეთ კარიკატურებს ამზადებს, მუცელი ხელით უნდა გეჭიროს. გარდა ამისა, არაზარბაზანიცა გვაქვს.

— რაო? ეგ რაღაა? — გაიოცა ჯოვანინომ.

— რა არის და წინ არამიმატებული ზარბაზანია. ომების მოსასპობად ვხმარობთ.

— როგორ ომების მოსასპობად?

— როგორ და ძალიან კოხტად. სადმე ომი თუ ატყდა, არაბუკს ავახმიანებთ, გამოვიტანთ მოედანზე მაგ არაზარბაზანს, დავაცემინებთ და — რა ომი, რის ომი, მთელ ქვეყანაზე მყუდროება ჩამოვარდება.

არა, სხვა ამისთანა ქვეყანას მართლა ვერსად ვერ იპოვი.

## <u>საძაღლეთის ამბავი</u>

ქალაქი ბევრი მინახავს, მაგრამ იმისთანა არსად შემხვედრია, მართალი თუ გინდა, უფრო დაბა ეთქმოდა. სახელი აღარ მახსოვს, სახლი კი ოთხმოცდაცხრამეტი დავთვალე. ყოველი სახლის უკან ბაღჩა იყო, ყოველი ბაღჩის ბოლოში ძაღლი ება და მთელ იმ არემარეში მარტო ყეფა ისმოდა.

მერე რა მოხდაო, ალბათ, მეტყვი. რა მოხდა და, აბა, ყური დამიგდე! სულ თავში სახლი რომ იდგა, იმ სახლის პატრონები თავიანთ ძაღლს ერთგულას ეძახდნენ. აქაოდა ერთგულა მქვიაო, თვალებანთებული ძაღლი ამვლელსაც უყეფდა და ჩამვლელსაც. მაგაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო, ცოფებს ყრიდა დანარჩენი ოთხმოცდათვრამეტი ძაღლიც.

ყველაზე შავ დღეში, რასაკვირველია, ოთხმოცდამეცხრამეტე სახლის პატრონები იყვნენ. სანამ ქალაქის თავში მოხვდებოდნენ, ანდა სანამ იქიდან თავიანთ სახლს მიაღწევდნენ, ოთხმოცდათვრამეტი ბაღჩის წინ უნდა გაევლოთ და ოთხმოცდათვრამეტივე ძაღლი შესაჭმელად ეტანებოდათ. კარგი დღე არც დანარჩენებს ადგათ. რაღა ბევრი გავაგრძელოთ, დილიდან დაღამებამდე ყურთასმენა არ იყო. მთელ ქალაქში გნიასი იდგა.

ამდენმა ყეფამ, ღმუილმა და ყმუილმა, ცოტა არ იყოს, გამოაბუეტა იქაური ხალხი. არავინ ერთმანეთს ხმას არა სცემდა, გაბუტულებივით დადიოდნენ. თუმცა არც მაინცდამაინც ისეთი რამ ჰქონდათ სათქმელი, რაც მოსასმენად ეღირებოდა.

ცოტა დღესა, ცოტა ხვალა, და ამ უბრობასა თუ უმძრახობაში ლაპარაკი დაავიწყდათ. ბოლოს კი ნელ-ნელა ყველანი ძაღლებივით აყეფდნენ. თავიანთი ჭკუით, ალბათ, ფიქრობდნენ, ჩვეულებრივად ვლაპარაკობთო. მაგრამ პირს რომ დააღებდნენ, სიტყვებს კი არ ამბობდნენ, აუ-აუო, იძახდნენ. მტერსა და ავს! ჩემიანს არავის არ ვუსურვებ იმათი ყეფის გაგონებას. სულ ტანში გაგცრიდა, ისეთნაირი ხმით წკმუტუნებდნენ ან იყეფებოდნენ დიდიან-პატარიანად. იქაურობა ნამდვილ საძაღლეთად იქცა.

ახლა არ იკითხავ, რა ხდებოდა, როცა ძაღლები უცხო ვინმეს დაინახავდნენ? ოთხმოცდაცხრამეტივე ძაღლი ბანს აძლევდა ერთმანეთს და სუყველა აწყვეტაზე

იყო. ძაღლების ხმაურზე ოთხმოცდაცხრამეტივე დიასახლისი უკლებლივ გარეთ გამოვარდებოდა, გაიხედ-გამოიხედავდა, შეიტყობდა აურზაურის მიზეზს და ისევ შინ შევარდებოდა. ის კი არა, კარებს ურდულს ადებდნენ, ფანჯრებს ფარდებს აფარებდნენ და, — სანამ გზად მიმავალი ის უცხო კაცი თვალს არ მიეფარებოდა, ჩუმ-ჩუმად იცქირებოდნენ ჭუჭრუტანებიდან

თუმცა გარეგნულად არავის არაფერი ეტყობოდა, ჩვეულებრივად თავაზიან ადამიანებსა ჰგავდნენ, ფანჯრებზე ყველას გაქათქათებული ფარდები ჰქონდა ჩამოკიდებული, აივნებზე კი ყველგან ნემსიწვერას ქოთანი და ჩითილიანი ყუთი იდგა.

ერთხელ, სად იყო, სად არა, სახელგანთქმული ჯოვანინო ჩიტირეკია მივიდა იმ ქალაქში. ძაღლებმა თვალი მოჰკრეს თუ არა, ისეთი ალიაქოთი ატეხეს, ადამიანს კი არა, სატელეგრაფო ბოძსაც დააწყდებოდა ძარღვები. რა ამბავია, რა მოხდაო, ჰკითხა გაკვირვებულმა ჯოვანინომ გზაზე მომავალ ქალს. მაგრამ ქალმა ზედაც არ შეხედა, ძაღლივით შეჰყეფა და ჩაუარა. ჯოვანინო ახლა ეზოს წინ ჩაცუცქებულ პატარა ბიჭს შეეხმიანა. ეგ რა კოხტა შარვალი გაცვიაო, შეუქო. პატარა ბიჭმა კი ლეკვივით წკმუტუნი მორთო.

ამათ თავს რაღაც უბედურებაა, დაასკვნა ჯოვანინომ და პირდაპირ ქალაქის თავთან წავიდა.

— აქაურებს, ვხედავ, ავი სენი შეგპარვიათ, — უთხრა ჯოვანინომ. თუ გინდათ, უებარი წამალი ვიცი. ჯერ ერთი, ღობეები ააღებინეთ, შემოღობილი ბაღჩები სად გაგონილა! მერე, რაც ქალაქში ძაღლებია, სანადიროდ გაუშვით. ირბინონ, გახალისდებიან და სიავე გაუვლით. ბოლოს ერთი კარგი ლხინი გამართეთ ქალაქში და აი, ნახავთ, ყველანი ისევ ადამიანურად დაილაპარაკებთ.

— აუ! აუ! — შეჰყეფა ქალაქის თავმა.

— ყველაფერი გასაგებია, — თქვა ჯოვანინომ, — საშიში მაშინ არის, როცა ავადმყოფს თავი ჯანმრთელი ჰგონია.

მეტი სიტყვა აღარ დაუძრავს, გაბრუნდა ჩიტირეკია ბიჭი და ახლა სხვა ქვეყანაში წავიდა.

შუაღამისას სადმე ძაღლების ყეფა თუ ატყდა, იცოდე, ნამდვილი ძაღლები კი არა, იმ პატარა ქალაქის მცხოვრებლები იქნებიან.

## <u>სინიორ ნებიერინოს ზღაპარი</u>

სინიორი ნებიერინო დიდი ფაფასუა ვინმე იყო. ქვეყანაზე რაც აზიზმაზიზი ხალხია, იმასთან სუყველა მოგონილია! კედელზე ყურბელა თუ მიცოცავდა, მაშინაც ვერ იძინებდა — ხმაურიაო, ხოლო შაქრით დაზურგულ ჭიანჭველას უცაბედად ერთი ნამცეციც რომ დავარდნოდა, რაღა გიჟი და რაღა სინიორი ნებიერინო! — გველნაკბენივით წამოვარდებოდა, არიქათ, მიწა იძრაო.

ბავშვის სახელს, ჭექა-ქუხილსა და მოტოციკლეტს ვერ უხსენებდი, გაგონებაც არ უნდოდა. მაგრამ ყველაზე ძალიან ფეხქვეშ მოხვედრილი მტვრის კნაწაკნუწი უშლიდა ძარღვებს და, გარეთ კი არა, ოთახშიც არ დადიოდა ფეხით. გავლა თუ უნდოდა, თავის დევივით ბრგე მსახურს გასძახებდა, მალე, გულიელმო, ამიყვანეო, და ისიც ხელად ბავშვივით აიტაცებდა ხოლმე. საწყალ მსახურს ერთი წუთი მოსვენება არა ჰქონდა.

— ნელა, გულიელმო! — ეჯუჯღუნებოდა განებივრებული სინიორი. — კარს ნუ აჭრიალებ! რა ამბავია, რა იყო?

მხარ-თეძოზე წოლა, ვინ არ იცის, ჯანის მტერია. დღეს არ იარა ფეხით, ხვალ არ იარა და თანდათან გაიღიპა, გასივდა, ცარიელი ქონიღა გახდა. გულიელმოს დაბებრებული ხელების მოკიდებას უკვე ვეღარ იტანდა, ჯავრობდა, წიკვინებდა:

— რა არი, გულიელმო, რამდენჯერ უნდა გითხრა, მაგ დაკოჟრილ ხელებს უხელთათმანებოდ ნუ წამავლებ-მეთქი!

გულიელმო კრინტს არა სძრავდა, ქშინავდა და იმხელა ხელთათმანებს იცვამდა, ჰიპოპოტამი რომ ჰიპოპოტამია, იმასაც კარგა დიდი ექნებოდა.

ნებიერინო კი სუქდებოდა და სუქდებოდა. გულიელმოს ახლა შუა ზამთარშიც ხვითქი გადასდიოდა, როგორც ზაფხულის პაპანაქება სიცხეში. იმსიმძიმე კაცს, ეხუმრები, აწევა არ უნდოდა?!

ითმინა, ითმინა ბედშავმა გულიელმომ და ერთხელაც ყელში ამოუვიდა. რა უნდა მიყოს ამ გატლუებულმა, ავდგები და აივნიდან გადავუძახებო, იფიქრა მოთმინებადაკარგულმა.

ბევრი აღარ უყოყმანია, მართლაც ადგა და გადააგდო. სინიორ ნებიერინოს იმ დღეს, ეშმაკად, თეთრი ჩესუჩის გაქათქათებული ხალათ-შარვალი ეცვა და — ბედი არ გინდა! — ზედ ბუზის ნაჯდომზე გაადინა ბრაგვანი! შარვალზე ქინძისთავივით პაწაწა ლაქა დაეტყო. თვალით კი არა, მიკროსკოპითაც ძლივს შეამჩნევდა კაცი, მაგრამ აზიზმაზიზ სინიორ ნებიერინოს მეტი არ უნდოდა! იბოღმა, გაუსკდა გული და მოკვდა.

## <u>პულჩინელას გაქცევა</u>

მთელ ძველ თოჯინების თეატრში პულჩინელასთანა მოუსვენარ თოჯინას მეორეს ვერა ნახავდი. ნიადაგ უკმაყოფილო იყო და მუდამ ვიღაცას ედავიდარაბებოდა. ხან შუა რეპეტიციის დროს ატყდებოდა, ჩემი ნებაა და სასეირნოდ უნდა წავიდეო, ხანაც პატრონს გადაუდგებოდა, კომიკურ როლს ტყუილად მაძალებ, მე ტრაგიკულის თამაში მინდაო.

— არა, მეტი აღარ შემიძლია, — გაენდო ერთხელ არლეკინს. — ვიცი, ერთ მშვენიერ დღეს ვეღარ გავუძლებ და გავიქცევი.

გაქცევით მართლაც გაიქცა. ოღონდ დღისით კი არა, ღამე გაიპარა. სუყველას რომ ჩაეძინა, ფრთხილად ადგა, აიღო მაკრატელი, პატრონს იღბლად მაგიდაზე რომ დარჩენოდა, შეიჭრა თავზე, ხელებსა და ფეხებზე მობმული ძაფები და, წამო, ერთად გავიქცეთო, მუჯლუგუნი წაჰკრა არლეკინს.

გაყოლებით გაჰყვებოდა არლეკინი, მაგრამ კოლომბინასთვის რა ექნა? მიეტოვებინა? არა, კოლომბინას სიყვარულს ვერ უღალატებდა, უიმისოდ ფეხს არ მოიცვლიდა. პულჩინელამ კი ქვა ააგდო და თავი შეუშვირა — ტყუილია, მაგ პრანჭიკელას არსად არ წავიყვან, ჯერ ისიც შერჩეს, ყოველ წარმოდგენაში ენას რომ მიყოფდაო.

რაკი არლეკინი თავის ნებაზე ვერა და ვერ დაიყოლია, დაჰკრა პულჩინელამ ფეხი და მარტომ მოქუსლა.

«ძლივს არ ამოვისუნთქე! — ფიქრობდა სამშვიდობოზე გასული. — რახან ის ძაფები მოვიშორე და ხელ-ფეხი გავიხსენი, ჯანდაბას, აღარაფერსა ვჩივი. სხვისი ჭკუით როდემდე უნდა მევლო?»

ცისა და მიწის ანაბარა დარჩენილი ხის თოჯინასათვის ადვილი როდია ამოდენა ქვეყნიერებაზე მარტოდმარტო სიარული. ღამღამობით მაინც ათასი მშიერი კატა დაძრწის. ერთი გაფაჩუნება, და უკვე ბრჭყალებში ხარ მოქცეული. კატებს, ხომ იცი, ბნელ ღამეში სულ თაგვებად ეჩვენებათ ყველაფერი. პულჩინელამ დაჯერებით

კი داააჯერა ისინი, რა თაგვი, რის თაგვი, მსახიობი ვარო, მაგრამ მერე, სიფრთხილეს თავი არ ასტკივაო, სადღაც ბაღში შეძვრა, ღობის ძირას მყუდროში მიწვა და მიიძინა.

გათენებისას შიმშილმა გამოაღვიძა. გაიხედ-გამოიხედა და გარშემო ყვავილების მეტი ვერა დაინახა რა. ალაგ მიხაკი და კვირისტავა ღაღანებდა, ალაგ — ტიტა და ჰორტენზია.

— რას ვიზამ, შიმშილს წინ რა დაუდგება, — თავი დაიმშვიდა პულჩინელამ და მიხაკს წასწვდა, ფოთოლი ჩამოაწიწკნა.

მიხაკის ფოთოლი, რა თქმა უნდა, არც შეშიშხინებული მწვადი იყო და არც ქორჭილა თევზის უფხო ნაჭერი. ყვავილი ყვავილია, სურნელება რამდენიც გინდა, იმდენი აქვს, მაგრამ ბალახივით არის. თუმცა პულჩინელამ ბალახისა კი არა, თავისუფლების გემო ჩაატანა და მეორე ფოთლის მერე უკვე ისე ეგემრიელა, დაფიცებითაც დაიფიცებდა, სხვა უფრო თითების ჩასაკვნეტი რამ ჩემს დღეში არა მიჭამია რაო. რაკი საჭმელი მოეწონა და ცოტა მოღონიერდა, პულჩინელას იქ დარჩენა ჭკუაში დაუჯდა, ამაზე კარგ ადგილას სხვაგან სად წავალო, და დარჩა კიდეც.

ძილით ერთი უზარმაზარი მაგნოლიის ძირას იძინებდა, — ქოლგასავით ხე იყო, ვერც წვიმა ატანდა, ვერც სეტყვა, ჭამით კი ისევ ყვავილებს მიირთმევდა: ხან — ვარდს, ხან — მიხაკს... და ცხადად თუ სიზმრად კატლეტისა და ახალი ყველის მთები ელანდებოდა, მაგრამ თავს უძალიანდებოდა, ფარ-ხმალს არა ყრიდა.

ქარმა და მზემ ერთიანად გამოფიტა და გამოაშრო პულჩინელა. საწყალი ბიჭი მაკარონივით გახდა, სამაგიეროდ ფუტკრები ყვავილებში ვეღარ არჩევდნენ, ისეთი საამო სუნი ჰქონდა. თვალს მოჰკრავდნენ თუ არა, დააფრინდებოდნენ თავზე და სწუწნიდნენ. მაგრამ გამოფიტულ ხის თავს აბა რა ნექტარს ამოსწუწნიდნენ?

მალე ზამთარიც დადგა. გაპარტახებულ ბაღში სუსხიანმა ქარმა დაუბერა. პულჩინელა მთელი დღეობით მშიერი იყო ხოლმე. ვიცი, მეტყვი, მერედა წასულიყო სადმე სხვაგანო. თქმა ადვილია, შენმა მტერმა იარა უღონო ხის ფეხებით!

«რახან სიკვდილი მიწერია, — ეუბნებოდა პულჩინელა თავის თავს, — სხვაგან არსად წავალ, აქ მირჩევნია დავლიო სული. ჯანდაბას, ვიცი მაინც, თავისუფალი ვკვდები. ძაფს ვეღარც ხელებზე გამომაბამს ვინმე და ვეღარც ფეხებზე, თავსაც ძალით ვერავინ დამაქნევინებს».

მერე პირველი თოვლიც მოვიდა და თხელ თეთრ საბანქვეშ მოექცა პულჩინელა.

მაგრამ არ გეგონოს, რომ მოკვდა. ხის თოჯინები არასოდეს არ იხოცებიან. ცოტა ნიაღვარმა წალამა გაზაფხულზე, თორემ მეტი არაფერი. დღესაც ისევ იქ არის, იმ ბაღშია, ოღონდ არავინ არ იცის. უცაბედად თუ ფეხი წამოჰკრა და იპოვო, ხათრი არ გაუტეხო, ერთი თხოვნა შეუსრულე: თავზე არამც და არამც ძაფი არ გამოაბა. მეფე რომ მეფეა და დედოფალი რომ დედოფალია, თოჯინების თეატრში უძაფოდ ისინიც არ არიან, პულჩინელას კი ძაფგამობმული ყოფნა არ შეუძლია და რა ქნას.

## <u>შუშის ბიჭი</u>

უხსოვარ დროს ან იქნებ არც ძალიან ძველად, ქვეყნიერების ბოლოს თუ ცოტა აქეთ, ერთ არნახულ სახელმწიფოში გამჭვირვალე ბიჭი დაიბადა. რაღა ის და რაღა კამკამა ჰაერი ანდა წყაროს წყალი! პირველად ვისაც უნდა ენახა, შუშისააო, ყველა იმას იტყოდა, ნამდვილად კი სისხლითაც და ხორცითაც ადამიანიშვილი იყო. სხვასავით ისიც ბევრჯერ წაქცეულა, მაგრამ არ დანაჭუჭებულა. ისე, იცოცხლე, შუბლზე გამჭვირვალე კოპი داააჯდებოდა ხოლმე.

შეხედავდი და პირდაპირ ჩანდა, როგორ უცემდა პატარა გული მკერდში, აზრებს ხომ, ნუღარ იტყვი, მარტო წაკითხვა უნდოდა. აი, როგორც ჭრელ-ჭრელი თევზები გინახავს აკვარიუმში, აზრებიც ისეთნაირად ირეოდნენ ბიჭის გამჭვირვალე თავში.

ერთხელ, თავისდა უნებურად, იცრუა ბიჭმა და იმწამსვე სუყველამ დაინახა — შუბლში რაღაც ცეცხლის ბუშტივით აუკიაფდა. მერე როცა გამოასწორა და მართალი თქვა, ბუშტი თანდათან დაპატარავდა, დაილია და გაქრა. ის დღე იყო და ტყუილი აღარ დასცდენია.

მეორედ ერთმა ამხანაგმა რაღაც საიდუმლო გაანდო და იმწუთას კაკლისოდენა შავი ბუშტი ამოაჯდა გულზე. ქვეყანამ დაინახა, უყურეთ, უყურეთ, ერთმანეთს ეუბნებოდნენ, და აბა, რაღა საიდუმლოა, როცა ძაღლმა და ღორმა იცის!

ნელა-ნელა წამოიზარდა ბიჭი, დავაჟკაცდა, ხალხი კი ისევ ძველებურად უგებდა გულისნადებს, და თუ ვინმე რამეს შეეკითხებოდა, ჯერ იმას პირიც არ გაეღო, უკვე ყველამ იცოდა, რასაც უპასუხებდა.

დედ-მამამ პატარა ბიჭს ჯაკომო დაარქვა, ხალხი დიდიან-პატარიანად შუშის ბიჭს ეძახდა. ვინმეს თვალშიც რომ ჩავარდნოდა, ხელს არავინ ამოისვამდა, სულში იძვრენდნენ, უყვარდათ კეთილი და მართალი გულისა.

მოულოდნელად ხალხის სავალალოდ და თავში საცემად იმ სახელმწიფოში ერთი აჯამი, ავი კაცი გამეფდა. ძალადობასა და უსამართლობას მალე სიღატაკეც მოჰყვა და მთელი ქვეყანა დიდ გაჭირვებაში ჩავარდა. აჯამ მეფეს ასი თვალი და ასი ყური ება, თუ ვინმე ფეხს გააფხაკუნებდა, კუნძიც მზად იყო და ცულიც.

ხალხი ხმას არ იღებდა, გატრუნული იყო, თავის წაცლა არავის არ უნდოდა.

მარტო შუშის ბიჭი ვერ ითმენდა ამ უსამართლობას. ხმაც რომ არ ამოეღო, მაინც სუყველამ იცოდა, რის თქმასაც აპირებდა — მეფის სიძულვილი ზედ შუბლზე ეწერა. ამ ამბავმა მალე ბოროტი მბრძანებლის ყურამდეც მიაღწია. დაიჭირეთ, ბნელ დილეგში ჩააგდეთ, დღის სინათლე ვეღარ დაინახოსო, ბრძანა გაცეცხლებულმა ტირანმა.

შუშის ბიჭი დილეგში ჩააგდეს და გაუგონარი ამბავიც მოხდა. ჯერ საკნის ოთხივე კედელი გამჭვირვალდა, მერე მთლიანად ციხე და, ბოლოს, ციხის გარშემო შემოვლებული გალავანიც გამჭვირვალე გახდა. ამვლელ-ჩამვლელნი ცხადლივ ხედავდნენ ჯაკომოს, თითქოს ციხე შუშისა ყოფილიყოს, და არც ერთი იმის აზრი წაუკითხავი არ დარჩენიათ.

ღამ-ღამობით ციხე მნათობივით ბრწყინავდა, ელვარებდა და სასახლეში ფეხმორთხმულ მეფეს თვალებსა სჭრიდა. მალე, ფანჯრებს სქელი ფარდები ჩამოაფარეთო, მძვინვარებდა ავი მბრძანებელი, მაგრამ ვერაფერს ხდებოდა, შუქი მაინც ატანდა და არ აძინებდა.

აი ხედავ, რა უყო აჯამ მეფეს შუშის ბიჭის სიმართლემ?! აბა, რა გეგონა! სიმართლესთან ქარიშხალიც ვერ მოვა.

## <u>მოგზაური მაიმუნები</u>

მოდი ერთი ვნახოთ, რა ხდება, რა ამბავია ქვეყნიერებაზეო, იფიქრეს მაიმუნებმა და სამოგზაუროდ წავიდნენ. ცოტა ირბინეს თუ ბევრი ირბინეს, დაიღალნენ და ჩამოსხდნენ, მუხლს ქარი ამოვაღებინოთო.

— აბა, გაიხედ-გამოიხედეთ, რასა ვხედავთ? — თქვა ერთმა.

— რასა ვხედავთ და გალიაში ლომია, აუზში სელაპი, იმ ბაკში კი ჟირაფია.

— ქვეყანა დიდია, დიდი! მოგზაურობას რა სჯობს!

ამის თქმა იყო და ისევ გაქანდნენ, სანამ მაგრა არ გაიქაფნენ, აღარ შეუსვენიათ. უკვე შუადღის მზე აჭერდა.

— ახლა რაღასა ვხედავთ?

— რასა ვხედავთ და ბაკში ჟირაფია, აუზში სელაპი, იმ გალიაში კი ლომია.

— მართლაც დიდია ქვეყანა, დიდი! მოგზაურობას რა სჯობს! წამოხტნენ მაიმუნები და გზა განაგრძეს. ირბინეს, ირბინეს და, ქანცი რომ გაუწყდათ, მზეც ჩასვლაზე იყო.

— აბა, თუ იტყვი, რასა ვხედავთ?

— რასა ვხედავთ და გალიაში ლომია, ბაკში ჟირაფი, აუზში კი სელაპი ჭყუმპალაობს.

— ეჰ, მართლა მოსაწყენია ეს ქვეყანა! სულ ერთი და იგივე ყელში ამოვიდა. არა, მოგზაურობაშიც რა ყრია? არაფერი!

ოღონდ მოგზაურს გააჩნია. სირბილით კი დილიდან საღამომდე დარბოდნენ, მაგრამ ახლა იმას არ იკითხავ, სად მოგზაურობდნენ? სადა და თავიანთ გალიაში.

## <u>კაცი, რომელსაც კოლიზეის მოპარვა უნდოდა</u>

იყო ერთი ქვეყანა... ოღონდ რა იყო და სად იყო, არავის აღარ ახსოვს. სამაგიეროდ, რომში დღესაც არ დავიწყებიათ, ისევ იგონებენ, ერთმა კაცმა კოლიზეის მოპარვა რომ დააპირა. ალბათ მეტყვი, იმოდენა შენობა რა თავში სახლელად უნდოდაო. ხარბი იყო, თვალგაუმაძღარი და იმიტომ უნდოდა. შემცილებელი არავინ მეყოლება, მთელ კოლიზეის მარტო მე ჩავიგდებ ხელშიო, იფიქრა თავისი მოკლე ჭკუით, წაიღო ჩანთა და წავიდა.

კოლიზეის ყარაული როგორც კი თვალს მოეფარა, მივარდა, ჩანთა ჩქარ-ჩქარა ამოჩხორა ქვებით და შინ გაამუგძუგა. აქაოდა ერთხელ შემრჩაო, მერე ზიდა და ზიდა. კვირა-უქმის გარდა, დღე არ გაუცდენია. ხან ორ-სამ გზობასაც ასწრებდა. ნანგრევებში თაგვივით ფრთხილად დაძვრებოდა, ყარაული ზედ არ წამადგესო.

კვირაობით შინიდან გარეთ არ გამოდიოდა, იჯდა და მოპარულ ქვებს ითვლიდა. მალე იმ ქვებით მთელი სარდაფი გამოტენა.

რაკი სარდაფში ერთი ქვის დასადები ადგილიც აღარ იყო, ახლა სხვენზე აჰქონდა და იქ აგროვებდა. სხვენიც რომ აავსო, მერე ხან ტახტქვეშ ყრიდა, ხან კარადების უკან.

საქურდავად მისული კარგა ხანს ათვალიერებდა ხოლმე კოლიზეის და ახალი გაგიჟებულივით ბუტბუტებდა, არა, ჯერ თითქოს არაფერი ეტყობა, მაგრამ ცოტა, მგონი, მოვაკელიო.

თვალიერებას მორჩებოდა თუ არა, გაქანდებოდა, დაეძგერებოდა გამწარებული წინადღით ნაჩიჩქნ კედელს და, სანამ ჩანთას ქვაღორღით არ აავსებდა, თავს არ გაანებებდა, იდგა და ეჯაჯგურებოდა, ფხოჭნიდა გასისხლიანებული ფრჩხილებით.

იქაურობა დღენიადაგ ტურისტებით იყო სავსე; ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ, ვიშ, რა დიდებული რამ არისო, იძახდნენ და თვალები უბრწყინავდათ, ამას რას ვხედავთო. ის კი გულზე სკდებოდა, ტურისტების ჟრიამულს ვერ იტანდა. და მუდამ ერთსა და იმავეს ჯუჯღუნებდა, ნეტავი ერთი მაჩვენა, მერე რაღას იზამთ, კოლიზეის მაგივრად ცარიელი ადგილი რომ დაგიხვდებათო.

სადმე კიოსკში გამოფენილ ფერად ღია ბარათებს თუ დაინახავდა და ზედ კოლიზეის უზარმაზარი შენობა იყო აღბეჭდილი, სიხარულით ცას ეწეოდა. ვითომ, კი

არ ვიცინი, ცხვირს ვიხოცავო, მიიფარებდა ცხვირსახოცს და ისე ხითხითებდა, მალე ვნახავ, მალე კოლიზეი მარტო ამ ღია ბარათებზე შემოგრჩეთო.

დღეს დღე მოჰყვა, კვირას კვირა მიება, აირია წლების სათვალავი და მთელი სახლი მოპარული ქვებით ამოიჩხორა. საწოლი რომ საწოლია, იმის ქვეშაც აღარ იყო ადგილი, სამზარეულოც ისე გაიჭედა, მარტო პირსაბანსა და გაზის ქურას შუა თუ გაივლიდი, სააბაზანოსა და დერეფანს ხომ ნუღარ იტყვი. ერთიცა და მეორეც ნამდვილ სანგარს ჰგავდა. ვეება კოლიზეი კი ისევ თავის ძველ ადგილზე იდგა და ვერ შეატყობდი, სად რა ქვა აკლდა, თითქოს კაცს კი არა, კოღოს უცდია დანგრევა და ვერ დაუნგრევიაო.

დღესა, ხვალა და დაბერდა კოლიზეის ქურდი.

«ვაითუ, მოვტყუვდი! — ფიქრობდა საგონებელში ჩავარდნილი. — იქნება სჯობდა სულაც სან-პიეტროს ტაძრის გუმბათი მომეპარა? ეეჰ, დროც არის პაპიჩემისა! რახან დავიწყე, ბარემ ბოლოც უნდა მივადევნო».

ბოლოს მიდევნება კი არც ისე ადვილი გამოდგა. ქვებით გატენილ ჩანთას უკვე ძლივს ერეოდა. დაპატარავდა, მუშტის ოდენაღა დადიოდა, გადატყავებულ ხელებს საცოდავად ასავსავებდა. ერთხელ გულმა უგრძნო, სიკვდილს ვეღარ გადავურჩებიო, და უკანასკნელად გაუდგა კოლიზეის გზას. როგორც იყო, მივიდა, მილასლასდა და იმდენი იბობღა, სანამ სულ ზედა კიბეს არ მიაღწია. ჩამავალი მზის ოქროსფერ შუქში ცეცხლივით ღადღადებდა იქაურობა — კედლებიც, თაღებიც, კიბეებიც. მაგრამ საწყალ ბერიკაცს აღარაფრის დანახვის თავი არა ჰქონდა. ყელში გულმობჯენილი ბრმასავით აცეცებდა ცრემლიან თვალებს. ერთადერთი რამ, რაც უნდოდა, სიმარტოვე იყო. ნეტავი ამ მდუმარებაში მომკლაო, ინატრა, და სწორედ მაშინ მოედო ძველ ჩაიდუმალებულ ნანგრევებს ტურისტების თავშეუკავებელი ჟივილ-ხივილი. სანახაობით აღტაცებული ტურისტები წინ და უკან დარბოდნენ კიბეებზე და ყველა თავის ენაზე ჟღურტულებდა — დედა, დედა, ამას რას მოვესწარიო.

უცებ ამ ენამრავალ ჟივილ-ხივილში ბერიკაცმა პატარა ბიჭის წკრიალა ხმა იცნო. არ მოგცემ, ჩემიაო, წიოდა და კიოდა პატარა ბიჭი.

ჩემიას ძახილი ახლა უკვე ამაზრზენად ეჩვენა ნანგრევების თავზე მოქცეულ ბერიკაცს. ოდნავ წამოიწია, უნდოდა ხმა მიეწვდინა, ჩემია კი არა, ჩვენია თქვიო, მაგრამ ძალა აღარ ეყო, დაეცა და მოკვდა.

## <u>ერთ მივარდნილ სოფელში</u>

სარონოდან სანამ ლენიანომდე მიხვიდოდე, უღრანი ტყის პირას ერთი პატარა სოფელია. უწინ ამ სოფელში სამად-სამი უბანი იყო და სულ თერთმეტი ოჯახი ცხოვრობდა. სამივე უბანს ერთადერთი ჭა ჰქონდა, ოწინარით, გვიმ-გვირგვინით გამართული. მაგრამ რად გინდა რა, წყალს ვერ დალევდი და ვერაფერი! ოწინარს არც ჯაჭვი ება, არც თოკი და არსად არც წყლის ჭურჭელი ჩანდა რამე.

მაშ თვითონ როგორა სვამდნენო, გიკვირს, არა? როგორა სვამდნენ და ყველა ოჯახს თავისი ვედრო და თავისი თოკი ჰქონდა. ვედრო საბძელში ედგათ, თოკიც იქვე ლურსმანზე ეკიდა. ვინც წყალზე მიდიოდა, ვედროც თოკიანად თან მიჰქონდა. ჭიდან წყალს რომ ამოიღებდა, შეხსნიდა ოწინარს თავიანთ თოკს და ისევ უკან მიაცუხცუხებდა. აბა, როგორ არ გაგეცინოს, ერთი ჭის შემყურე თერთმეტ ოჯახს თოკიც თერთმეტი რომ ექნება! ვისაც ჩემი ნათქვამი არა სჯერა, წავიდეს, ბატონო, იკითხოს და ეტყვიან, იქ რა ხალხიც იყო. იმის მაგივრად, რომ შეამხანაგებულიყვნენ, ერთი საერთო ჯაჭვი ეყიდათ და მთელ სოფელს ის ეხმარა, ერთმანეთს კრიჭაში უდგნენ და

დილიდან დაღამებამდე ერთიმეორის შურსა და მტრობაში სძვრებოდათ სული. მართალი თუ გინდა, იქაური ჭის წყალი არც დაილეოდა, ისე იყო უპატრონობით გაბინძურებული.

რაღა ბევრი გავაგრძელო, მალე ომიც ატყდა. იმ სოფლის კაცებსაც აჰკიდეს თოფები და წაასხეს სასაკლაოზე. წასვლის წინ ქმრებმა ათასი რამ დაუბარეს ცოლებს და, რაც მთავარია, სუყველას თოკი ეკერა პირზე — აბა, თქვენ იცით, არავის არ მოაპარვინოთ, უთოკოდ არ დარჩეთო.

ასე იყო თუ ისე, გერმანელები იტალიასაც მოედვნენ, როგორც სხვაგან, ტყის პირას მიყუჟულ უკაცო სოფელშიც დაჰქროლა შიშის ქარმა, მაგრამ იქაურ ქალებს ქმრების დანაბარები მაინც არ ავიწყდებოდათ. თერთმეტ საბძელში თერთმეტი ლურსმანი იყო მიჭედებული და ზედ ისევ ძველებურად თერთმეტი თოკი ეკიდა.

ერთხელ ადგა და ერთმა ქალმა ტყეში გაგზავნა თავისი ბიჭი, წადი, შვილო, ფიჩხი მოიტანეო. შეყო თუ არა ბიჭმა თავი ტყეში, კვნესა გაიგონა. იქვე, ბუჩქებში, დაჭრილი პარტიზანი იწვა და ისა კვნესოდა. მოკურცხლა ბიჭმა, მაგრამ რა მოკურცხლა! ფეხებს სულ ზურგზე ირტყამდა. მალე, ტყეში დაჭრილი ჯარისკაციაო, შეატყობინა თავის დედას. ქალი ჯერ შეშინდა, შეყოყმანდა, მერე კი ცრემლი მოერია: წამოვიყვანოთ, შვილო, დავმალოთ, ვინ იცის, იქნებ მამაშენიც მაგ დღეშიაო.

მოიყვანეს, ჩასვეს პარტიზანი ბეღელში და ექიმს დაუძახეს, ვითომ ბებია ჰყავდათ ძალიან ავად. მაგრამ სოფელს აბა, რას გამოაპარებ! ჯერ მზე არც ჩასულიყო, უკვე ტუტუნებდნენ, კატერინას დაჭრილი ჯარისკაცი უწევს ბეღელშიო.

— აი, ნახავთ, რა დღეს დაგვაყრიან, გერმანელები! — ჩიოდა ერთი შეშინებული ბერიკაცი. — გაიგებენ, პარტიზანს მალავენო, და დიდიან-პატარიანად ხეებზე ჩამოგვკიდებენ.

ქალებს კი გული უკვდებოდათ: ვაითუ, ჩვენი ქმრებიც ეგრე დაჭრილები წვანან სადმე და შველას ითხოვენო. მესამე დღეს ერთმა ქალმა ახალი დაკლული ღორის კუპატი მოუტანა კატერინას, აჰაანდე, აჭამე, ცოტა იქნებ მოღონიერდეს საწყალიო.

ცოტა ხნის მერე ახლა სხვა ქალი მოვიდა და ერთი ბოთლი ღვინო მოართვა, მესამემ — ერთი ტოპრაკი სიმინდის ფქვილი, მეოთხემ — ცოტაოდენი შაშხი, ცარიელი ხელით არც ერთი არ მოსულა. აჰა, ვითომ ჩვენს კაცებს უჭამიათო, იცრემლებოდნენ ქალები და თვალს ჩუმ-ჩუმად ბეღლისკენ აპარებდნენ.

ამას-იმასობაში პარტიზანმა ცოტა მოიხედა, ჭრილობა ისე აღარ აწუხებდა და, სანამ სულ კარგად არ გახდა, თერთმეტივე ოჯახი თავს დასტრიალებდა, არც საჭმელს აკლებდა, არც სასმელს.

მოვლამ თავისი ქნა, დრომ თავისი და გამოვიდა ბეღლიდან პარტიზანი, გაშალა მუხლი, გავიდა მზისგულზე გასათბობად და უცებ უთოკო ოწინარს მოჰკრა თვალი. გაუკვირდა, ამნაირი ჭა სად გაგონილაო. ქალებს სიწითლემ გადაურბინა სახეზე. სუყველას ჩვენ-ჩვენი თოკი გვაქვს, ამ სოფელში ასეაო, ერთად თქვა თერთმეტივემ. უსმინა პატიზანმა, უსმინა და მაინც ვერ მიხვდა, თერთმეტი თოკი რა საჭირო იყო. ან რას მიხვდებოდა, როცა ქალებმა დაუმალეს, სირცხვილით ველარ უთხრეს, წინათ ერთმანეთის ლანძღვა-გინებას ვუნდებოდით, საერთო თოკის ყიდვისათვის ვის ეცალაო. თუმცა თქმა აღარცა ღირდა, უკვე შერიგებულები იყვნენ. გაჭირვებაში ერთად ყოფნამ ისე შეახმატკბილა, ვერც გაიგეს.

ამდენი თოკი მართლაც რა ჯანდაბად გვინდაო, იფიქრეს ქალებმა, წავიდნენ და ერთი კარგი საერთო ჯაჭვი იყიდეს, გამოაბეს ოწინარს და პირველი ვედრო წყალი პარტიზანმა ამოიღო.

საღამოთი კი ადგა პარტიზანი და ისევ მთაში წავიდა.

## ტროლეიბუსი ნომერი 75

ერთხელ დილით ტროლეიბუსი ნომერი 75, რომელიც საერთოდ მონტევერდე ვეკიოდან ფიუმეს მოედნამდე დადის, იქით კი არ წავიდა, ჯანიკოლოს მხარეს გაუხვია და... ჯერ ორ წუთსაც არ გაევლო, რომი უკვე სადღაც უკან დარჩა. აი, როგორც გაზაფხულის მზე დაარეტიანებს ხოლმე კურდღელს, სწორედ ისე დარეტიანებულივით გავარდა ტრიალ მინდორზე იმოდენა ტროლეიბუსი.

აბა, რა თქმა უნდა, შიგ სულ მოსამსახურე ხალხი იყო და ყველა ახალ გაზეთს ჩასცქეროდა. ზოგს ორი-სამი ეყიდა და ხან ერთსა შლიდა, ხან მეორეს, ზოგს კი ჯიბე დაეზოგა და გვერდით სხვისაში იჭყიტებოდა. უცბად ერთმა სინიორმა თავი მაღლა აიღო, ფანჯარაში გაიხედა, სადა ვართო, და გიჟივით წამოვარდა.

— რა უპატრონობაა? რა ამბავია?! — შესძახა გამწარებულმა და კონდუქტორს მიაფრინდა, რატომ ხმას არ იღებო.

ყვირილზე დანარჩენმა მგზავრებმაც აიხედეს და, ტროლეიბუსში ღრიანცელი ატყდა.

— აქ რა გვინდა? ჩივიტავეკიასკენ წამოვსულვართ! — ყვიროდა ერთი.

— ალბათ მძღოლს ჩაეძინა! — ქაქანებდა მეორე.

— ჩაეძინა კი არა, სულელი იქნება, გასათოკია ეგ მამაძაღლი, ეგა! — მუშტებს იქნევდა მესამე.

— აი ესეც თქვენი კომუნალური ტრანსპორტის მომსახურება! — ვიღაცას ნიშნს უგებდა მეოთხე.

— ცხრა საათზე სასამართლოში უნდა ვიყო, ათი წუთიღა დარჩა, — აქეთ-იქით აწყდებოდა დაფეთებული ვექილი. — პროცესი თუ წავაგე, მორჩა, ნამდვილად ვუჩივლებ საქალაქო ტრანსპორტის სამმართველოს.

მძღოლსა და კონდუქტორს ხმა ჩაეხრინწათ ყვირილით, ჩვენი ბრალი არ არის, ტროლეიბუსი საჭეს აღარ ემორჩილება, თავის ნებაზე დაგვარბენინებსო. ამ დროს ტროლეიბუსმა მართლაც ისეთი ოინი ქნა, ყველანი სახტად დარჩნენ. გზიდან გადავიდა და ზედ ტყის პირას გაჩერდა.

— ვაი, იები! — მხიარულად შესძახა ვიღაც ახალგაზრდა ქალმა.

— რა დროს იებია, შე კაი ადამიანო! — პირში სწვდა გაბრაზებული ვექილი.

— ვითომ რა უდროოსია! — გაიკვირვა მხიარულმა სინიორამ. — დავიგვიანო და დავიგვიანო, რა ვქნა, სულ იმ სამინისტროში ხომ არ ვიჯდები! ათი წელიწადია ია არ მომიწყვეტია.

ამის თქმა იყო, და ისკუპა ტროლეიბუსიდან, თითქოს წყაროს წყალსა სვამსო, ისე დაეწაფა კამკამა დილის ჰაერს და მიხედ-მოხედვაში შეკონა ლურჯთვალა იების პაწაწინა თაიგული.

რაკი ტროლეიბუსს წასასვლელი პირი არ უჩანდა, მგზავრები ნელნელა ძირს გადმოვიდნენ, ზოგი — მუხლის გასაშლელად, ზოგიც — სიგარეტის გასაბოლებლად. გაიხედეს, გამოიხედეს და თანდათან უგუნებობამაც გაუარათ. ერთმა ზიზილა ყვავილი მოწყვიტა, მეორე ჯერ ისევ მკვახე მარწყვს წაადგა და გახარებულმა ტაში შემოჰკრა:

— ვინც იპოვნა, მარწყვი იმისია! ნიშნად ბარათს დავტოვებ, დამწიფდება და მოსაკრეფად ჩამოვალ. აბა ერთი ხელი დაადოს ვინმემ!

საფულედან მართლაც ამოიღო სადარბაზო ბარათი, ჩხირი გაუყარა და იქვე მარწყვის გვერდით ჩაარჭო. ბარათზე მომსხო ასოებით ეწერა: «მეცნიერებათა დოქტორი ჯულიო ბოლატი».

განათლების სამინისტროს ორმა თანამშრომელმა კი ფეხბურთი გააჩაღა. გაზეთები მრგვლად დაჭმუჭნეს, დააგუნდავეს, წინ ბურთივით გაიგდეს და დაედევნენ. ხან ერთი ამოსცხებდა ფეხს და ყვიროდა, თერთმეტმეტრიანიაო, ხან მეორე ურტყამდა და, ცხრიანშიაო, იძახდა.

ერთი სიტყვით, ყველანი მხიარულობდნენ, კარგ გუნებაზე იყვნენ და აბა, ვინ იფიქრებდა, რომ სულ რაღაც ორიოდე წუთის წინ მოსაკლავად არ ინდობდნენ ალალმართალ მძღოლს და კიდევ უფრო უდანაშაულო კონდუქტორს. ისინიც ძირს ჩამოსულიყვნენ, მოლზე ისხდნენ და გემრიელად მიირთმევდნენ პურსა და ერბო-კვერცხს.

— უყურეთ ერთი, უყურეთ! — ერთბაშად ფეთიანივით აყვირდა ვექილი და ხელი ტროლეიბუსისაკენ გაიშვირა.

კიდევ კარგი, იმან მაინც დაინახა, თორემ მერე გვიან იქნებოდა. ტროლეიბუსი მძიმე-მძიმედ ისევ უკან, გზისკენ მიგორავდა. უნდა გენახა, რა ამბავი ატყდა. არიქათ, აქ არ დავრჩეთო, კისრისტეხით გაცვივდნენ და, ჰა და ჰა, ძლივს დაეწივნენ. სულ ბოლოს ის ქალი ახტა, იების პატარა კონა რომ ეჭირა.

— აბა, რა გამოვიდა! — სწყინდა იებიან ქალს, — გაგვიტკბა და კიდეც წამოვედით!

— მაინც რომელი საათია ნეტავი? — ხმამაღლა იკითხა ერთმა უსაათო მგზავრმა, როცა ტროლეიბუსი უკვე თავის გზაზე გავიდა და დანდოლოს ქუჩას გაჰყვა.

— ეეჰ, ალბათ იმდენი დროა გასული, ნახვაც აღარა ღირს! — ხელი ჩაიქნიეს დანარჩენებმა და ყველამ თავის საათს დახედა. უცქეროდნენ და თვალებს არ უჯერებდნენ! ცხრას ისევ ათი წუთი აკლდა. თურმე ნუ იტყვი, წეღან ისრებსაც ცოტა შეესვენათ, და ის რამდენიმე წუთი, რაც ტროლეიბუსი იდგა, მგზავრების საჩუქარი იყო.

— ვერაფერი ვერ გამიგია! — უკვირდა იებიან ქალს.

მარტო შენ კი არა, ჩვენც ვერ გაგვიგიაო, ხელებს შლიდნენ დანარჩენები. თუმცა ცხვირწინ ყველას გაზეთი ედო და იმ გაზეთებს ზედ თარიღი ეწერა 1 მარტი. გაზაფხულის პირველ დღეს კი ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

## <u>მაგარი ხუთიანი</u>

— მიშველეთ! მიშველეთ, ხალხო! იჭაჭებოდა საწყალი ხუთიანი და თავქუდმოგლეჯილი გარბოდა.

— რა იყო, რა მოგივიდა? — მისძახოდნენ აქეთ-იქიდან.

— მეტი რაღა უნდა მომივიდეს, ვერა ხედავთ, გამოკლება მომდევს?! თუ დამეწია, უბედურება მერე ნახეთ.

— უბედურება კი არა, კიდევ რა გინდა!

მოსახდენი მართლაც მოხდა. გამოკლება ტკიპივით ჩააფრინდა საცოდავს, კისერი მოუგრიხა და, იცოცხლე, აუსვა და დაუსვა თავისი პირალმასი დაშნა, რომელიც დიდსა და პატარას ჩვეულებრივი გამოკლების ნიშანი ეგონა. გასაცოდავებული ხუთიანი ფეხზე ძლივსღა იდგა და, არავინ იცის, იმისაგან ერთიანი მაინც თუ გადარჩებოდა, იღბალზე იქვე გვერდით გრძელ უცხოურ მანქანას რომ არ ჩაევლო. გამოკლებამ წამით თვალი შეავლო, ცოტა ხომ არ დამოკლდებაო, და ხუთიანი აბა რისი ხუთიანია — ხელად დრო იხელთა, პირველსავე სადარბაზოში დურთა თავი და ბნელ კუთ-

ხეში მიიყუჟა. თუმცა ხუთიანი კი არა, უკვე ოთხიანი იყო და ცხვირიც გატეხილი ჰქონდა.

რა ვქნა, რა წყალში გადავვარდე, გული ამოუჯდა მიმკვდარებულ ოთხიანს და უცებ ისეთი მგრძნობიარე ხმა შემოესმა, თითქოს სიბრალულს ენა ამოუდგამს და ისე ელაპარაკებაო:

— ვინ ჩაგაგდო მაგ დღეში, შე ბეჩავო, შენა? ამფსონებმა იჩხუბეთ, არა?

კიდევ კარგი, იმწუთსავე ვერ დაინახა, ვინც ელაპარაკებოდა, თორემ ნამდვილად გული გაუსკდებოდა. სადარბაზოს მეორე კუთხეში გაყოფა იდგა და ის დათაფლული ხმაც იმისი ხმა იყო.

საცოდავმა ოთხიანმა ძლივს ამოილუღლუღა, საღამო მშვიდობისაო, და სადარბაზოდან გაპარვა დააპირა, მაგრამ გაყოფა წინ გადაუდგა. დაამრო მაკრატელი და ზედ შუაზე გადაჭრა. ოთხიანი ორ ორიანად იქცა. ერთი ორიანი თვითონ გაყოფამ ჩაიჯიბა, მეორე უფრო ყოჩაღი გამოდგა, ტყვიასავით გავარდა გარეთ და გაქანებულ ტრამვაის შეახტა.

ოდესღაც ხუთიანი ვიყავი, ახლა კი აი, რა დღეში ვარო, ცრემლად იღვრებოდა ორიანი.

ტრამვაიში მოწაფეებიც ისხდნენ. ორიანის დანახვა და იმათი წივილ-კივილი ერთი იყო. ვაიმე, ამას აქ რა უნდაო, იხუვლეს და კარებისაკენ გაცვივდნენ. ძველმა კონდუქტორმა სათვალე მოიხსნა და ორიანს შეჰბღვირა, ფეხით რა, არ გეკადრებოდა სიარული, ტრამვაიში რომ არ ამობრძანებულიყავიო.

— რა ვქნა, რა ჩემი ბრალია? — იმდუღრებოდა ყოფილი ხუთიანი.

— არა, ჩემი ბრალია! — დამცინავად გადაჰკრა კონდუქტორმა. — გიცნობ რა შვილიცა ხარ, მიზეზები არ გელევა.

ორიანმა ამდენს ვეღარ გაუძლო და პირველსავე გაჩერებაზე გადახტა ტრამვაიდან. გადახტა და, ბედი არ გინდა! — ვიღაცას ფეხი დაადგა.

— ოიჰ, ბოდიში, მაპატიეთ, ბატონო, — ძლივს მოატრიალა ენა საწყალმა.

არა, უცხო სინიორა არ გაბრაზებულა. ის კი არა, გაიღიმა კიდეც. გაკვირვებულმა ორიანმა ნელ-ნელა გაახილა თვალები და დააცქერდა, ამისთანა ღვთისნიერი ვინ არისო. უცქირა, უცქირა და არ ეჯერებოდა — გამრავლებისათვის დაედგა ფეხი. სიხარულით ლამის გაგიჟდა, იცოდა, რა გულკეთილიც იყო გამრავლება. მართლაც, ჯერ სალამი არ ეთქვა, რომ გამრავლებამ უკვე გადაამრავლა და ხელად გაახუთიანა. მერე ადგა და უკან მიმატების ნიშანიც მიაწერა, ბარემ მაგარი ხუთიანი იყოსო. სკოლაში ექვსიანი არ იწერება და სხვა რა ექნა!

— ვაშაა! — შესძახა მაგარმა ხუთიანმა. — გადასული ვარ, გადასული!

## <u>სახლები და სასახლეები</u>

წავედი ერთხელ, სამადლო სახლში შევიარე ერთი ძველი მეგობრის სანახავად. კალატოზი კაცი იყო. რაც ერთიმეორე არ გვენახა... არა, კარგად აღარც მახსოვს, ბოლოს როდის ვნახეთ ერთმანეთი.

ჰა, კიდევ სულ გზაში ხარო, მკითხა.

აი ახლაც პარიზიდან მოვდივარ-მეთქი, ვუთხარი.

— ეჰ, კარგი ქალაქია დალოცვილი. მახსოვს, სასახლეს ვაშენებდით ზედ სენის პირას. ძალიან დიდი ხნის ამბავია, აღარც ვიცი, ვისია, ვინა ცხოვრობს იმ სასახლეში. კიდევ რომელ ქვეყანაში ყოფილხარ?

— ამას წინათ ამერიკაში ვიყავი.

— იქ მეც ნამყოფი ვარ. ნიუ-იორკი, ბუენოს-აირესი, სან-ფრანცისკო, მონტევიდეო სულ შემოვლილი მაქვს. ყველგან სახლებს ვაშენებდით. მაღალ, ცას მიბჯენილ სახლებს და ზედ დროშებიან ანძებს ვაყენებდით. ალბათ ავსტრალიაშიც გივლია, არა?

— არა, ავსტრალიაში არა ვყოფილვარ.

— ჰაი, დედასა! მე იქ ჯერ ისევ პატარა, წვინტლიანი ბიჭი წამიყვანეს. კედელთან აბა, ვინ მიმიშვებდა, შეგირდად მამუშავებდნენ. კირს მაზიდვინებდნენ. წელი მოწყვეტილი მქონდა კირის ტომრების თრევით. ხანაც ქვიშას მაცრევინებდნენ. ერთ იქაურ მდიდარ კაცს აგარაკს ვუშენებდით. აი, შენი ბარონივით წარმოსადეგი კაცი იყო. მახსოვს, ერთხელ ცალკე მკითხა, აბა, იტალიელები მწვადს როგორა სწვავთო. რასაც ვეუბნებოდი, ყველაფერს წიგნაკში იწერდა. შენ რა... არც ბერლინში ყოფილხარ?

— არა, ჯერჯერობით ვერ მომიხერხდა.

აბა, ჩემთან ხმა არ ამოგეღება. შენ დაბადებულიც არ იყავი, მე იქ კალატოზად ვმუშაობდი. მერე როგორ სახლებს ვაგებდით! ნეტავი თვალი მომცა და მაყურებინაო, იტყოდი. აი ჩადი, ნახე, თუ არა გჯერა. ალჟირშიაც არა ყოფილხარ? კაიროში?

— ამ ზაფხულს ვაპირებ იქით.

— წადი, არ ინანებ. მოგეწონება, მე და ჩემმა მზემ! თავის ქებას არ დავიწყებ, მაგრამ ამ ხელებით აშენებულ კედლებს შორიდანვე ეტყობა. ჩემს გადახურულ სახლში, ტყუილია, წვიმის წვეთი ვერ ჩაატანს.

— ისე, კაცმა რომ თქვას, კარგა ბლომად გექნება აშენებული, არა?

— რა ვიცი, როგორ გითხრა? დათვლით არ დამითვლია, ოღონდ ქვეყანა არ მეგულება, სადაც ხარაჩოზე არა ვმდგარვარ.

— მერე შენ რა?

— მე რა და, აი სამადლო სახლში ვარ, სხვის ჭერქვეშ. მჭედელს დანა არა აქვსო, ისე მომივიდა. რა ვქნა, წუთისოფელი ასეა.

ჰოდა, მეც მანდა ვარ. ასე არ უნდა იყოს, არა!